# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 11 მარტი, 2006 წელი.

№ 50 (5388)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.


# თბილისს ქარიშხალმა გადაუარა, საქართველოს – აქციების ტალღამ







## ყიყინი – რევოლუციის ქარიშხალა

## მომიტინგეთა მინი-გამარჯვება(?)

იხ. მე-2 გვ.

რატომ ითქვა, ხელისუფლება დიალოგზე თანახმააო

ვინ რატომ და როგორ მოვიდა „თბილგაზში“

## ეჭვსაც დიდი თვალები აქვს

იხ. მე-3 გვ.

## სჯობს, პრეზიდენტმა ხალხს მოუსმინოს, ვიდრე – დამქაშებს

## წყევლა რომ სრულდებოდეს

იხ. მე-4 გვ.

„კვირაძალის“ ეს ნომერი ეძღვნება პოსტსაბჭოთა ემიგრაციას გერმანიაში

იხ. მე-10-11 გვ.



## უსამშობლოთა სამშობლო

ვინ გადაარჩინა ეროსი მანჯგალაძე თეატრალური ინსტიტუტიდან გარიცხვას



იხ. მე-6 გვ.

**პროტესტი**

# მომიტინგეთა მინი-გამარჯვება(?)

## რატომ ითქვა, ხელისუფლება დიალოგზე თანახმააო

**პარლამენტის შენობის წინ ბაზრობათა მოვაჭრეების გუშინდელი აქცია, გუშინწინდელის დარად, ხალხმრავალი იყო. მომიტინგეები, თავდაპირველ მოთხოვნებთან ერთად, ოპოზიციის ლიდერებთან პრემიერ-მინისტრის საკმაოდ ხისტი საუბრის გამო უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ და ზურაბ ნოღაიდელის იმ გამონათქვამის გამო შფოთავდნენ, მთავრობის ხელმძღვანელმა აქციის ორგანიზატორებს რომ უთხრა, რამდენიც გინდა იყვირეთ, ჩვენ უკან დამხევები არა ვართო.**

ლეიბორისტმა პაატა ჯიბლაძემ გუშინდელი მიტინგი სწორედ ამ თემაზე საუბრით „გახსნა“, ნოღაიდელმა პრეზიდენტთან კონსულტაცია გაიარა, მერე ოპოზიციის წარმომადგენლებს შეხვდა და თავისი უკმეხობით ხალხს სულში ჩააფურთხაო.

სააკაშვილი ხალხთან გამოსვლას არ კადრულობს და პრემიერ-მინისტრის პირით გვითვლის, რომ მოსახლეობის პრობლემები არ აინტერესებს, სამაგიეროდ პიარი და კამერების წინ კეკლუცობა არ ეშლება და დღეს კახეთში გვარჯილის დასარიგებლად წავიდაო, – თქვა მოვაჭრეთა აქციების უცვლელმა წამყვანმა პაატა ჯიბლაძემ და პრეზიდენტს იქვე ჭკუაც დაარიგა, შე დიქტატორო, ბორშჩის ხვრეპას და სასუქების დარიგებას შეეშვიო.

გუშინდელ აქციაზე ჩვეულებრივზე მეტი დრო დაუთმეს რიგით გამომსვლელებს, რომელთაგანაც განსაკუთრებული აპლოდისმენტები და ოპოზიციონერთა შექება ფინანსური პოლიციის ერთ-ერთ მაღალჩინოსანს, კახა კუპრეიშვილს ხვდა, რომელმაც მომიტინგეთა სოლიდარობისა და ხელისუფლებისადმი პროტესტის ნიშნად თანამდებობა დატოვა.

ფინანსური პოლიცია კორუფციის ბუდეა, ქვეყანაში კი საშინელი მდგომარეობაა. უდანაშაულო ადამიანებს ყოველდღე კლავენ, უკვე ტელევიზორის ჩართვისაც მეშინია, „რუსთავი-2“ საშინელებათა ფილმს დაემსგავსაო, – განაცხადა კუპრეიშვილმა და საჯარო სამსახურის მოხელეებს მოუწოდა, მომბაძეთ და თქვენი თანამდებობები მართალი ხალხის, საქართველოს მომავლის სამსხვერპლოზე მიიტანეთო.

მანვე აქციაზე უხვად შეყრილ პოლიციელებსაც მიმართა, ხალხზე ხელს ნუ აღმართავთ, ნუ შეასრულებთ თქვენი მინისტრის ბრძანებას, რომელიც პირდაპირ მკვლელობისკენ მოგიწოდებთ, თორემ ეს ხელისუფლება სამარცხვინოდ გაიქცევა, თქვენ კი ერის თვალში მკვლელებად დარჩებითო.

არანაკლებ მწვავე იყო ბათუმელი ქალბატონის მარინა გორგილაძის გამოსვლაც, რომელმაც პოლიტიკურ პერსონალიებზე ისაუბრა და მიხეილ მაჭავარიანი გვარიანად გათათხა, კბილი ელენე თევდორაძესაც გაჰკრა, ნინო ბურჯანაძეს კი მოუწოდა, თუ გინდა არა მარტო შენი შვილების, არამედ მთელი ერის საამაყო დედა იყო, ხალხის მოთხოვნები დააკმაყოფილეო.

ხშირად გაისმა ჯერაც გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვლილი ზურაბ ჟვანიას სახელი და გვარიც. მომიტინგეების წერილებში, რომელსაც პაატა ჯიბლაძე კითხულობდა, ეწერა: ჟვანია ყოველთვის იცავდა საზოგადოების ყველა ფენის უფლებებს, ის ერთადერთი კაცი იყო, ვინც ხელისუფლების ხალხის საწინააღმდეგო ნაბიჯებს ეწინააღმდეგებოდა და ახლა ცოცხალი რომ ყოფილიყო, გვჯერა, უეჭველად გვიშველიდაო.

ბათუმელმა ქალბატონმა უკმაყოფილება აჭარის დეპუტატების ინდიფერენტულობის გამოც გამოთქვა, ყურადღებას არ გვაქცევენო, ქათმის ვირუსის შეეშინდათ და ბათუმში არ ჩამოდიან, სინამდვილეში H5 ხაზაზ 2 ვირუსი შეეყარათო.

მომიტინგეებმა თავიანთ წერილებში კატეგორიული ტონიც გაურიეს, ხელისუფლებას წამმზომი ჩავურთოთ და სამი დღის განმავლობაში გონს თუ არ მოეგება, პარლამენტის წინ კარვებს დავცეთ და რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, გადავაყენოთო.

ტრადიციულად რადიკალური განცხადებებით გამოირჩეოდა ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკური მდივანი გიორგი გუგავა, რომელმაც გუშინდელ ინციდენტს, პოლიციამ რომ ჩაკეტილი გზა ძალით გახსნა, ხალხის დარბევის ცდა უწოდა და მიხეილ სააკაშვილი ნიკიტა ხრუშჩოვს შეადარა.

სააკაშვილმა გუშინ დაამტკიცა, რომ იგი პოლიტიკურად გაკოტრებულია. იმის ნაცვლად, რომ თავის ხალხთან დიალოგი გაემართა, ძალადობაზე წამოვიდა და დაამტკიცა, რომ არა აქვს არც მორალური, არც ზნეობრივი, სამართლებრივი და პოლიტიკური უფლება, საქართველოს ხელისუფლად იწოდებოდესო, თქვა გუგავამ და დღის წესრიგში იმ ხელისუფლების გადადგომა დააყენა, „ვინც ხალხს არ უსმენს და მასზე არ ზრუნავს“.

აქციაზე პირდაპირ პარლამენტიდან მოვიდა კობა დავითაშვილი, რომელმაც მომიტინგეებს კარგი ახალი ამბავი მოუტანა. იმის მიუხედავად, რომ გუშინ ზურაბ ნოღაიდელი ჩვენს მიმართ კატეგორიული იყო, დღეს ვითარება შეიცვალაო.

როგორც დავითაშვილმა განაცხადა, სალარო აპარატების საკითხს კანონმდებლებმა დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის საგანგებო სხდომა მიუძღვნეს, სადაც პარლამენტის ვიცე-სპიკერს მიხეილ მაჭავარიანს უთქვამს, ხელისუფლება დიალოგისა და შეთანხმებისთვის მზად არისო (სხვათა შორის, ტელევიზიით გამოსვლისას, მ. მაჭავარიანმა განაცხადა, არავითარი ამის მსგავსი არ მითქვამსო).

ოთხშაბათს, თურმე, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომა შედგება, სადაც, დავითაშვილის თქმით, ეს საკითხი განიხილება.



ჩვენ მივიღეთ განცხადება, რომ ბაზრობებზე მკაცრი ადმინისტრირება და სალარო აპარატის გამოუყენებლობისთვის დაჯარიმება უახლოეს დღეებში არ მოხდება. ეს საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ჩვენმა ძალისხმევამ და ერთმანეთის გვერდით დგომამ მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო, – მიმართა ხალხს დავითაშვილმა, რომელმაც მომიტინგეებს დროებით დაშლა ურჩია და პარლამენტის წინ ოთხშაბათს სამ საათზე დაიბარა.

კობა დავითაშვილს კარგი ამბის მოტანისთვის მადლობა შალვა ნათელაშვილმაც გადაუხადა, თან ხალხს ურჩია, არ მოდუნდეთ, ხომ იცით, რა ხელისუფლებასთან გვაქვს საქმე, არ დაიჯეროთ „ოდეს მგელი მოვიდოდეს ცხვრის ქურქით“, ეს ხელისუფლება მტაცებელი ცხოველის ძალზე იშვიათი სახეობაა და ამიტომაც ერთად დგომა გვმართებსო.

ხელისუფლების მხრიდან დიალოგის სურვილს ნათელაშვილმა მომიტინგეთა გუშინწინდელი „თავგანწირვის, ერთიანობის და ალმაფრენის“ შედეგი უწოდა.

შეიძლება ითქვას, რომ მრავალრიცხოვანმა მომიტინგეებმა „მინი-გამარჯვებას“ უკვე მიაღწიეს და ის რევოლუციური განწყობა და სულისკვეთება, რომელიც განსაკუთრებით საგრძნობი 9 მარტის აქციისას გახდა, ნაწილობრივ ჩაცხრა. ხელისუფლების მხრიდან დიალოგზე წამოსვლა (თუ ეს ამ განწყობისა და სულისკვეთების გასაფანტავად და მოსადუნებლად მოგონილი ხრიკი არ არის) იმის იმედს იძლევა, რომ ხალხი თავისი საყოველთაო პროტესტით სალარო აპარატების შესახებ კანონის გაუქმებას მიაღწევს.

ყოველ შემთხვევაში, გუშინ მომიტინგეები და ოპოზიციის ლიდერები დროებით სწორედ ამ იმედით დაემშვიდობნენ ერთმანეთს.

**ჯაბა ხუბუა**

**კვირის თვალსაწიერი**

# ყიყინი - რევოლუციის ქარიშხალა

**ამას წინათ მეუმრავლესოვე კირკიტაძემ ფრთიანი ფრაზით გაამდიდრა მშობლიური კაზმულსიტყვაობა – ოპოზიციის ყიყინი ვერ შეგვაშინებსო.**

ეს თავის გამამხნევებელი აფორიზმი სანდრო გირგვლიანის ერთობ საეჭვო ვითარებაში, სავარაუდოდ, პოლიციის მაღალჩინოსანთა ხელით (მაშინ კონკრეტული მკვლელები ჯერ ცნობილი არ იყვნენ) ტრაგიკულად დაღუპვის გამო შინაგან საქმეთა მინისტრზე ოპოზიციის პირველ მასირებულ შეტევასთან დაკავშირებით თქვა.

ფრთიანად კი თქვა, მაგრამ მიზანში ვერ მოარტყა.

ყიყინისთვის ასე არ უნდა აექნია ხელი.

ყიყინი არაერთგვაროვანი მოვლენაა.

არის უბადრუკი, ყაყანის ტყუპისცალი ყიყინი, რომელსაც მართლა შეიძლება ცხვირი აუბზუოს ყველამ, მით უფრო, ისეთმა მწყობრად განვითარებული ძვალკუნთოვანი სისტემით მთელ პარლამენტში გამორჩეულმა კაცმა, როგორიც ბატონი დავითია, და არის ყიყინი, რომელმაც შეიძლება ისტორიის მსვლელობაც კი შეცვალოს.

ცნობილია: როცა გალები რომს ღამით ჩუმად თავს დაესხნენ, მხოლოდ კაპიტოლიუმის ტაძარში ქალღმერთისთვის შეწირულმა ბატებმა გაიგეს მათი ფეხის ხმა და აყიყინდნენ. ხმაურზე წამომხტარი რომაელები შემოპარულ მტერს ეკვეთნენ და ამოწყვიტეს.

ასეთი ყიყინისა გეშინოდეს, ბალთაზარ, იგი „მანეს, თეკელ, ფარესის“ ჯუფთი გაფრთხილებაა!

აი ახლაც, ოპოზიციის „ყიყინმა“ დააჩქარა გირგვლიანის მკვლელობის გახსნა.

ყოველ შემთხვევაში, ამ ულმერთო საქმის პირველი ნაწილი დასრულდა – უშუალო მკვლელები გაამხილეს.

ჯერი დამკვეთთა გამომზეურებაზეა.

რაღაც ძვრა უკვე აქაც არის: დამკვეთობაში ერთ-ერთი ეჭვმიტანილი – შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის უფროსი გურამ დონაძე სამსახურიდან გაანთავისუფლეს, თუმცა ამ შემთხვევაში სასაცილო სარჩულით... ჟურნალისტებთან გართულებული დამოკიდებულებისთვის.

თავისთავად ის, რომ ამ სისტემაში „გამარჯვებული ხალხის ტელევიზიის“ წიაღიდან მისული ყოვლისშემძლე გურამ დონაძე ზევსივით ღრუბლებიდან დასცქეროდა პრესას და თავისი მდიდრის მოწყალებასავით იშვიათი და ჯანჯალი თანხმობის გარეშე სამინისტროში ჟურნალისტს ცხვირსაც არ შეაყოფინებდა, ფიორა ინფორმაციას არ აღირსებდა, რის გამოც ვანოს ფრთებს საიმედოდ ამოფარებულს ყველა კოლეგა ამხედრებული ჰყავდა, რა თქმა უნდა, დიახაც, სწორია.

ვნახოთ, როგორ წავა დამკვეთობაში სხვა ეჭვმიტანილთა თანამდებობებიდან დაფერთხვის საქმე.

ჯანდაბას: დასაწყისში, ალბათ, ასეთივე თითიდან გამოწოვილი საბაბით განთავისუფლება-გადაყენებაც არ იქნება ურიგო – მერე უფრო გაიოლდება მათთან კანონის ენაზე ლაპარაკი.

მით უფრო, რომ ოპოზიცია „ყიყინის“ შეწყვეტას არ აპირებს და, იქნებ, იმდენიც ქნას, რომ პრეზიდენტს, ბოლოს და ბოლოს, როქის გაკეთება გადააწყვეტინოს.

აკი, ვილაც-ვილაცეები უკვე ამბობენ, მართალია, ალგვითქვა, ირაკლი ოქრუაშვილი მანამდე იქნება თავდაცვის მინისტრი, სანამ აფხაზეთს არ დავიბრუნებთო, მაგრამ პრეზიდენტმა შეიძლება სიტყვა გატეხოს და განდგომილი ავტონომიების რისხვა, პირქუში სახის რაინდი ისევ შინაგან საქმეთა მინისტრად დააბრუნოს, რადგან, თუ საქმე ხელისუფლების სტაბილურობის ერთ-ერთი მთავარი ბურჯის – ვანო მერაბიშვილის ჩამოლაბორანტობაზე მიდგა, იგი ისეთივე ერთგული ბოძკინტით უნდა შეიცვალოს.

სხვაგვარად, შეიძლება მთელი შენობა ჩამოინგრეს.

მართალია, მთელი უმრავლესობა მაია ნადირაძესა და გივი თარგამაძესავით ვანოს გვერდით დგას „და სხვაგვარად არ ძალუძს“, მაგრამ ბატონმა პრეზიდენტმა დიახაც შეიძლება მიიღოს რაიმე მკვეთრი გადაწყვეტილება საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით (და საზოგადოებრიობის დასაშოშმინებლად). მით უფრო, რომ მისი რეიტინგი, მისი ძებული სახალხო მხარდაჭერა, ყოველდღიურად კატასტროფულად ეცემა, ყოველდღიურად ემატება საფიქრალთავში საცემი.

ახლა, სალარო აპარატების გამო ატეხილი ეს აურზაური...

გამოიკვეთა: საქართველოს მოსახლეობამ კარგად ისწავლა თავისი უფლებებისათვის ბრძოლა, რაც მთავარია – მშვიდობიანი რევოლუციის მომზადება.

ანგარიში ჩასაგდები ისიც არის, რომ უკმაყოფილების ტალღები, თბილისის გარდა, სხვა ქალაქებშიც ეხეთქება ჯებირს.

გამოსვლები მრავალმხრივი, მასშტაბური და უფრო და უფრო გაავებული ხდება.

და აქ რამდენად წაადგება საქმეს ამას წინათ ბაკურიანში თხილამურებზე შემდგარი მიხეილ სააკაშვილის ამაყად განცხადებული, ქართველები ყველაზე მაგრები ვართო, მე ყველაფერს გაგიკეთებთო, ძნელი სათქმელია. ისე კი, რემინისცენციით, ამ სიტყვებმა ის ძველი სიმღერა გამახსენა, გამძღარ-ნასვამი ქართველები რომ შემოვძახებდით ხოლმე ჯერ კიდევ ამ ოციოდე წლის წინათ (როცა დარწმუნებული ვიყავით, რომ ეს მართლაც ასე იყო): „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ“...

ჯინი ბოთლიდან ამოვიდა და ახლა მისი უკან ჩადენა ძალზე ძნელია.

ეს ხუთშაბათს პარლამენტის წინ გამართულმა მართლაც ხალხმრავალმა აქციამაც დაადასტურა, როცა „სალარო აპარატების თემა“ უსაშველოდ გაფართოვდა და ქუჩაში მოსახლეობის სხვადასხვა ფენა გამოიყვანა, როცა ამ მიტინგს სხვა ქალაქების მკვიდრნიც შეუერთდნენ და, რაც მთავარია, ეკონომიკურ-სოციალური მოთხოვნების გვერდით პოლიტიკურიც გაისმა. არადა, პრემიერ-მინისტრი ნოღაიდელი, ჩვეულებისამებრ შუბლშეკრული აცხადებს, იმედი არ გქონდეთ, რომ ვინმეს რამეს დავუთმობთ, რამეს შევცვლითო.

ამის შემხედვარი ძალაუნებურად იფიქრებ: რატომ უშვებს ამდენ შეცდომას ხელისუფლება, რომელიც სწორედ რევოლუციად განსხეულებული სახალხო უკმაყოფილების შედეგად მოვიდა ხელისუფლებაში, რომელმაც მშვენივრად გამოიყენა წინა ხელისუფლების შეცდომები?

დავსვათ რიტორიკული შეკითხვა: რა მოხდებოდა, პრეზიდენტ შევარდნაძეს მთავარის – ხელისუფლების შესანარჩუნებლად, მცირედი რომ დაეთმო და არჩევნებში ნაცმოძრაობის მიერ მიღებული 26 პროცენტი ეღიარებინა?

ყოველ შემთხვევაში, არ მოხდებოდა ის, რაც მოხდა.

არ აღიარა და რევოლუცია მიიღო!

იქნებ ის „26 პროცენტი“ დღეს „სალარო აპარატებად“ არის ტრანსფორმირებული და თუ დღევანდელმა პრეზიდენტმა გუშინდელი პრეზიდენტივით საფრთხის მიახლოება ვერ იგუმანა, რა მოხდება მაშინ?

ეს კითხვა მით უფრო უპრიანია, რომ ხუთშაბათს მომიტინგეებთან პოლიციას პირველი (საკმაოდ მძაფრი) შეხლა-შემოხლა მოუხდა, რესპუბლიკის (ბოდიში, ვარდების) მოედანი კი ჯარისკაცებით მოპირული ავტობუსებით იყო სავსე.

რისთვის იყვნენ იქ ჯარისკაცები მიყვანილი? ვითარება რომ გართულებულიყო, იარაღი უნდა ეხმარათ თუ ცოცხალ ლობედ აღმართულიყვნენ ხალხის წინ?

ჯარისკაცები ერთადერთი მიზნით მიჰყავთ ხოლმე მოქალაქეთა აქციებზე. ეს კი ყველა შემთხვევაში ძალიან ძვირი უჯდება ხელისუფლებას.

ამის მაგალითად 9 აპრილიც კმარა.

არავის დაავიწყდეს ეს!

ამ კვირაში ბეწვზე ეკიდა, მაგრამ ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ჩაიშალა ამ ხელისუფლების ძალზე არაპოპულარული წამოწყება – გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობის გაყიდვა (საერთოდ, ამ ბოლო ხანს პირდაპირ გვაწვიმს და გვათოვს ხელისუფლების სხვადასხვა ჯურის არაპოპულარული წამოწყებები).

სულაც არ მსურს რაიმე პარალელის გავლება, მაგრამ ახლა საჭიროებამ მოიტანა და სწორედ რომ არ შემიძლია არ გავიხსენო ბატონ ვლადიმერ პუტინის ამასწინანდელ ტრადიციულ პრესკონფერენციაზე განცხადებული: „ჩვენი, სახელმწიფოს მიზანია გავაუმჯობესოთ პრესის დამოუკიდებლობა. ეს, უპირველეს ყოვლისა, მისი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებით, ეკონომიკური დამოუკიდებლობით მიიღწევა“...

პირდაპირ შეგშურდება, ისეთი ნათქვამია!

საქართველოს პრეზიდენტი კი, პრესის დამოუკიდებლობის გაუმჯობესების ღონისძიებასთან დაკავშირებით მხოლოდ იმას გვიმხელს (ბოდიში კი ვიხდი, ათასმეერთედ გამეორებისთვის), გაზეთებს არც მე ვკითხულობ და არც ხალხიო.

ეს ნართაულად იმის მინიშნებაა, რამდენიც და რაც გინდათ ის წერეთ და იკითხეთ, მეტი დამოუკიდებლობა რა გინდათო.

იქნებ იმიტომ არის ჩვენი ხელისუფლება გრანიტის კოლოსივით შეუვალი გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობის გინდა თუ არა გაყიდვასთან დაკავშირებით, ეს ამდენი ჟურნალ-გაზეთი და ტელეკომპანია ქუჩაში რომ აღმოჩნდება, უფრო გამოიღებს ხელსო.

აშშ პრეზიდენტი კენედი ამბობდა, მიეცით ჟურნალისტებს ნება, გვაკრიტიკონ, ყოველი ჩვენი ნაბიჯი შეამოწმონ, უამისოდ თავისუფალი სახელმწიფოს მშენებლობა წარმოუდგენელიაო.

ეტყობა, ამ გამოჩენილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწის ეს სიტყვები მოსვენებას არ აძლევს ჩვენს ხელისუფლებას და ქართველი ჟურნალისტები, უსახლკაროდ გარეთ გარეკვით, პირდაპირ კრიტიკის იალაღზე სურს მიუშვას.

გაყიდვის პერმანენტულმა მუქარამ ორშაბათს, სულ ცოტა, ერთი თვით გადაიწია: ჯერჯერობით არ გამოჩნდა „პრესის სკაში“ 20 მილიონი დოლარის გადახდის მსურველი.

სწორედ ამის იმედად ვართ, რომ არ გამოჩნდება, თორემ ხელისუფლების იმედით მტერი იყოს.

დაბოლოს. გახსოვთ, ალბათ, „დათა თუთაშხიაში“ მუშნი ზარანდია რომ ამბობს, ჯამაგირი კი არ უნდა ეყოს კაცს, კაცი უნდა ეყოს ჯამაგირსო.

ნიშანდობლივია, რომ მწერალი სწორედ ჟანდარმს ათქმევინებს ამ სიტყვებს იმის ხაზგასასმელად, რომ ისეთ ბნელეთის საუფლოშიც კი, როგორიც ჟანდარმერიაა, შეიძლება მუშაობდეს ადამიანი, რომელსაც დაბალი ხელფასი ღირსებას ვერ აკარგვინებს.

სამწუხაროდ, ბატონი ჭაბუა ამირეჯიბი იმას აღარ ამბობს, რომ მიუშვა, სანამდე შეიძლება მივიდეს კაცი საკუთარი თავის შეფასებაში და რა უსაშველო რაოდენობის ანაზღაურება შეიძლება დაინიშნოს, ნება რომ მისცე?

აი, ნება მიიცეს „ვარდების რევოლუციას“ მოყოლილმა მზეჭაბუკმა (და მზექალწულმა) მოღვაწეებმა ქვეყანაში არსებულ მინიმუმზე 100-ჯერ მეტი(!) ოდენობის ხელფასები დაინიშნეს, ლაღად და თვალის დაუხამხამებლად! განსაკუთრებით კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარის დიმიტრი ქიტოშვილისა და „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ (ყოფილი ტელერადიოკომიტეტის) ხელმძღვანელის თამარ კინწურაშვილის პირდაპირ მგლური მადა იქცევს ყურადღებას (უხერხული კია, მაგრამ სხვა სახელს ნამდვილად ვერ უწოდებ): როგორც ამბობენ, მათი ყოველთვიური შემოსავალი 12 ათას ლარს აღწევს!..

არადა, ეს თანხები ბიუჯეტიდან, ანუ ჩვენი ჯიბიდან გადის.

პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესდების კომიტეტში ასეთი ჰიპერტროფირებული ხელფასების შესწავლა დაიწყო.

გამორიცხული არ არის, ამ შესწავლის შედეგებიც იქცეს მომავალი რევოლუციის საბაბად.

თუმცა ამის შესახებ შემდეგ, როცა კომიტეტი შესწავლას დაასრულებს...

**ალეკო ასლანიშვილი.**

◎ სიმართლის მოლოდინში

# სჯობს, პრეზიდენტმა ხალხს მოუსმინოს, ვიდრე – დამქაშებს

**არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციამ კინოს სახლში გუშინ შეკრება გამართა, რომელზეც პოლიციის მხრიდან ბოლო პერიოდში ახალგაზრდების უმოწყალოდ ხოცვას აპროტესტებდნენ. შეხვედრას გარდაცვლილი სანდრო გირგვლიანის ოჯახის წევრები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, ოპოზიციური პარტიების ლიდერები, მესამე სექტორის წევრები, შვილმკვდარი დედები და რიგითი მოქალაქეები ესწრებოდნენ. დარბაზი ერთხმად მოითხოვდა: უკანონობას ბოლო მოეღოს, სანდრო გირგვლიანის საზარელი მკვლელობა ბოლო იყოსო.**

შსს სამინისტროს ამგვარი ქმედებებით შეძრწუნებულ მოქალაქეთა რიცხვი რომ დიდია, ეს გუშინაც ნათლად გამოჩნდა: დარბაზმა ხალხი ვერ დაიტია, კინოს სახლის მიმდებარე ტერიტორიაც სავსე იყო.

საზოგადოებას კარგად ახსოვს, თუ როგორ გასცეს ბრძანება შსს მინისტრმა და ქვეყნის პრეზიდენტმა, დამნაშავეებს ესროლეთო. სწორედ ამიტომ, არასამთავრობოები აცხადებენ, დღეს, ფაქტობრივად, ნებადართულია იმ პირთა სასამართლოს გარეშე დასჯა, რომელთაც პოლიციის მაღალჩინოსნები დამნაშავედ ჩათვლიანო.

ასეთი ნებადართული ძალმომრეობის მსხვერპლი ბოლო თვეების განმავლობაში უკვე მრავალი ადამიანი გახდა. ეს მაშინ, როდესაც სიკვდილით დასჯა გაუქმებულია და სიცოცხლის უფლება, როგორც ადამიანის ფუნდამენტური უფლება დაცულია კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით. არასამთავრობოები აცხადებენ, რომ პრეზიდენტი და შინაგან საქმეთა მინისტრი იძლევიან „სიკვდილის ოპერატიულ დაკვეთას“, საზოგადოებას კი ეგზავნება შეტყობინება, „შენი სიცოცხლე საფრთხეშიაო“.

„ჩემი შვილის საქმეზე ერთი დამნაშავეც რომ დარჩეს დაუსჯელი, არ გავჩერდებით“, – ალბათ შესაშურია ქალბატონ ირინა ენუქიძის ასეთი აქტიურობა. ოჯახის წევრებს უჭირთ ბედთან შეგუება. სანდროს დედის შემართებამ არაერთი შვილმკვდარი დედა გამოაფხიზლა და მოაქმედა, თურმე ნუ იტყვით, შსს სა-



მინისტროს ჩინოსანთა ჩარევით დაღუპული ახალგაზრდების რიცხვი მართლაც დიდი ყოფილა, ამის გასახმაურებლად და საქმის ბოლომდე მისაყვანად გაუბედურებულ მშობლებს, უბრალოდ, ძალა აღარ ჰყოფნით. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ მკვლელს გავლენიანი ახლობელი, ნათესავი, მფარველი ჰყავს და საქმე იოლად იფარცხება.

გუშინ კინოს სახლის დარბაზში ითქვა, რომ გირგვლიანის საქმე აუცილებლად ობიექტურად უნდა გამოიძიონ, რაც მსგავსი საქმეების გახსნის საფუძველი შეიძლება გახდეს.

ბაჩო ახალაიას „პროფესიონალიზმზე“, მის „მაღალკვალიფიციურობაზე“ ლაპარაკი ზედმეტია, რადგან, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარემ არ შეიძლება არ იცოდეს ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ ოთხი ეჭვმიტანილი ერთ საკანში არ უნდა მოათავსონ.

სანდროს ბაბუას ჯიმშერ ენუქიძეს უყურადღებოდ არ დარჩენია ერთი საგულისხმო ფაქტი: რომ სანდროს მკვლელობის შემდეგ შსს სამინისტროში იმატა სხვადასხვა დანაშაულების გახსნამ.

გუშინვე გაჟღერდა ძირითადი მოთხოვნებიც: სანდრო გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით დაისაჯოს ყველა ის თანამდებობის პირი, რომელიც დაკავშირებული არიან ამ საზარელ ფაქტთან. ამასთან, თანამდებობიდან დაუყოვნებლივ გათავისუფლდნენ დათა ახალაია, ოლეგ მელნიკოვკი, ვასილ სანოძე და კანონის სრული სიმკაცრით დაისაჯონ მკვლელობის თითოეული დამკვეთი და შემსრულებელი.

აზრი ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმაც გამოთქვეს. სალომე ზურაბიშვილს პრეზიდენტისა გაჰკვირვებია, რომ ერთი სიტყვაც არ აქვს სათქმელი ამ ხალხისთვის. ამასთან, იგი მიიჩნევს, რომ შსს მინისტრი ხელს აფარებს მკვლელებს და ამიტომ, იმის მიუხედავად გადადგება იგი თუ არა, ის უკვე აღარ არის მინისტრი.

ზვიად ძიძიგური კი მერაბიშვილს ურჩევს, გაითვალისწინოს ის, რასაც საზოგადოება მას ულტიმატუმის სახით უყენებს.

თუ მოთხოვნები ერთ კვირაში არ შესრულდება, უფრო ფართომასშტაბიანი აქციები შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობასთან გაიმართება.

**ლელა ცქიტიშვილი**

◎ აკრძალული ზონა

# გისოსებს მიღმაც გაზაფხულია

**8 მარტს ყველა ქალბატონი სინაწულით ეგებება. გამონაკლისი არც ის ქალბატონები არიან, ვინც გისოსებს მიღმა საკნებში ატარებს თავისი ცხოვრების ნაწილს. წლევანდელი 8 მარტი მათთვის გამორჩეული იყო.**



იუსტიციის სამინისტრომ და მისმა გაერთიანებულმა პროფკავშირების კომიტეტმა ქალთა დღესთან დაკავშირებით საზეიმო შეხვედრა მოუწყო სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №5 ქალთა დაწესებულების მსჯავრდებულებსა და თანამშრომლებს. შეხვედრამ მართლაც ამაღელვებელ ვითარებაში ჩაიარა. დაწესებულების დირექტორმა მედეა ალანიამ სტუმრებს გააცნო პატიმარ ქალთა კოლექტივი და მომსახურე პერსონალი, რომელთაც 8 მარტი მიულოცეს და ყვავილები გადასცეს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ გია მიქანაძემ, სამინისტროს გაერთიანებული პროფკავშირების კომიტეტის თავმჯდომარემ ზაურ გოშაძემ და მისმა მოადგილეებმა მიხეილ მუმლაძემ და ზაზა იტრაშვილმა. საჯარო სამსახურისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა პროფესიული კავშირის თავმჯდომარემ ტარიელ მგელაძემ კი დაწესებულება წიგნებით დაასაჩუქრა.

სამინისტროს პროფკავშირების ინიციატივით, ქალთა კოლექტივის პატივსაცემად გაიმართა კონცერტი ტყიბულელი ხელოვნის გია საყვარელიძის საოჯახო ანსამბლის მონაწილეობით. სცენაზე ერთმანეთის გვერდით ცეკვავდნენ, მღეროდნენ, ზეიმობდნენ სასჯელმისჯილი ქალბატონები და საყვარელიძეების ოჯახის წევრები.

ერთი დღით ადრე კი, 7 მარტს იუსტიციის სამინისტროს აპარატის ქალთა კოლექტივთან მოეწყო შეხვედრა. იგი გახსნა და ქალებს ყვავილებით მიულოცა იუსტიციის მინისტრმა გია ქავთარაძემ. მათ მიესალმა აგრეთვე სამინისტროს გაერთიანებული პროფკავშირების თავმჯდომარე ზაურ გოშაძე. გაიშალა საზეიმო სუფრაც. ანალოგიური ღონისძიებები გაიმართა იუსტიციის სამინისტროს დაწესებულებებსა და დეპარტამენტებში.

ამ ღონისძიებებში მონაწილე ქალთა კოლექტივმა დიდი მადლიერება გამოხატა მათი ესოდენ დიდი დაფასებისთვის.

**იუზა ჭარბაძე,**
**იუსტიციის სამინისტროს გაერთიანებული პროფკავშირების მრჩეველი.**

**სურათზე: გ. ქავთარაძე 8 მარტის დღესასწაულს ულოცავს სამინისტროს თანამშრომელ ქალბატონებს.**

# საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის
## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

### სს „ინტელექტბანკში“ დროებითი ადმინისტრაციის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ

**„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 59-ე მუხლისა და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე, 32-ე და 34-ე მუხლების შესაბამისად:**

1. სს „ინტელექტბანკის“ დროებით ადმინისტრაციას დამატებითი სამუშაოების დასრულების მიზნით მოქმედების ვადა გაუგრძელდეს 2006 წლის 10 აპრილამდე შემდეგი შემადგენლობით:

გიორგი კაპანაძე – დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, საქართველოს ეროვნული ბანკის ადამიანური რესურსის მართვის დეპარტამენტის არასახელმწიფო საპენსიო სქემის მართვის განყოფილების უფროსი, დაკავებული თანამდებობისა და თანამდებობრივი სარგოს შენარჩუნებით;

გიორგი გოგუაძე - საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობის დეპარტამენტის ბანკების ინსპექტირების განყოფილების მთავარი ეკონომისტი, დაკავებული თანამდებობისა და თანამდებობრივი სარგოს შენარჩუნებით;

ირაკლი ზარქუა - საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობის დეპარტამენტის ნაღდი ფულის კონტროლის განყოფილების მთავარი ეკონომისტი, დაკავებული თანამდებობისა და თანამდებობრივი სარგოს შენარჩუნებით.

2. საქართველოს ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა (გ. კალანდაძემ) უზრუნველყოს ამ განკარგულების ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნება.

3. ამ ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრება შეიძლება გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, სარაჯიშვილის 1ა).

**ე. გალდავა**

◎ ექო

# ეჭვსაც დიდი თვალები აქვს

## ვინ რატომ და როგორ მოვიდა „თბილგაზში“

**„თბილგაზის“ გენერალური დირექტორის გია გვიჩიანის დაკავებასთან დაკავშირებით საზოგადოების ერთ ნაწილს ამ უწყების სხვა თანამშრომლების მიმართაც ეჭვი აღეძრათ. ამ ეჭვმა გამოხატულება ჰპოვა ინფორმაციაში „საგულისყურო დამთხვევები“, რომელიც ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში დაიბეჭდა. ინფორმაციაში ფიგურირებს ცხვარაძის, ბასიშვილის, სარიას, უგულავას და ლეკიშვილის გვარები. „ვინ არიან და საიდან მოვიდნენ“, – კითხულობს ავტორი.**

ამ კითხვებზე პასუხის მისაღებად ვეწვიე „თბილგაზის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, რომლის თანამშრომელმა დოდო გუგავამ არ დაიზარა და ოპერატიულად შემახვედრა ზემოთ ჩამოთვლილ პიროვნებებთან. აი, რა მითხრეს მათ:

ელგუჯა ცხვარაძე: ამ ორგანიზაციაში 2005 წლის აგვისტოში მოვედი საგადასახადო ინსპექციიდან. მანამდე კერძო სექტორში ვმუშაობდი და „თელასთან“ არანაირი შეხება არ მქონია. განვაგებ მსხვილ მომხმარებელთა განყოფილებას. რაც შეეხება „რეზონანსის“ ინფორმაციაში ნახსენებ ცხვარაძეს, მას მირიანი ჰქვია და პირადად არ ვიცნობ. უფრო მეტიც: ამ სახელის კაცი ჩვენს სანათესაოში არავინ მეგულება.

ილია ბასიშვილი: 2005 წლის აგვისტოში „თელასიდან“ გადმოვედი დისტრიბუციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ. ამჟამად ვარ დირექტორი გაყიდვების დარგში. გია გვიჩიანს ერთ სამსახურში მუშაობიდან ვიცნობდი – იქ ერთ-ერთი ბიზნესცენტრის მენეჯერი ვიყავი. გვიჩიანი სხვა მიმართულებით მუშაობდა, მაგრამ ხშირად ვხვდებოდით თათბირებზე. მიცნობდა და როცა „თბილგაზში“ გადმოიყვანეს, სამსახური შემომთავაზა. სხვათა შორის, ლეკიშვილიც და ცხვარაძეც მისი რეკომენდაციით მოიყვანეს. მას შემდეგ აქ ბევრი ცვლილება მოხდა როგორც საკადრო, ისე ტექნიკური თვალსაზრისით. ეს მტკივნეული, მაგრამ აუცილებელი პროცესი იყო, რაც შედეგებშიც აისახა – მოხმარებული გაზის საფასურის ამოღება მთელი 300 პროცენტით გაუმჯობესდა! ეს შესაძლებელი გახდა კორუფციასთან, დარღვევებთან უკომპრომისო ბრძოლით, კადრების ოპტიმიზაციით. ამ უკანასკნელმა, ცხადია, უკმაყოფილოები მოგვიმრავლა, სამაგიეროდ, როგორც გითხარით, ორგანიზაციის ინტერესებმა მოიგო. ასეთი მაჩვენებლები არასოდეს გვქონია, თუმცა ტარიფი არ გაგვიზრდია.

ერთ ინფორმაციასაც მოგაწვდით: შარშან, ნოემბერში, სამსახურიდან გასულს თავს დამესხნენ. ვინ იყვნენ და რა აინტერესებდათ, ვერაფერს გეტყვით – ძიება მიმდინარეობს და ყველა კითხვას ის გასცემს პასუხს. ერთს კიდევ დავამატებ: გვიჩიანმა აქ საქმის მცოდნე სპეციალისტები მოიწვია. თუ როგორ გაამართლა ამ პრაქტიკამ, შედეგები ღაღადებენ...

დავით ლეკიშვილი: „თბილგაზში“ 2005 წლის სექტემბერში ტექნიკურ საკითხებში გენერალური დირექტორის მოადგილედ მომიწვიეს. ამჟამად ვარ დირექტორი საერთო საკითხებში.

ინფორმაციაში სწორად არის მითითებული, რომ ერთ დროს კახეთის საგადასახადო ინსპექციაში ვმოღვაწეობდი. ქალაქელი კაცი ვარ და იქ დიდხანს ვერ გავჩერდი, ამიტომ მშენებარე მეტროპოლიტენის დირექციის უფროსად გადმოვედი. მერე შეთავაზება გია გვიჩიანისგან მივიღე – მიცნობდა და ჩემს შესაძლებლობებსაც ჯეროვნად აფასებდა. ინჟინერიც ვარ და ფინანსისტ-ეკონომისტიც. გაცილებით მაღალი ანაზღაურება მექნებოდა და უარი რაზე უნდა მეთქვა? სამსახურებრივი თვალსაზრისით ჩვენი ერთად მუშაობა ნაყოფიერი გამოდგა. ეს აისახა არა მარტო ფინანსური, არამედ ტექნიკური კუთხითაც. სწორედ ამისი შედეგიც იყო, რომ მკაცრ ზამთარს თბილისმა შედარებით იოლად გაართვა თავი – უზრუნველვყავით ქალაქის უწყვეტი გაზმომარაგება.

„თბილგაზის“ ხელმძღვანელობამ საკადრო პოლიტიკაში მძიმე, მაგრამ აუცილებელი გადაწყვეტილებები მიიღო. ბევრი ადამიანი უსამსახუროდ დარჩა. ჩვენ ამას, ცხადია, განვიცდიდით, მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო, ამიტომ საკითხი ორგანიზაციის საქმიანობის ინტერესთა გათვალისწინებით გადავწყვიტეთ. უსამსახუროდ დარჩენილები შემოგვწყრნენ. ეგ ინფორმაციაც, ეჭვიც არ მეპარება, ერთ-ერთმა მათგანმა მოგაწოდათ.

**რესპონდენტებთან საუბრისას დავინტერესდი უგულავას პიროვნებითაც. „მაგ ადამიანს „თბილგაზში“ რაიმე თანამდებობა არ სჭერია. 2005 წლის აგვისტოში გათავისუფლდა. მისი სახელიც არ გვახსოვს“, – მითხრეს.**

**რაც შეეხება „თბილგაზის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს ეკა სარიას, ის გაცილებით დიდი ხნით ადრე მოვიდა ამ ორგანიზაციაში, ვიდრე გია გვიჩიანი გენერალური დირექტორის პოსტს დაიკავებდა. „რამდენიმე წელია, აქ ვმუშაობ, ხელფასიც ჩემი კვალიფიკაციის შესაბამისი მაქვს. თუმცა, ყოფილა შემთხვევა, როცა ამაზე მეტსაც მიხდიდნენ“, – ამბობს ქალბატონი ეკა.**

მის პროფესიონალიზმში კი კოლეგებს ეჭვი არასოდეს შეგვპარვია.

აი, ყველაფერი ის, რაც ზემოხსენებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით „თბილგაზში“ მაცნობეს.

**ელგუჯა ლებანიძე**

◎ რა ხდება „აბაშაში“? (საქართველოში?)

# 1.) უნივერსიტეტს წრეგადასული კანონდარღვევები და სიცრუის ნიაღვარი დაატყდა თავს

## ვინ დაიცავს თანამშრომლების უფლებებსა და ინტერესებს?

**2006 წლის თებერვალში თსუ-ს მეორე კორპუსის ფიზიკის დიდ აუდიტორიაში საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის თანამშრომელთა 500-კაციანი კრება ჩატარდა. კრებამ ფაკულტეტის თანამშრომელთაგან წარმომადგენლების 32-წევრიანი სათათბირო აირჩია და მას უნივერსიტეტში მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებით გარკვეული სამუშაო გეგმის შესრულება დაავალა.**

**კრების მოწვევის მიზანსა და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების თაობაზე, ძირითადად კი უნივერსიტეტში მეცნიერების დღევანდელ მდგომარეობაზე კრების საინფორმაციო ნაწილის ერთ-ერთი მომხსენებელი, ფიზიკის დეპარტამენტის დოცენტი დავით ქარქაშაძე გვესაუბრება.**

**მისი საუბრიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს საქართველოს მეცნიერება აღარ სჭირდება. ასეთი დასკვნის საფუძველს გვაძლევს ის წრეგადასული კანონდარღვევათა ციკლი და სიცრუის ნიაღვარი, რომელიც უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომლებს განათლების სამინისტრომ დაატეხა თავს. ადამიანები, რომლებიც სამეცნიერო-საგრანტო ხელშეკრულებას აწერდნენ ხელს, ფაქტობრივად გაუთვითცნობიერად აღმოჩნდნენ თსუ-სა და მათ შორის დროებითი შრომითი ხელშეკრულების ხელმომწერნი. სამინისტრომ ხელთ იგდო მეცნიერ-თანამშრომელთა მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი დროებითი შრომითი ხელშეკრულების სახით. ხელშეკრულების ვადის – 2005 წლის 31 დეკემბრის გასვლის შემდეგ კი, ხელშეკრულება აღარ გაგრძელდა.**

**დავით ქარქაშაძე:** სახელმწიფოს სიძლიერის საფუძველს ეკონომიკა წარმოადგენს, თანამედროვე ეკონომიკის განვითარების ქვაკუთხედი კი მეცნიერებაა. ეკონომიკურად ძლიერ სახელმწიფოში ადამიანთა კეთილდღეობის საკითხი მოგვარებულია და უფასო სასადილოების გახსნის აუცილებლობაც არ არსებობს.

ამერიკაში ფინანსები დაეძებენ კარგ იდეებს და არა პირიქით. ასე დაიწყო გასული საუკუნის 90-იანი წლების ეკონომიკური ბუმი აშშ-ში, რომლის ინიცირება სამეცნიერო კვლევებმა მოახდინეს. ბევრს გაუკვირდება, თუ ვიტყვით, რომ საქართველოშიც არის ბევრი საინტერესო იდეა, რომელსაც დასავლეთის ეკონომიკა დააფინანსებს. სამწუხაროდ, ჩვენ ამას ვერ ვიყენებთ. ისიც კი გამოვაცხადეთ, რომ მეცნიერება ქვეყანას არ სჭირდება. არადა, საერთაშორისო სტატისტიკის მიხედვით, მეცნიერებაში ინვესტირებული ერთი დოლარი, საშუალოდ, 3 დოლარის მოგებით უბრუნდება სახელმწიფოს.

ქართველ მეცნიერებს არათუ თავის შენახვა, სახსრების შემოტანაც შეუძლიათ და ამის მაგალითია, 2005 წლის სექტემბრიდან 2005 წლის დეკემბრამდე, ფიზიკის ფაკულტეტის სამეცნიერო ნაწილის მიერ თსუ-ში ორ მილიონზე მეტი თანხის შემოტანა (?!ძ.

***– რამ განაპირობა ფაკულტეტის კრების მოწვევა?***

– უნივერსიტეტის წესდებისა და საბჭოების გაუქმების შემდეგ თანამშრომლებმა სრულად დაკარგეს უნივერსიტეტის მართვაში მონაწილეობის ყველა უფლება და სრულიად დაუცველები აღმოჩნდნენ ზემოდან წამოსული დიქტატის წინაშე. ერთპიროვნულად და ხშირად უკანონოდ ტარდებოდა გარდაქმნები, რამაც მიგვიყვანა პერმანენტულ სასამართლო დავებთან. აშკარად გამოიკვეთა თავდაცვის დემოკრატიული მექანიზმის შექმნის აუცილებლობა, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა კრების მოწვევაში.

უნდა ვიცოდეთ კანონი და მისი საშუალებით თავის დაცვა. სამწუხაროდ, ამის კულტურა საზოგადოებაში ჯერ არ არის სათანადო დონეზე. კრების მიერ არჩეული 32-წევრიანი სათათბირო პირველ რიგში, სწორედ კანონის სრულად აღსრულებას და თანამშრომლების კანონიერი უფლებების დაცვას მოემსახურება.

***– თქვენი მოხსენება რა თემას ეხებოდა?***

– მე მოვახსენე კრებას იმ პროცესების ანალიზის შესახებ, რომელიც ჩაატარა განათლების სამინისტრომ უნივერსიტეტიდან სამეცნიერო ნაწილის გასატანად. ნორმატიული აქტების შესწავლისა და პრობლემაში ღრმად ჩახედვის შედეგად, ნათელი გახდა, რომ უნივერსიტეტიდან სამეცნიერო ნაწილის გატანა იყო განათლების სამინისტროს მიერ დაგეგმილი და საფეხურების მიხედვით გაწერილი პროცედურა, რომელიც შემდგომში უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ განახორციელა. ამას შედეგად მოჰყვა უნივერსიტეტიდან დაახლოებით 1500 მეცნიერ-თანამშრომლის ფაქტობრივი დათხოვნა. ეს ფაქტი რომ რეალობაა, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ჩვენს მიერ მოპოვებულ ოფიციალურ დოკუმენტში – ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის თანამშრომელთა სიაში, არც ერთი მეცნიერ-თანამშრომლის გვარი აღარ ფიგურირებს.

***– კონკრეტულად როგორ განხორციელდა უნივერსიტეტისაგან მეცნიერ-თანამშრომელთა დათხოვნა?***

– ამ პროცედურის პირველი ეტაპი იყო 2004 წლის 23 ნოემბერს განათლების სამინისტროს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტის მიერ სამეცნიერო გრანტების მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადება. კონკურსი მეცნიერ-თანამშრომლებმა აღიქვეს, როგორც საბაზო დაფინანსების პარალელურად სამეცნიერო გრანტის მიღების შანსი და მეცნიერებაზე სამინისტროს ზრუნვით აღფრთოვანებულნიც კი იყვნენ. ამის საფუძველს ისიც იძლეოდა, რომ საგრანტო დაფინანსება უნდა განხორციელებულიყო „სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების ხელშეწყობის“ პროგრამით, რომლის დაფინანსება ბიუჯეტში



ცალკე ხაზად შედიოდა და არ ეხებოდა უნივერსიტეტის მაშინ არსებულ დაფინანსებას, რომელსაც ბიუჯეტში ცალ-ცალკე ხაზები შეესაბამებოდა სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისათვის. ამრიგად, მეცნიერ-თანამშრომლებმა კონკურსში მონაწილეობა მიიღეს, თუმცა ზოგიერთი საკითხი თავიდანვე იძლეოდა ეჭვის საფუძველს.

***– კონკრეტულად რომელი საკითხები გაეჭვებდათ?***

– პირველი ის, რომ საკონკურსო პროექტების წარდგენის ვადა იყო ძალიან მოკლე – ოფიციალურად 13, რეალურად კი 7 დღე. მეორე ის, რომ კონკურსის პირობების, მონაწილეთა მიმართ მოთხოვნებისა და გრანტების დაფინანსების წყაროს შესახებ ინფორმაცია მხოლოდ პროექტების წარდგენის ვადის გასვლის შემდეგ (2004 წლის 6 დეკემბერიძ, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტის 7 და 8 დეკემბრის ბრძანებების გამოქვეყნებით გახდა ცნობილი. განსაკუთრებით გაუგებარი იყო ის ფაქტი, რომ დეპარტამენტი თავის 2004 წლის დეკემბერში გამოცემულ ბრძანებაში ეყრდნობოდა იმ საბიუჯეტო ცვლილებებს, რომლებიც ამავე ბრძანების მიხედვით, 2005 წლის აპრილში, ანუ ბრძანების გამოცემის შემდეგ უნდა განხორციელებულიყო.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კონკურსის შედეგების გამოქვეყნება მრავალგზის გადაიდო და მხოლოდ პრეზიდენტის № 473-ე ბრძანებულების (2004 წლის 8 ივნისიძ გამოცემის შემდეგ მოხდა.

***– რატომ უკავშირებთ ამ ორ ფაქტს?***

– საქმე ის არის, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონმა, რომელიც 2004 წლის დეკემბერში მიიღო პარლამენტმა, მოუხსნა უნივერსიტეტს საბაზო დაფინანსება და 2005 წლის ბიუჯეტშიც გაქრა უნივერსიტეტის დაფინანსების შესაბამისი ხაზები. მაგრამ პრეზიდენტის ბრძანებულების გამოცემამდე, უნივერსიტეტს ჰქონდა თავისი წესდება, რომელიც იცავდა მის თანამშრომლებს. პრეზიდენტის ბრძანებულებამ კი, ეს წესდება გააუქმა და სამინისტროს უნივერსიტეტის შიდა საქმეებში ჩასარევად ხელ-ფეხი გაუხსნა. ივნისში (წესდების გაუქმების შემდეგ) მოხდა საგრანტო კონკურსების შედეგების გამოქვეყნებაც და გრანტების გაცემაც, ანუ გრანტები ნახევარი წლით გვიან გაიცა.

***– თსუ-დან სამეცნიერო სექტორის გატანის მეორე ეტაპი რას გულისხმობს?***

– მეორე ეტაპი მდგომარეობს მეცნიერ თანამშრომელთა უნივერსიტეტიდან დათხოვნაში. სამინისტროსა და თსუ-ს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომელიც თსუ-ს ადმინისტრაციას ავალდებულებდა თანამშრომლებთან ოთხი სხვადასხვა ტიპის ხელშეკრულება დაედო: 1ძ გამარჯვებული პროექტის ხელმძღვანელთან; 2ძ გამარჯვებული პროექტის შემსრულებლებთან; 3ძ სამეცნიერო მუშაობის გაგრძელების მსურველებთან, რომელთაც გრანტი ამჯერად ვერ მოიპოვეს; 4ძ პირებთან, რომლებიც სამეცნიერო სტიპენდიის სანაცვლოდ, მზად იყვნენ დაეტოვებინათ უნივერსიტეტი. ასე მოხდა თანამშრომლებსა და თსუ-ს შორის არსებული უვადო ხელშეკრულების შეცვლა ხელშეკრულებით 2005 წლის 31 დეკემბრამდე.

***– რატომ შეეხო ხელშეკრულების დადება კონკურსში გამარჯვებულებს. საკონკურსო პირობები ამას ხომ არ ითვალისწინებდა?***

– სამინისტრომ იცოდა, რომ კონტრაქტებსდაუჩვეველი მეცნიერები ჯეროვნად ვერ გაერკვეოდნენ იურიდიულ დეტალებში და გამარჯვებულ თანამშრომლებს საგრანტო კონტრაქტის სანაცვლოდ სამუშაო ხელშეკრულებაზე მოაწერინა ხელი, ისე, რომ წინასწარ ეს მათთვის ჯეროვნად არ განუმარტავს. კერძოდ, როდესაც გრანტის მიმღები აწერდა ხელს კონტრაქტს, ის იღებდა გრანტს, მაგრამ ამავდროულად საკუთარი ნებით უარს ამბობდა უნივერსიტეტის თანამშრომლობაზე 2006 წლის 1 იანვრიდან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამინისტრომ გრანტების ფასად, მეცნიერები საკუთარი ნებით უნივერსიტეტიდან გაათავისუფლა და თანაც ისე, რომ ბევრმა ეს არც კი იცოდა.

ასეთი მარტივი სქემით გადავიდა საგრანტო დაფინანსებაზე უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაწილი, რასაც ავტომატურად მოჰყვა მისი სრული ლიკვიდაცია.

***– დღეს რა მდგომარეობაა თქვენს ფაკულტეტზე?***

– როგორც უკვე ვთქვით, დღეს უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტს არც ერთი მეცნიერ-თანამშრომელი აღარ ჰყავს. არც ერთი ტიპის ხელშეკრულება არ განახლებულა.

***– სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას რაიმე დამატებითი დასკვნა ხომ არ გამოგიტანიათ?***

– სასამართლო პროცესი, რომელიც 2005 წლის ივნისში დაიწყო, დღესაც გრძელდება. სასამართლო პროცესის მსვლელობისას სამინისტროსგან გამოთხოვილი ოფიციალური დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე, გამოირკვა, რომ მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტი იყო განათლების სამინისტროს ქვესაუწყებო ორგანიზაცია, რომელსაც არავითარი ბრძანებების გამოცემის უფლებამოსილება არ გააჩნდა, რაც იმას ნიშნავს, რომ საგრანტო კონკურსი გამოაცხადა უწყებამ, რომელსაც ამის უფლებამოსილება კანონით არ ჰქონდა. დღეს ეს დეპარტამენტი საერთოდ გაუქმებულია. როგორც ჩანს, სამინისტროს მუშაობის ასეთი სტილი აქვს: მნიშვნელოვან დოკუმენტებს პირველი პირი არასოდეს არ აწერს ხელს და როდესაც დარღვევები ძალზე აშკარა და გახმაურებული ხდება, შესაბამის უწყებას აუქმებენ და ხელმძღვანელსაც ხსნიან. ამის თქმის უფლებას ზემოხსენებულის გარდა, სხვა ფაქტებიც გვაძლევს.

**დალი ქვირია**

◎ როცა იძულებულს გაგხდიან

# წყევლაა რომ სრულდებოდეს

**– ღმერთო, იმ დღეს მომასწარი, ამ ავტობუსში ჩემსავით გაჭედილი ზურაბ ჩიკვილაძე და მისი ცოლი მაია ნადირაძე რომ ვნახო და მერე, გინდა, მომკალიო, – ხმამაღლა ამბობდა ის მოხუცი ქალი, სულ ცოტა ხნის წინათ გაჩერებაზე რომ იხვეწებოდა, ნუ დამტოვებთ, როგორმე შემომიშვით, მთელი საათი ველოდები ამ საოხრო ავტობუსსაო.**

– ეგენი ვინ არიანო? – იკითხა ერთმა „გაუთვითცნობიერებულმა“ მგზავრმა. – მერიაში ტრანსპორტის უფროსი და მისი ცოლი, პარლამენტში ნაცუმრავლესობის ლიდერი. ამას წინათ ბექაურს ჯერ თავგამოდებით რომ იცავდა, ახლა კი თავის მტრად რომ აცხადებს, რადგან მან მისი და მისი ქმრის ქონება საეჭვოდ მოხვეჭილად მიიჩნია.

ასეთი სცენა ხშირად მეორდება ორმოცდამეექვსე ნომერ ავტობუსში, დიღმის ბაზრის მახლობლად რომ იღებს სტარტს და ქვემო ფონიჭალის დასახლებამდე ჩადის. ეს ერთადერთი მარშრუტია, რომლითაც დიღმის მასივისა და დიდუბის მოსახლეობას თბილისის ცენტრში, ანუ რუსთაველის პროსპექტზე, თავისუფლების მოედანზე მოხვედრა რომ შეუძლია. მანქანები მუდამ ისე გადაჭედილი დადის, რომ, როგორც



ლევან ლომაძის ფოტო.

იტყვიან, შიგ ნემსი არ ჩავარდება, ამ დროს კი მოლარეები, მგზავრობის ფულს რომ აგროვებენ, წამდაუწუმ გაიძახიან, ცოტა კიდევ შეიწიეთო.

ავტობუსში რას არ გაიგონებ: ჩვენი პრეზიდენტი რომ ტრაბახობს, ჩემი ფანჯრებიდან რუსთაველზე ყვითელი ავტობუსების დანახვა თვალსა და გულს მიხარებსო, რატომ არ ინტერესდება, ამ მანქანების უმრავლესობა ვაკეში, ან ვაკის გავლით საბურთალოზე რომ დადის, რაო, სხვა უბნებში, თუნდაც დიღმის მასივსა და დიდ დიღომში ხალხი არა ცხოვრობს?

გადაჭედილ ავტობუსში იმასაც ამბობენ, წყევლაც რომ სრულდებოდეს, თბილისის ტრანსპორტის უფროსმა ზურაბ ჩიკვილაძემ ამ ყვითელი ავტობუსებით ისე დიდძალი, „მწვანე ფული“ გააკეთაო (ალბათ დოლარებს გულისხმობდნენძ და გინდა სამუშაოდან გაანთავისუფლონ, არც ის და არც მისი ცოლი ასეთ ავტობუსში მაინც არ ჩასხდებიანო. სხვათა შორის, ამ ჭორმა თუ სიმართლემ პარლამენტშიც გაიჟღერა.

მაინც რა მოხდა, ასე რატომ გაჭირდა მგზავრობა ამ მარშრუტზე?

ჯერ იყო და ზაფხულში იმ ყბადაღებულ პატრიოტთა ბანაკების გამო მოხსნეს რამდენიმე მანქანა – ბავშვებს უნდა მოემსახურონ პრეზიდენტის ბრძანებითო.

ახლა კიდევ, თურმე საბურავები გასცვეთიათ და შესაცვლელი ველარ ჩამოუტანიათო. ამიტომ 16-ის ნაცვლად მხოლოდ 8-9 მანქანა დადისო. რაო, არ იცოდნენ, რომ შარშანდელი მარტ-აპრილის შემდეგ თითქმის ორმაგად გაგრძელებულ მარშრუტზე მომუშავე მანქანებზე საბურავების შეცვლა იქნებოდა საჭირო? თადარიგი ვერ დაიჭირეს?

აქ, ავტობუსში ისიც თქვეს, ნუთუ ამ ავტობუსით ერთი ჟურნალისტი მაინც არ მგზავრობს, რომ გაზეთში დაწეროსო, რათა ქალაქისა თუ ქვეყნის მთავრობამდე მიიტანოს ამ ჩვენი გაჭირვების ამბავიო.

აბა, როგორ გააგებინებთ გაცხარებულ მგზავრებს, რომ ამის თაობაზე უამრავჯერ დაწერილა, მაგრამ ხომ გაგიგიათ, წერე და იკითხეო. ასეა, როცა ქვეყნის პრეზიდენტი საქვეყნოდ აცხადებს, მე და ჩემი ხალხი გაზეთებს არ ვკითხულობთ, რადგან ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციები იქ არ იბეჭდებაო. თქვენ რა, ზურაბ ჩიკვილაძე და მაია ნადირაძე პრეზიდენტის ხალხი არ გგონიათ?!

**არადა, რამდენჯერ ითქვა, რომ დიღმის მასივს, განსაკუთრებით კი საავადმყოფოების ზონას, წესიერი (ზომის თვალსაზრისითძ საავტობუსო მარშრუტი მაინც უნდა აკავშირებდეს ქალაქის ცენტრს, რადგან ის პატარა უკრაინულ-იაპონური ავტობუსები, 46-ე მარშრუტს რომ ემსახურებიან, ვერანაირად ვერ აკმაყოფილებს მგზავრთა მოთხოვნას.**

**აბა, წყევლა ვის სიამოვნებს, მაგრამ როცა იძულებულს გაგხდიან, რაღას არ მოიმოქმედებ?**

**ვალიკო სიმონიშვილი**

დავფიქრდეთ!

# სიცრუის მსხვერპლი

**მარტს მხოლოდ გაზაფხულის მახარობელს კი არა, ქალთა თვესაც უწოდებენ. იგი, თავისი ამინდით, გამოუცნობია, მატყუარაა, ჭინჭყლია. ამბობენ, ქალიც ასეთიაო ხასიათით, ბუნებით. ცხადია, არც მარტის ყველა თვეა არეულ-დარეული, და არც ყველა ქალია აბნეულ-დაბნეული, მაგრამ არც ჭეშმარიტების უარყოფა შეიძლება, — მარტი და ქალი ბევრ რამეში ჰგვანან ერთმანეთს.**




ჩვენ ხშირად გვჯერა ის, რასაც გვეუბნებიან. თითოეული ჩვენგანი არის უბრალო ადამიანი, და არა საგადასახადოს ინსპექტორი, რათა ყველაფერი გადაამოწმოს. და თუ ეს გადამოწმება ერთხელ მაინც მოხდა, მორჩა, ბზარი გაჩენილია ორ ადამიანს, უპირველესად კი, ცოლსა და ქმარს შორის. ეჭვის ჭია დიდი მამაძაღლია. შეიძლება რაღაც წამებში გაანადგუროს რწმენაც და ნდობაც. გატეხილი პურის გამთელება კი, რაგინდ მოსიყვარულე ოჯახიც იყოს, ნამდვილად ძნელია...

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ფსიქოლოგთა მტკიცებით, აგრეთვე სტატისტიკური მონაცემებით, არ არსებობს ადამიანი, რომელიც არ მოტყუებულიყოს პირად ურთიერთობაში. ყველაფერი არ ხმაურდება, სკანდალი არ ტყდება, რადგან ძირითადად საქმე ტრიალებს მეუღლეებს შორის; მნიშვნელობა არ აქვს, ისინი კანონიერ ქორწინებაში არიან თუ სამოქალაქოში. ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია და მისი შერყევა თითქმის წარმოუდგენელია. დღესაც, 21-ე საუკუნეშიც კი, ქალთა 80 პროცენტი მალავს ასაკს, 70 პროცენტი — რეალურ შემოსავალს, 50 პროცენტი კი ცდილობს ტანსაცმლის მორგებითა თუ ქირურგიული ჩარევით გაიდიდოს მკერდი ან დაიპატარაოს ცხვირი.

ედინბურგის უნივერსიტეტის მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ქალები გაცილებით დამაჯერებლად ტყუიან, ვიდრე კაცები. მათი მტკიცებით, ქალები ლაპარაკობენ სწრაფად, სხაპასხუპით, არ აკეთებენ პაუზებს, ხატავენ ბუნებრივ სურათებს. ამიტომაც მათ ნათქვამს კაცები იოლად „კენკავენ“, იოლად იჯერებენ. კაცები კი, ტყუილის თქმისას, წამდაუწუმ რთავენ: —„ესე იგი“, „მაშასადამე“, „იცი, რა?“ ასეთ დროს ქალები უფრო ზუსტ დიაგნოზს სვამენ, თუმცა... ყოველი მეოთხე ქალი მაშინვე ხვდება, რომ ატყუებენ, მაგრამ ჩუმდება, საუბარს არ ამწვავებს. ესეც დასანახი და დასაფასებელია.

სხვათა შორის, ქალები კაცების „გაცურებას“ მშვენივრად ახერხებენ არა მარტო ოჯახში, არამედ სამსახურშიც. დიდ ბრიტანეთში, მაგალითად, ქალები დროდადრო იმიზეზებენ თავის ატკივებას, ბავშვის ავადმყოფობას, მანქანის სისწრაფოდ გარემონტებას, სამრეცხაოდან თეთრეულის გამოტანას; რუსეთში სამუშაოდან თავის დაღწევას ძირითადად ცდილობენ სახლში სანტექნიკოსის მოსვლით, ბინაში საეჭვო სიგნალიზაციის ჩართვით, კბილის უეცარი ატკივებით და ქორწინების თარიღის აღნიშვნით.

ცხადია, საქართველოც ამ მსოფლიოს ნაწილია და ტყუილის თქმა, როგორც იტყვიან, აქაც მოდის. ანდაზაც კი გვაქვს, — ტკბილი ტყუილის თქმა სჯობს, მწარე სიმართლის თქმასაო. არა, შეიძლება ამ ანდაზასაც ცოტაოდენი გამართლება ნამდვილად ჰქონდეს, მაგრამ ზღვარი ყველაფერსა აქვს. არ შეიძლება ტყუილის თქმა ნორმად ვაქციოთ, ადამიანები, მით უმეტეს, ოჯახის წევრები, სისტემატურად ვაბითუროთ, მათი ბედი ვათამაშოთ...

მე პირადად ძალზე მაწუხებს, რომ სადღეისოდ საქართველოში 202 ათასი მარტოხელაა, 450 ათასი ბერბიჭა და შინაბერაა; მაწუხებს ისიც, რომ 100-150 ათასი მეძავია, 200-250 ათასი კი ნარკომანია; დარწმუნებული ვარ, — ბევრი მათგანი მსხვერპლია ტყუილის თქმისა, დაპირების შეუსრულებლობისა, ადამიანების მიმართ რწმენისა და ნდობის დაკარგვისა... ასეთი მომენტების შემდეგ კი, ცხოვრებაზე ხელს იღებ, — მიდიხარ ყველაფერზე, აბსოლუტურად ყველაფერზე...

შარშან აჭარაში, ზედ ზღვის ნაპირზე, ახალგაზრდა ქალმა იმშობიარა. მან ბავშვს (ბიჭს) თავში ბლაგვი საგანი ჩაარტყა და მოკლა; წლეულს კი, დმანისის რაიონში, ასევე ახალგაზრდა დედამ და ბებიამ, ასევე ახალშობილი ბიჭი ჯერ დაახრჩვეს, მერე კი თოვლში ღრმად ჩაფლეს. ერთ-ერთი დედა იმასაც კი ამტკიცებდა, მე აბორტი ადრე გავიკეთე, ბავშვი ახლა არ გამიჩენია და, აბა, როგორ მოვკლავდიო. ეს ტყუილი ძალიან მალე გაიშიფრა, მაგრამ პატარას აღარაფერი ეშველა. იგი იმედის გაცრუებამ, ნდობის დაკარგვამ გაცილებით ადრე შეიწირა.

ესე იგი, არ გვინდა ტყუილი. მას მართლაც მოკლე ფეხები აქვს და ხშირად ტრაგიკული შედეგებიც მოაქვს. ალალობა, გულწრფელობა, სიმართლისმოყვარეობა მაინც სულ სხვაა!

**ბონდო გულიაშვილი**

ჟრუანტელი

### ქორწილიდან — ციხეში

**ბელგიაში ამოქმედდა ახალი კანონი, რომელიც ფიქტიური ქორწინებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს. იმ შემთხვევაში, თუ ქორწინება ბელგიის მოქალაქეობის მიღების მიზნით შედგა, კანონის დამრღვევთ ემუქრებათ ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთა.**

### გოგოც ამას ჰქვია!

**აშშ-ში დააკავეს 20 წლის კედის მარტინესი, რომელმაც 4 ბანკი გაქურდა. იგი ბანკში შედიოდა, მოლარეს დიდ ჩანთას აძლევდა და შიგ ფულს ალაგებინებდა. გარეთ კი ავტომობილში დეილ უილიამსი ელოდა და მყისიერად ორივე ქრებოდა.**

### სიღარიბეს და უცოდინარი

**მსოფლიოში სკოლაში სიარულის საშუალება არა აქვს 85 მილიონ გოგოსა და 45 მილიონ ბიჭს. 1,2 მილიარდი ადამიანიდან, რომელიც უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს, 70 პროცენტი სწორედ ქალები და ბავშვები არიან.**

### მაინც მრავლდებიან...

**ბრიტანული პრესის ცნობით, დედამიწაზე მშობიარობის დროს ყოველდღიურად 1440, ანუ წუთში ერთი ქალი იღუპება. ყველაზე ცუდი მაჩვენებელია ეთიოპიაში. აქ კვდება ფეხმძიმე ან მშობიარე ყოველი მეშვიდე ქალი.**

### ქალი და ყვავილები

**გამოკითხვით დადგინდა, რომ 8 მარტისთვის რუსი ქალისთვის ყველაზე უბადრუკი საჩუქარი გაზაფხულის ყვავილებია. რუსები უპირატესობას ანიჭებენ ბრილიანტებს, ქურქებს და ძვირფას პარფიუმერიას. კარგი იქნება, თუ ამას ასევე ძვირფასი რესტორანიც დაემატება.**

### მსხვერპლშეწირვა?

**ინდოეთის ერთ-ერთ მიყრუებულ სოფელ ბადხაპურში ქალმა და მისმა ორმა შვილმა 7 წლის ბიჭუნა სახლში შეიტყუეს და მოკლეს. მკვლელმა ქალმა განაცხადა, რომ მან ეს ზეციური ძალების ბრძანებით ჩაიდინა. ერთი წლის წინათ მსგავსი რამ ქნა ამ ქალის ძმამაც.**

### ჯერი მეძავობისა

**ესტონეთის ჯანმრთელობის განვითარების ინსტიტუტი შიდსზე გამოსაკვლევად იწვევს მეძავებს. სამაგიეროდ ლამაზმანებს დაურიგებენ უფასო ტალონებს, რომლებითაც სპეციალურ მაღაზიაში შეიძენენ პროდუქტს. ალკოჰოლსა და სიგარეტს. ასეთ თანამშრომლობაზე უარს თითქმის აღარავინ ამბობს.**

### ვის ჰყავს პაპა ამისთანა?

**იტალიის პოლიციელებმა პარკის პირას შეამჩნიეს ავტომანქანა, რომელიც ძალუმად ირყეოდა. მიუახლოვდნენ, ჩაბურულ მინებში უბრახუნეს, მაგრამ გარეთ ვერავინ გამოახედეს. ცოტა ხანში ავტომანქანიდან შარვალჩახდილი ჭაღარა მამაკაცი გადმოხტა და თავი ბუჩქებს მისცა. მაინც დაიჭირეს და 85 წლის პაპას 74 წლის ბებიასთან თავდავიწყებული სექსისთვის 50-დღიანი პირობითი სასჯელი დაადეს.**

### ქალები პატარებს ეტანებიან

**სოციოლოგების დაკვირვებით, ბრიტანელი ქალები სულ უფრო მეტად და მეტად მიჰყვებიან ცოლად უმცროს მამაკაცებს. 1963 წელს ქვეყანაში პატარებს „წამოეკიდა“ გათხოვილთა 15 პროცენტი, 2003 წელს კი — უკვე 26 პროცენტი. ამასთან, 10 წყვილიდან, რომელთაც შვილი ჰყავთ, ოფიციალურ ქორწინებაში მხოლოდ შვიდია.**

დარშიც, ავდარშიც





ავარია

# მანქანა და ლოთობა?

**სამწუხაროდ, საქართველოში ყოველდღიურად ხდება ავტოკატასტროფები, რომელთა უმეტესობა მსხვერპლით მთავრდება. ამის მიზეზად ძირითადად მძღოლების დაუდევრობას, სიჩქარის გადაჭარბებას, ლოთობას, მოძრაობის წესების დარღვევას და ავტომანქანების ტექნიკურ მდგომარეობას ასახელებენ. სწორედ ამის გამო დღის წესრიგში დადგა ახალი კანონის შემუშავება, რითაც მარჯვენასაჭიანი მანქანებით მოძრაობა აიკრძალება. მართალია, მძღოლების ნაწილმა ამაზე პროტესტი გამოთქვა, მაგრამ, როგორც ვარაუდობენ, ეს კანონი ზაფხულიდან მაინც ამოქმედდება.**

მდგომარეობა რომ მართლაც სავალალოა, ამაზე წლევანდელი შედეგებიც მეტყველებს. სტატისტიკის მიხედვით, ამ პერიოდში დაფიქსირდა 300-ზე მეტი ავტოსატრანსპორტო შემთხვევა, რომელთა დროსაც 30-მდე კაცი დაიღუპა, 400-მდე კი დაზიანდა...

ზესტაფონის რაიონის სოფელ არგვეთაში ავტომანქანა „ოპელი“ სავალი ნაწილიდან გადავიდა და გადაბრუნდა. მას თბილისელი 21 წლის გიორგი მიქაძე მართავდა, რომელიც გადამეტებული სიჩქარით მიდიოდა და საჭე ვერ დაიმორჩილა. მასთან ერთად ვალერი ბანძელაძე, ზაზა მაისაია და თეიმურაზ გორჩელაშვილიც დაზარალდნენ, რომლებიც სხვადასხვა დაზიანებით საავადმყოფოში გადაიყვანეს.

სენაკში უკუსვლით მოძრავი „კამაზი“, რომელსაც დიმიტრი კვაშილავა მართავდა, ფეხით მოსიარულე ადგილობრივ მცხოვრებ ბესო ხუხიას დაეჯახა. იგი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. ხაშურის რაიონის სოფელ ოსიაურთან კი „ოპელ-ვექტრა“ ფეხით მოსიარულეს დაეჯახა, რომელსაც თბილისელი ჯაბა ნადირაძე მართავდა. შეჯახების შედეგად ტყიბულელი 16 წლის გიორგი ჭელიშვილი საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ავტომანქანის შეჯახებამ ზუგდიდშიც იმსხვერპლა ერთი ფეხით მოსიარულე, რომელიც სოფელ ურთაში მცხოვრები მერი ქირია აღმოჩნდა. იგი ადგილზე გარდაიცვალა. პოლიციამ მძღოლი, სოფელ ჭითაწყაროში მცხოვრები კახაბერ ჯიქია მაშინვე დააკავა, რომელიც ავტომანქანას ნასვამ მდგომარეობაში მართავდა.



მარნეულის რაიონის სოფელ წერეთელთან კი ერთმანეთს ორი მანქანა შეეჯახა. პოლიციის ინფორმაციით, „ჟიგულის“ მძღოლმა, ამავე სოფელში მცხოვრებმა ტარიელ ღონღაძემ მთავარ გზაზე მოძრავ „ოპელ-ომეგას“, რომელსაც რუსთაველი გენო ჩაჩუა მართავდა, გზა არ დაუთმო და შეჯახების მიზეზიც სწორედ ეს გახდა. მგზავრებმა — ნინო ჭელიძემ, ლალი ხვიჩიამ და ნინო ნატროშვილმა სერიოზული ტრავმები მიიღეს.

ამ მაგალითების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ავარიულ სიტუაციებს მართლაც მძღოლების დაუდევრობა და „აზარტი“ ქმნის. მათი ასეთი დამოკიდებულება კი რიგით მოქალაქეებს სერიოზულ საფრთხეს უქმნის. მარტო იმის თქმა რად ღირს, რომ ყოველთვიურად საპატრულო პოლიცია ავლენს 300-350 ნასვამ მძღოლს (ორი ამდენს, ალბათ, ვერ ავლენს). ძალზე დამაფიქრებელია, რომ ესოდენ მომრავლებული რესტორნების წინ საღამოობით ასობით მანქანა დგას. ცხადია, შეჭიკჭიკებული მძღოლი (ზოგი ალკოჰოლით, ზოგიც — ნარკოტიკით) მერე საჭეს უჯდება და პოტენციური მკვლელიც ხდება. რად ვაგდებთ ხიფათში საკუთარ თავსაც და სხვის სიცოცხლესაც?

**ლელა მანაგლიშვილი**

შაბათის სტუმარი (იქნებოდა)

# ვინ გადაარჩინა ეროსი მანჯგალაძე თეატრალური ინსტიტუტიდან გარიცხვას

**30-32 წლის წინათ საქართველოს თეატრალური საზოგადოების საგამომცემლო განყოფილებაში ვმუშაობდი. თეატრალურ საზოგადოებაში, ცხადია, ხშირად მოდიოდნენ მსახიობები, რეჟისორები, თეატრმცოდნეები... ერთ დღესაც, ვხედავ, ჩვენი სათაყვანო ეროსი მანჯგალაძე ამოდის კიბეებზე! იმხანად ბატონი ეროსის საიუბილეო თარიღი — დაბადების 50 წლისთავი ახლოვდებოდა და ვიფიქრე, ავიღებ ინტერვიუს და რომელიმე გაზეთში დავბეჭდავ-მეთქი. ვიცნობდი ბატონ ეროსის, მივედი, მოვიკითხეთ ერთმანეთი და ჩემი სურვილიც გავანდე. დიდი ხალისით არ დამთანხმებია, შევატყვე, ხათრი ვერ გამიტეხა.**

**ჩამოვჯექით და ვისაუბრეთ.**

**დავწერე მასალა, გადავბეჭდე და მივიტანე ერთ ერთ გაზეთში, ვინძლო ეროსი მანჯგალაძისადმი მიძღვნილ ნომერში გამოეყენებინათ...**

**მიუძღვნა გაზეთმა წერილები მსახიობის 50 წლისთავს, მაგრამ, რატომღაც, ჩემი ინტერვიუ გვერდში „ვეღარ ჩაეტია“ (ასე მითხრესძ და გულდაწყვეტილმა წამოვიღე მასალა, თუმცა სხვაგან დაბეჭდვა აღარ მიცდია, ჩავდე საქაღალდეში და, ამდენი ხნის შემდეგ, ახლახან წავაწყდი შემთხვევით.**

**ჰოდა, მოდით, ძვირფასო მკითხველო, გავეცნოთ, 31 წლის წინანდელ ინტერვიუს ეროსი მანჯგალაძესთან. ჩემი აზრით, აქტუალობა მას დღესაც არ დაუკარგავს, დიდი მსახიობი ბევრ საინტერესო რამეს ჰყვება.**

**ვილენ მარდალეიშვილი**



სიყმაწვილისდროინდელი სასიამოვნო განცდა: სოფელს ბინდი ეპარება, შარვალდაკოტავებული ბიჭები, ფეხბურთის თამაში რომ ეს-ეს არის დავამთავრეთ, ეზოში კოინდარზე ვყრივართ და მოუთმენლად ველოდებით რადიოში „ნამდვილი ფეხბურთის“ დაწყებას. რამდენიმე წუთიც და ნაცნობი მარშის ხმა ეფინება ეზო-ყურეს... და ეროსი მანჯგალაძე ომახიანად იწყებს: „ყურადღება, ლაპარაკობს თბილისი, ლაპარაკობს თბილისი. ამხანაგო რადიომსმენელებო, ჩვენი მიკროფონები თბილისის „დინამოს“ სტადიონზეა“...

შემდეგ ეროსის ვბაძავდით, ხმას ვიბოხებდით, მისი რეპორტაჟის ზოგიერთ დეტალს ვიმეორებდით და თუ ზოგჯერ ეროსი მანჯგალაძეს არ მიჰყავდა რეპორტაჟი, გვეგონა: იმ დღეს თითქოს რაღაც მარილი და ეშხი აკლდა გადაცემას.

ჰოი, როგორ მინდოდა ამ ბუხუნა ხმის მქონე კაცის გაცნობა. მისი ყოველი გამოსვლა ხომ, ფეხბურთის რეპორტაჟების, რადიოსპექტაკლებისა თუ მხატვრული კითხვის დროს, ერთიანად მიმაჯაჭვავდა ხოლმე რადიოსთან და ვცდილობდი, დამეჭირა მისი ყოველი სიტყვა, ინტონაცია, ხან მჭექარე და ხანაც საოცრად ლბილი ტემბრი ხმისა („ესპანელი მღვდელიდან“ ზოგი სცენა ზეპირად ვიცოდიძ...

ყმაწვილკაცობის დღეები კი მიჰქროდნენ...

ჩამოვედი თბილისში და ამიხდა ოცნება — აქ გავიცანი „ცოცხალი“ ეროსი მანჯგალაძე, ჯერ სპექტაკლებით, შემდეგ კი — პირადად. გაზეთ „ეკრანის ამბებიდან“ გამაგზავნეს მასთან სასაუბროდ და მომცრო ინტერვიუც დაიბეჭდა.

ეს იყო და ეს...

და აი, ახლა ვესაუბრები ორმოცდაათი წლის ეროსი მანჯგალაძეს — სახელოვან, ხალხის საყვარელ მსახიობს, რომლის აქტიორულ ხელოვნებას ბევრჯერ მოვუყვანივართ აღტაცებაში.

— მეკითხებით, რამ მიმიყვანა თეატრში? ალბათ, ასე უნდა მომხდარიყო და მოხდა კიდეც. თუმცა, თავიდან, თეატრისკენ არც ვიხედებოდი, ფეხბურთის თამაშს ვიყავი გადაყოლილი. ერთ დღეს, რუსთაველის თეატრში „უდანაშაულო დამნაშავენი“ ვნახე, გიორგი დავითაშვილმა გადამრია კინაღამ. იმ დღიდან გადავწყვიტე სერიოზულად მეფიქრა მსახიობობაზე. ამ გადაწყვეტილებას ხელი ერთმა ფაქტმა შეუწყო. ჩვენს სკოლას შეფობას რუსთაველის თეატრი უწევდა, მახსოვს, დადგეს კიდეც „პატარა კახი“ და „რღვევა“. რუსთაველელებმაც მირჩიეს თეატრალურ ინსტიტუტში ჩამებარებინა მისაღები გამოცდები. რაოდენ დიდი იყო ჩემი გაკვირვება, როდესაც პირობით ჩამრიცხეს სამსახიობო ფაკულტეტზე, მეგონა კი, ქვეყანას გადავრევდი... მოვინდომე და საბოლოოდ დამტოვეს ინსტიტუტში.

***— პედაგოგები ვინ იყვნენ?***

— დიმიტრი ალექსიძე და გიორგი ტოვსტონოგოვი. ალბათ, ღმერთმა გადმომხედა, რომ ამ ადამიანებთან მოვხვდი. საქმე იქამდე მივიდა, რომ უკვე პირველ-მეორე კურსზე უფროსი კურსების სადიპლომო სპექტაკლებში ვმონაწილეობდი.



თავადი ვანო. „ხანუმა“, 1968 წ.

***— ბედი გქონიათ...***

— ნუ იტყვი... კაცი რომ შენს თავს გაპოვნინებს, ამაზე უკეთესი რა უნდა იყოს. დიმიტრი ალექსიძე, გიორგი ტოვსტონოგოვი და შემდეგ მიხეილ თუმანიშვილი დამეხმარნენ მეპოვნა ჩემი ადგილი ცხოვრებაში.

***— რადიოდიქტორი როგორღა გახდით?***

— კონკურსი გამოაცხადეს. ხუთასი კაცი მონაწილეობდა. გავიმარჯვე. მაშინ ჯერ კიდევ სტუდენტი ვიყავი. მიჭირდა, მაგრამ მაინც „ვიჭერდი ორ კურდღელს“. ერთხელ გარიცხვამდეც კი მივიდა საქმე, მაგრამ ისევ ცხონებულმა აკაკი ხორავამ მიშველა.

***— მაინც, რა მოხდა?***

— ფეხბურთის მატჩის პირველი ქართული რეპორტაჟი გადმოვეცი მოსკოვიდან, ინსტიტუტში არაფერი იცოდნენ ჩემი იქ ყოფნის თაობაზე. რა თქმა უნდა, რამდენიმე დღე გავაცდინე. ბეწვზე ეკიდა ინსტიტუტში ჩემი ყოფნა-არყოფნის საკითხი. აკაკი ხორავა უმალ მიხვდა პირველი ქართული რეპორტაჟის მნიშვნელობას და ყველაფერი მაპატია.

***— სიტყვა ფეხბურთზე ჩამოვარდა... თქვენ, როგორც „სტაჟიან“ და თანაც შესანიშნავ კომენტატორს, ამ მხრივაც ბევრი თაყვანისმცემელი გყავთ. „ბოროტი ენები“ იმასაც ამბობენ, ეროსი მსმენელის ასაღელვებლად რადიორეპორტაჟის დროს ზედმეტად ფანტაზიოროზსო...***

— აბა, რა გითხრათ... საერთოდ, შელამაზება მიყვარს, მაგრამ ამით ფაქტები არასოდეს დამახინჯებულა. მე თუ მკითხავთ, კომენტატორობა უინტერესო გახდა მას შემდეგ, რაც ტელევიზია ჩაერთო საქმეში. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ასეა. კომენტატორი გადაიქცა ფაქტების ალმწუსხველად, რეპორტაჟებიდან გამოეთიშა შემოქმედებითი ელემენტი. ახლანდელი კომენტატორი თეორიულად საოცრად უნდა ფლობდეს იმ დარგს, რასაც კომენტარს უკეთებს. უნდა შეეძლოს საფუძვლიანი ანალიზი. ფეხბურთში ასეთი თეორიული ცოდნა მე არ მაქვს და ამიტომ გადავწყვიტე, წელს საერთოდ თავი დავანებო ფეხბურთის კომენტატორობას. ერთ თამაშს გადმოვცემ და მორჩა...

***— თქვენმა თაობამ სრულიად ახალი ფორმა მისცა „ძველ“ თეატრს...***

— უწინ გმირულ-რომანტიკული თეატრი იყო. ამ ჟანრს კი ჩვენი რამდენიმე მსახიობი თუ მიესადაგებოდა. დანარჩენები ვერ ადიოდნენ დიდი ტრაგედიის სიმაღლემდე. ჩემმა თაობამ იკისრა ღრუბლებიდან ჩამოვსულიყავით და მიწა გვეგრძნო ფეხქვეშ. ამისათვის კი რაღაც უნდა დანგრეულიყო და დაინგრა კიდეც, მაგრამ ახლის აშენება არ გინდა? ამ ახალს რეალისტური ჰქვია, რეალისტური მიმართულება თეატრში კი, მოგეხსენებათ, რთული დარგია. აგერ, ამდენი ხანია, ვაშენებთ და ჯერ კიდევ... თუმცა, დანგრევა კი შევძელით.

***— თქვენს შემდეგ რა მოხდა?..***

— მკვეთრი გარდატეხა... გამოირკვა, რომ დღევანდელი ახალგაზრდობა სულ სხვაგვარად აზროვნებს და, თქვენ გგონიათ, მარტო თეატრში? საერთოდ, ყველა სფეროში. ახალგაზრდობას ახლა უამრავი საშუალება აქვს ოსტატობის დასახვეწად და ასამაღლებლად. აგერ, ტელევიზია შემოვიდა მოდაში... ზოგი ფიქრობს, რომ იგი თეატრის მტერია, კონკურენტია. მე პირიქით მგონია: ტელევიზია მსხვილი პლანით მშვენივრად დაგვანახვებს ხოლმე ავ-კარგს. ამას რა სჯობს. ერთი საოცარი ფაქტი მოხდა: ჩვენი რამდენიმე სპექტაკლი ტელევიზიით გადაიცა და, წარმოიდგინეთ, ხალხი მერე უფრო მოვიდა თეატრში — ინტერესი გაუმძაფრდა... აი, ამას ჰქვია პოპულარიზაცია.

***— ბატონო ეროსი, მსახიობობის გარდა, რომელ პროფესიას აირჩევდით?***

— ალბათ, ლიტერატურათმცოდნეობას... ძალიან მიყვარს ლიტერატურა.

***— თქვენ მხატვრული კითხვის ჩინებული ოსტატი ბრძანდებით. მაინც, რომელი ქართველი მწერლის ნაწარმოების წაკითხვა გგვრით განსაკუთრებულ სიამოვნებას?***

— ილია ჭავჭავაძისა და გალაკტიონის...

***— კი, მაგრამ, გალაკტიონის ლირიკას თქვენი ხმა...***

— ნუ გეშინიათ, აქვს გალაკტიონს ისეთი ლექსებიც...

***— კინოში როგორ მოხვდით?***

— დიდი ხნის წინათ გიორგი ასათიანმა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელების რომელიღაც



ეროსი მანჯგალაძის დაკრძალვა. 1982 წლის იანვარი; გარდაიცვალა 57 წლის ასაკში.

თამაში აღბეჭდა ფირზე და მეც აღმოვჩნდი შიგ. შემდეგ მხატვრულ ფილმებში მქონდა რამდენიმე როლი, მაგრამ, საერთოდ, გამოგიტყდებით, რომ კინოში ვერ ვიპოვე ჩემი თავი, არ შემხვდა ისეთი როლი, გულით რომ მინდა. ეს კი დრამატულ-კომედიური როლია...

***— მაშინ, აქვე მითხარით: რომელ ჟანრს უფრო „ირგებთ“, კომედიას თუ ტრაგედიას?***

— თუ როლი სწორად მაქვს გააზრებული, სულ ერთია, ტრაგედია იქნება თუ კომედია. ისე, ფანტაზიისა და იმპროვიზაციის გაშლის უფლებას უფრო კომედია იძლევა. ჩემს მიერ განსახიერებული როლებიდან, კომედიისა და დრამის ელემენტების შერწყმის თვალსაზრისით, ყველაზე კარგად თავს „გვადი ბიგვაში“ ვგრძნობ.

***— საინტერესოა, როგორ მუშაობთ?***

— ნამდვილ შემოქმედს, რა თქმა უნდა, არ აკმაყოფილებს მარტო რეპეტიცია. იგი სხვა დროსაც მუშაობს, ფიქრობს... მე ვთვლი, რომ მთავარია ფიქრი, განუწყვეტელი ფიქრი და შემდეგ მისი გადატანა სცენაზე. ფიქრი კი ყველგან შეიძლება... ხანდახან სუფრაზეც... როლზე მუშაობას არ უყვარს შეწყვეტა.

***— მალე სპექტაკლ „ხანუმას“ მესამასე წარმოდგენა იქნება. აგვიხსენით იმ განუზომელი წარმატების მიზეზი, რაც ამ ნაწარმოებს ხვდა წილად. ზოგიერთის აზრით, ხალხი დღეს გასართობ, მხიარულ სპექტაკლებზე უფრო დადის. ვითომ ასეა?***

— მე მგონია, რომ „ხანუმა“ მარტო „გასართობი“ და „მხიარული“ სპექტაკლი არ არის. მასზე ბევრი ურთიერთსაწინააღმდეგო აზრი გამოითქვა. სპექტაკლის რეცენზენტები, რატომღაც გვერდს უვლიან მთავარს — მსახიობთა ძლიერ ანსამბლს. მაყურებელს კი აინტერესებს, ესა თუ ის მსახიობი როგორ გადაიქცევა სხვა პიროვნებად, როგორ ხდება სპექტაკლში, როგორც სტანისლავსკი ამბობდა, „სცენური სასწაული“.

***— თუ გახსოვთ ყველაზე ბედნიერი დღე თქვენი შემოქმედებითი ცხოვრებიდან?***

— ასეთი დღეები, რა თქმა უნდა, ყოფილა, მაგრამ მე მაინც გამოვყოფ ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის დღეებს მოსკოვში, 1958 წელს. იცით, რატომ? იქ საოცრად გამოჩნდა რუსთაველის თეატრის სახე. მოხდა იდეალური შერწყმა თეატრის ძველი ტრადიციების და ახალი თვისებებისა. თანაც, მოსკოვში ვითამაშე სამი სხვადასხვა ხასიათისა და ყაიდის როლი: ტარიელ გოლუა, ესპანელი მღვდელი და ოიდიპოს მეფე, ჰოდა, მეტი რა უნდა მსახიობს...

1975 წ.

ვარსკვლავები

# იზაბელა როსელინი: ჩემთა კაცთათვის, ვხედავ, ვყოფილვარ თურმე... დედა!

*იზაბელა როსელინი 1952 წელს დაიბადა რომში. ეს ცნობილი მოდელი და მსახიობი ლეგენდარული მშობლების – იტალიელი რეჟისორის რობერტო როსელინისა და შვედი ჰოლივუდელი მსახიობის ინგრიდ ბერგმანის ქალიშვილია. დებიუტი ჰქონდა ვინსენტე მინელის ფილმში „დროის საქმე“, სადაც დედასთან ერთად თამაშობდა. „დედიკოს და მამიკოს“ საოცარ შვილად რომ არ აღექვათ, არასტანდარტულ როლებს ირჩევდა დამოუკიდებელ რეჟისორთა რისკიან პროექტებში. ხუთ საუკეთესო სურათად ეთვლება „ლურჯი ხავერდი“, „გულით ველური“, „სიკვდილი შვენის მაგ ქალს“, „უკვდავი მიჯნური“ და „ოდისევსი“.*

*ორჯერ იყო გათხოვილი. ჰყავს ქალიშვილი ელეტრა და ნაშვილები ვაჟი, რომელსაც მამის პატივსაცემად რობერტო დაარქვა.*



რბილი ხმა, კეთილმოსურნე მანერები, შიგადაშიგ ხმამაღალი სიცილი. სისხლის უნიკალური შენარევი – შვედურისა და იტალიურისა. შესაბამისად – ხან უშფოთველი სიმშვიდე, ხანაც მოულოდნელი ტემპერამენტული აფეთქებები. ჯიში ყველაფერში იგრძნობა.

ეს ქალი წლების მანძილზე იყო პლანეტის სექს-სიმბოლო, ასეულობით ჟურნალის ყდიდან მომზირალი სახით. მის ფეხთით განრთხმულ მამაკაცთა რიცხვში შედიოდნენ მარტინ სკორსეზე, მიხეილ ბარიშნიკოვი, დევიდ ლინჩი, გერი ოლდმანი... 53 წლის ქალის სახელი აქამდე შედის დედამიწის ულამაზეს ქალთა რეიტინგში, თუმცა კინოში ხშირად შეგნებულად ირჩევდა „სარეიტინგოსგან“ დაშორებულ, უცნაურ, უბედურ, დაკარგულ მანდილოსანთა როლებს. ისე, არც ეგზოტიკურ, მეფურ არსებათა განსახიერებას გაურბოდა.

წარმოსადეგობა ხომ მართლაც მეფური აქვს, ოღონდ უნდა ვიცოდეთ, რის ფასად! სიყმაწვილეში იზაბელამ ორი წელიწადი თაბაშირში მწოლარემ გაატარა სკოლიოზის გასასწორებლად, შემდეგ კი ექიმებმა ხერხემალში მისივე ფეხიდან აღებული ძვალი ჩაუდგეს. ასეთი ტანჯვაწვალებით იზადებოდა გასული საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე განთქმული მოდელი და მსახიობი.

**– თქვენი ცხოვრება და კინოროლები რაიმეთი თუ თანხვდებიან?**

– არა. თამაშის დროს გარდასახვას ვცდილობ. მსახიობის პროფესიის მთავარი სიამოვნებაც ეს არის. ჩემი მსგავსი ქალის თამაშს თუ მთავაზობენ, უხერხულობას ვგრძნობ. ჩემი ბოლო როლი ურანია გახლავთ მარიო ვარგას ლიოსას რომანის „თხის დღესასწაულის“ ეკრანიზაციაში. ის ადრე გააუპატიურეს, როგორც ჩემი გმირი ქალი დევიდ ლინჩის „ლურჯ ხავერდში“. მეგულისყურებოდა იმაში გარკვევა, რამდენად სხვადასხვაგვარად ართმევს თავს ეს ორი არსება გადახდილ დრამას.

**– თქვენ იყავით დიდი და საშინელი დევიდ ლინჩის მუზა და მეგობარი. როგორ მუშაობდით იმ „ლურჯ ხავერდზე“?**

– დევიდი სულ არ მეხმარებოდა დოროთის სახეში გარკვევაში. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო იმის გაგება, თუ საიდან იყო წარმოშობით ეს ჩემი გმირი, როგორი ჰქონდა წარსული, რატომ ცხოვრობს პატარა ქალაქუნაში და ჩემი იტალიური აქცენტი აქვს? რეჟისორმა ყველაფერი იცოდა იმაზე, მაგრამ სდუმდა. ეგებ ასე სურდა ჩემი ფანტაზიის გაღვიძება.

**– რა გიზიდავთ ასეთ რისკიან პროექტებში? აგერ, კანადელი ავანგარდისტის გაი მედინის სურათში, „მსოფლიოში ყველაზე სევდიანი მუსიკა“, თქვენი გმირი გადაადგილდება... ბროლის ფეხზე.**



– ყველაფერი ეს ალბათ მამაჩემის გავლენაა! ის განუმეორებელი მხატვარი, პირველაღმომჩენი გახლდათ (სწორედ რობერტო როსელინიმ და მისმა ფილმმა „რომი ღია ქალაქია“ დაუდეს სათავე ომისშემდგომ იტალიურ ნეორეალიზმს – **რედ.**ქ. ჰოდა, როცა სამყაროს ორიგინალური ხედვის მქონე რეჟისორს ვაწყდები, უმალვე ვგრძნობ იმასთან ჩემ სიახლოვეს. გენიოსებთან ლაღად ვარ. მესმის, რასაც ფიქრობენ და განიცდიან ლინჩი, გრინუეი, სხვანი. ისინი მამაჩემივით თავისუფალი რადიკალები და ინდივიდუალისტები იყვნენ.

**– ქალები ხშირად ეძებენ შეყვარებულებში თავიანთ მამებს. გადაგხდენიათ ასეთივე ისტორია?**

– არა. არასდროს მიგრძვნია თავი სკორსეზეს ან ლინჩის ქალიშვილად. უფრო პირიქით – მათ დედად. უბრალოდ, საქმე ისაა, რომ კინო სისხლში მაქვს გამჯდარი. კინოსთან ერთად ვიზრდებოდი. ბავშვობიდანვე გავითავისე, რომ კინო რეჟისორის ხელოვნებაა. ოღონდ დიდი ხანია, რაც მამიკოს არ ვეძებ. თვითონ ვარ ჩემი თავის დედაც და მამაც.

**– არ შეიძლებოდა, დიდ მშობლებს გავლენა არ მოეხდინათ თქვენზე.**

– როგორც მსახიობს, არასოდეს მიცდია დედის მიბაძვა (ინგრიდ ბერგმანი ლეგენდარული მსახიობია, ათეულობით შესანიშნავ სურათში გადაღებული, „კასაბლანკადან“ და ალფრედ ხიჩკოკის რამდენიმე ლენტიდან ინგმარ ბერგმანის „შემოდგომის სონატამდე“ – **რედ.**ქ. ან ვის გამოუვიდოდა ეს? რომც მომენდომებინა, არც არაფერი გამომივიდოდა. არც ვცდილობ მიბაძვას, უბრალოდ მსოფლიოს ვუნახავ ჩემი მშობლების ხელოვნებას. ჩემს ძმასთან, რენცოსთან ერთად, მამის ფილმების რესტავრაციას ვეწევი, დედის არქივზე ვზრუნავ, რეტროსპექტივებს ვაწყობ, წიგნებს ვაქვეყნებ მშობლებზე... ეს ჩემი ცხოვრების ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია. 1940-1950-იანი წლების კინოვარსკვლავთაგან დედაჩემს ერთ-ერთი ყველაზე მდიდრული არქივი აქვს. ყველაფერს ინახავდა: წერილებს, სცენარებს, კონტრაქტებს, ფოტოგრაფიებს, კოსტიუმებს...

**– არ გაქვთ რამე პრობლემა კინოში?**

– კინოში ჩემი მთავარი პრობლემა ყოველთვის იყო აქცენტი, რაც მიზღუდავდა მსახიობურ ჰორიზონტებს. ამ მიზეზით, ლინჩი რომ არა, ვერ ვითამაშებდი ამერიკელ დიასახლისს.

**– მოგწონთ თქვენი სახის ყურება უზარმაზარ ეკრანზე?**

– ჩემს ფილმებს პროფესიული მოსაზრებებით ვნახულობ. ხომ უნდა მივხვდე, ყველაფერს სწორად ვაკეთებ თუ არა. ჩემი თავის საუკეთესო მსაჯული თვითონვე ვარ. ყოველთვის ვამოწმებ ახლად გადაღებულ მასალას: როგორ გამოვიყურები, როგორ მაცვია, როგორი გამოვიდა ვარცხნილობა, „მუშაობს“ თუ არა ეს ყველაფერი როლზე. სურათი როცა მზადაა, ერთხელ ან ორჯერ ვნახავ და მორჩა.

„КП“

ყველაფერი ყველაფერზე

## სურდოპედაგოგმა 130 წლის წინათ ტელეფონი გააჩინა



**130 წლის წინათ – 1876 წლის 10 მარტს – გაიმართა პირველი სატელეფონო საუბარი. ამ მოვლენამდე სამი დღით ადრე კი, 7 მარტს, ალექსანდერ გრემ ბელმა მიიღო ამ გამოგონების პატენტი.**

შოტლანდიელი ბელის პირველი პროფესია იყო სურდოპედაგოგი, ანუ იგი ასწავლიდა „ლაპარაკს“ ყრუებს. მაგრამ უკვე 18 წლის ასაკიდან იგი გაიტაცა სადენების მეშვეობით ადამიანების საუბრის გადაცემის იდეამ. სწორედ ამიტომ, გადავიდა საცხოვრებლად შეერთებულ შტატებში. მან, მართალია, ყრუ ბავშვებისთვის გახსნა სკოლა ბოსტონის უნივერსიტეტთან, მაგრამ მაინც ახორციელებდა აკუსტიკურ ცდებს. ყოველივე ამის მიუხედავად, ტელეფონი, ურომლისოდაც დღეს ვერც კი წარმოგვიდგენია ცხოვრება, ამ ქვეყანას სრულიად შემთხვევით მოევლინა. ბელმა მოისურვა ფულის შოვნა და მიიღო მონაწილეობა „ვესტერნ იუნიონის“ კომპანიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რომელიც ეძებდა ერთბაშად რამდენიმე დეპეშის გადაცემის საშუალებას. ამ იდეის განხორციელებამ (ბელმა ამის წყალობით საკმაო ფულიც იშოვაძ შესაძლებელი გახადა ტელეფონის გამოგონებაც.



მადლიერმა კაცობრიობამ 1922 წლის 4 აგვისტოს, ბელის დაკრძალვის დღეს, მთელი შეერთებული შტატებისა და კანადის ტერიტორიაზე ერთი წუთით გამორთო 13 მილიონი ტელეფონი.

## როგორც ზღაპარში

**რუსეთელი მსახიობი ირინა ალექსიმოვა ახლახან პირდაპირ გააოგნა ნისლიანი ალბიონიდან მოსულმა ამბავმა – მისმა ინგლისელმა პაპამ საარაკო ქონება დაუტოვა საყვარელ შვილიშვილს.**

– მართლაც ასეა, – დაუდასტურა ირინამ „Московский комсомолец“-ს. – მე და პაპას მუდმივი ურთიერთობები გვქონდა, მიწერ-მოწერით, დარეკვებით, ოღონდ ასეთ რამეს ნამდვილად არ ველოდი. მემკვიდრეობა როგორია? დიდი, თუმცა, კონკრეტულად რა და რამდენი, ბუნებრივია, არ დაგისახელებთ.

...ცნობილია, რომ ყოველთვის რაიმე უნდა შესწირო თუ გასწირო ცხოვრებაში. ირინას შემთხვევაში ეს სამსახიობო კარიერაა. იმისათვის, რომ მემკვიდრეობის გაფორმებას მოჰკიდოს ხელი, მას ინგლისში მოუწევს გამგზავრება დაახლოებით ნახევარი წლით.

23 თებერვალს მსახიობმა ბოლო სპექტაკლში ითამაშა მოსკოვში და განსვენებული მდიდარი პაპის მემკვიდრედ გაეშურა შექსპირის სამშობლოში...

## დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია



**103 ათას ავტომობილს ყოველწლიურად ყრიან მოსკოვის ოლქის ქალაქებისა და სოფლების ქუჩებში.**

გადაყრილი მაცივრების, ტელევიზორების, გაზქურების და სხვა ელექტროხელსაწყოების დაახლოებითი წონა 12 ათას ტონას აღემატება.

მოსკოვის ოლქის ხელისუფლებას მიაჩნია, რომ მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში ამ პრობლემის კომპლექსურად გადაჭრისთვის საჭიროა სულ ცოტა, 10 წელი. უპირველეს ღონისძიებათა რიცხვში შედის ახალი პოლიგონის, ნაგვის დამახარისხებელი კომპლექსების მშენებლობა პოდოლსკის და პუშკინოს რაიონებში.




## კიდევ ერთხელ სიყვარულზე

**ამერიკელები მიხვდნენ, თუ რა იზიდავს სპერმატოზოიდებს კვერცხუჯრედისკენ. სულაც არა ის, რაც თქვენ იფიქრეთ...**

როგორ აღწევენ სპერმატოზოიდები მიზნამდე? ფიქრობდნენ, რომ ამონთხევის შემდეგ ისინი პასიურად გადაადგილდებიან, რაღაც დროის განმავლობაში, სითხის დენასთან ერთად მანამდე, სანამ ახლოს არ აღმოჩნდება განაყოფიერებისათვის შესაფერისი კვერცხუჯრედი. მაშინ იმათი მოძრაობა უეცრად ჩქარდება. ცოტა ხნით ადრე ვარაუდობდნენ, რომ სპერმატოზოიდები აქტიურდებიან ქალის სხეულში ხვრელის გარემოს გავლენით, მაგრამ ეტყობა, ეს ასე არ არის.

ჰარვარდის სამედიცინო სკოლის მეცნიერებმა დევიდ ქლეპჰემის ხელმძღვანელობით გამოარკვიეს, რომ სპერმატოზოიდების აქტიურობა იზრდება, როცა მათ კალციუმის იონები „მიეწოდება“. ამასთან, ეს პროცესი კონტროლდება განსაკუთრებული ცილით სპერმატოზოიდების კუდში – Cat Speri. შესაძლოა, ასეთი ცილის ბლოკირებით შეიქმნას ეფექტიანი კონტრაცეპტივები, ხოლო სტიმულირებით – მამაკაცის უნაყოფობის წამალი, რაც (ანუ უნაყოფობაძ სპერმატოზოიდების ნაკლებ სიმარდესთან არის დაკავშირებული.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სააკაშვილი ჩქარობს ცხინვალზე იერიშის მიტანას

ვლადიმერ მუხინი,
„ნეზავისიმაია გაზეტა“,
10 მარტი.

**იმის მიუხედავად, რომ მკვეთრად გამწვავდა მოსკოვისა და თბილისის ურთიერთობა და არც სამხრეთ ოსეთში დისლოცირებული რუსი სამშვიდობოების ბედია გარკვეული, მთავრობამ დაასრულა საქართველოდან რუსეთის სამხედრო კონტინგენტის გაყვანის გეგმის შემუშავება. გასულ კვირას რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს მიერ მომზადებული და თბილისთან შეთანხმებული ეს პროექტი, მას შემდეგ, რაც მოიწონა რუსეთის მინისტრთა კაბინეტმა, გადაეცა ვლადიმერ პუტინს.**

მაგრამ მორიგებებით გათვალისწინებული შეთანხმებების რეალიზაცია მაინც შეიძლება შეფერხდეს. „ვლადიმერ პუტინი ჯერჯერობით არ დაამტკიცებს საქართველოში ჩვენს სამხედრო ბაზებთან დაკავშირებულ დოკუმენტებს“, — განაცხადა ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის სარდლის ყოფილმა მოადგილემ, გენერალ-ლეიტენანტმა იური ნეტკაჩოვმა, რომელმაც დაიმოწმა თავისი წყაროები კრემლში.



რუსეთ-საქართველოს შეთანხმება განსაზღვრავს ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის ფუნქციონირების ვადებს და რეგლამენტს, აგრეთვე, გვაძლევს საშუალებას გამოვთქვათ პროგნოზი უახლოესი წლების მანძილზე ამიერკავკასიაში რუსეთის საგარეო პოლიტიკის თაობაზე. თითქოსდა, ამ დოკუმენტის თანახმად, პოლიტიკა სავსებით განჭვრეტადია და მთლიანად აკმაყოფილებს იმ ვალდებულებებს, რომლებიც რუსეთმა იკისრა მსოფლიო გაერთიანების წინაშე სამხრეთ კავკასიის დემილიტარიზაციის საქმეში. მაგრამ ამ შეთანხმებების დამტკიცებაში, შესაძლოა, კრემლმა აიღოს პაუზა, რაც განპირობებულია იმით, რომ როგორც რუსეთის სამხედრო წრეებში გახდა ცნობილი, სააკაშვილმა შეიმუშავა რაღაც გეგმა, რომლის თანახმადაც საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის შესახებ შეთანხმების შესაძლო ხელმოწერისთანავე თბილისი დაიწყებს საომარ მოქმედებას სამხრეთ ოსეთში, ამტკიცებს გენერალი ნეტკაჩოვი.

პრეზიდენტის პრესსამსახურში უარი თქვეს, განემარტათ ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რატომ შეფერხდა რუსეთ-საქართველოს შეთანხმების დამტკიცება. იქ გვირჩიეს, რომ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის მიგვემართა. რუსეთის საგარეო-პოლიტიკური უწყების დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების მეოთხე დეპარტამენტის დირექტორმა ანდრეი კელინმა ჩვენს კორესპონდენტს განუცხადა, რომ „არაფერი იცის ასეთი გეგმების შესახებ“, და, იმედი აქვს, რომ ქვეყნის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი დაამტკიცებს მთავრობის მიერ მოწონებულ დოკუმენტებს. „ჩემი აზრით, აქ არანაირი დაბრკოლება არ არსებობს“, — მიაჩნია ანდრეი კელინს.

მისი თქმით, თავდაპირველად გათვალისწინებული იყო, რომ საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გატანის შესახებ, თავდაცვის სამინისტროს მიერ მომზადებულ დოკუმენტებს ხელს მოაწერდნენ არა სახელმწიფოთა მეთაურები, არამედ „ტექნიკურ დონეზე — მთავრობის რომელიღაც წევრები“. სავარაუდოდ, ესენი შეიძლება ყოფილიყვნენ ორივე ქვეყნის თავდაცვის მინისტრები, მიაჩნია კელინს. თუ არ იქნება რაიმე გართულებები საქართველოსთან ურთიერთობაში, დოკუმენტებს ბაზების გამოტანის შესახებ უკვე ერთ თვეში მოაწერენ ხელს, დასძინა მან. უკვე შედგენილია ბაზების გამოტანის გრაფიკი და როგორც რუსული, ისე ქართული მხარეები დაინტერესებული არიან მისი დაცვით, აღნიშნა საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა.

ანდრეი კელინმა უარი თქვა, რუსეთის ბაზების გამოყვანის საკითხი დაეკავშირებინა სამხრეთ ოსეთში რუსი სამშვიდობოების მიმართ საქართველოს ხელისუფლების მიერ ამ ბოლო ხანებში გადადგმულ არამეგობრულ ნაბიჯებთან. ამავე დროს, მან განაცხადა, რომ რუსეთის მხარე განიხილავს ამ კონფლიქტურ ზონაში მოვლენათა განვითარების სხვადასხვა ვარიანტს, მათ შორის, ძალისმიერსაც, მაგრამ ეს არანაირად არ უკავშირდება ბაზების გამოტანის შესახებ დოკუმენტის ხელმოწერას.

თავის მხრივ, ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარის მრჩეველმა, გენერალური შტაბის უფროსის ყოფილმა პირველმა მოადგილემ, გენერალ-პოლკოვნიკმა ვალერი მანილოვმა განაცხადა, რომ თბილისთან მოლაპარაკების პროცესში „უთუოდ უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ სამხრეთ ოსეთის მიმართ საქართველოს ხელისუფლებას აგრესიული ზრახვები ამოძრავებს. თუ ნამდვილად არსებობს იქ სამხედრო ინტერვენციის გეგმები, ჩვენ ყველა დიპლომატიური საშუალებით (მათ შორის, საქართველოდან რუსეთის ბაზების გამოყვანის შესახებ შეთანხმების მომზადების შეჩერების ჩათვლითაც უნდა შევუშალოთ ხელი ამ პროცესს“, — მიაჩნია მანილოვს.

# დნესტრისპირეთის და მოლდავეთის საბაჟო კონფლიქტში „ქართული კვალი“ შეინიშნება

**უკრაინის საზღვარზე საბაჟო კონფლიქტი დნესტრისპირეთს მასშტაბური ეკონომიკური კრიზისით ემუქრება. ასეთი დასკვნა გამოიტანა რეგიონში ჩასულმა რუსეთის საუწყებათშორისო კომისიამ.**

კომისიის ხელმძღვანელი — საგანგებო დავალებათა ელჩი ვალერი კენიაკინი — ვარაუდობს: უკრაინა და მოლდავეთი დაადგნენ დნესტრისპირეთის ეკონომიკური იზოლაციის კურსს, თუმცა, ეს ეწინააღმდეგება 1997 წლის 8 მაისის მემორანდუმში დაფიქსირებულ მორიგებებს. ამ სიტუაციიდან თავის დაღწევის გზად კენიაკინს მიაჩნია მოსკოვში ეკონომიკური კონფერენციის გამართვა რუსეთის, დნესტრისპირეთის, უკრაინის და მოლდავეთის მონაწილეობით.

თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა იგორ სმირნოვმა, რომელიც წინათ აცხადებდა, რომ ტირასპოლი გამოვიდა მოლაპარაკების პროცესიდან, ახლა პოზიცია შეიცვალა: „უმჯობესია დიალოგი, ვიდრე ეკონომიკური ომი, და, საერთოდ, საომარი მოქმედება“, — თქვა მან.

უკრაინის მიერ დნესტრისპირეთისთვის გამოცხადებული საბაჟო ბლოკადა უკავშირდება ტირასპოლის ხელმძღვანელობასა და საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილს შორის მომხდარ კონფლიქტს. როგორც უკრაინის უზენაესი რადის დეპუტატებს მიაჩნიათ, სააკაშვილი უკრაინის პრეზიდენტის ვიქტორ იუშჩენკოს საუკეთესო მეგობარია. თანაც, ისინი არა მარტო პოლიტიკური თანამოსაგრეები არიან, არამედ ორი ქვეყნის პრეზიდენტები ოჯახებითაც მეგობრობენ.

სააკაშვილმა, რომელმაც დაამთავრა კიევის საერთაშორისო ურთიერთობის ინსტიტუტი, მხარი დაუჭირა იუშჩენკოს „ნარინჯისფერი რევოლუციის“ დროს და გახდა მისი პირველი თანამოსაგრე პრეზიდენტი.

როგორც ჩანს, იუშჩენკოს დიდად არ ეჭაშნიკა დნესტრისპირეთის

ივანა გორინა,
ლუდმილა ფელიქსოვა,
„როსიისკაია გაზეტა“,
10 მარტი.

უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ევგენი შევჩუკის მიერ რამდენიმე თვის წინ ნათქვამი სიტყვები: „თუ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში შექმნილი სიტუაცია გამოიწვევს საქართველოს მხრიდან კონფლიქტის ესკალაციას, დნესტრისპირეთი გამოვა მოლდავეთთან მოლაპარაკების პროცესიდან“.

ამ გამოსვლისთანავე უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დნესტრისპირეთში გამართული პარლამენტის არჩევნები მოულოდნელად არალეგიტიმურად გამოაცხადა.

კიევი სადღეისოდ უგულებელყოფს დნესტრისპირეთის უკრაინელთა კავშირის განცხადებასაც, რომლებიც მოითხოვენ რეგიონისთვის ბლოკადის მოხსნას.

როგორც „უკრაინული ბარომეტრის“ ცენტრის ხელმძღვანელს ვიქტორ ნებოჟენკოს მიაჩნია, დნესტრისპირეთის კრიზისი იუშჩენკოს აძლევს არა მარტო სააკაშვილის მხარდაჭერის, არამედ, რუსეთის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ გალაშქრების საბაბს. სანამ დნესტრისპირეთი დახმარებას სთხოვს მოსკოვს, კიევი აქტიურად უჭერს მხარს მოლდავეთს. „დნესტრისპირეთის წყალობით, იუშჩენკომ განაგრძო რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი, რომელიც, თავის დროზე გაზთან დაკავშირებით გაჩაღდა. ახლა მას სურს ყველას დაანახოს, რომ უკრაინა რუსეთისთვის არის მხოლოდ პრაგმატული პარტნიორი, რომელთანაც ურთიერთობა მოსკოვმა უნდა წარმართოს ფინანსურ და არა მეგობრულ საფუძველზე“, — აღნიშნა ნებოჟენკომ.

# სოხუმში ეჭვქვეშ აყენებენ თბილისთან შემდგომი სამშვიდობო მოლაპარაკების მიზანშეწონილობას

იური სიმონიანი,
ანატოლი გორდიენკო,
„ნეზავისიმაია გაზეტა“,
10 მარტი.

**უშედეგოდ დამთავრდა გალის რაიონში 9 მარტს გამართული საგანგებო შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ ქართული და აფხაზური სამართალდამცველი ორგანოების, გაეროს მეთვალყურეთა და რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდლობის წარმომადგენლები. შეხვედრის მონაწილეებს დაგეგმილი ჰქონდათ, დეტალურად გარკვეულიყვნენ იმ ინციდენტის ყველა გარემოებაში, რომელიც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მოხდა. როგორც ცნობილია, 8 მარტს, გალის რაიონის სოფელ საბერიოსთან, ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა ავტომატის და ყუმბარმტყორცნის ცეცხლი გაუხსნეს „უაზის“ მარკის ავტომანქანას, რომელსაც მშვიდობიანი მცხოვრებლები გადაჰყავდა. როგორც აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო იტყობინება, დაიღუპა ოთხი ადამიანი — ორი აფხაზი და ორი ქართველი, მათ შორის 7 წლის ქართველი გოგონა. გარდა ამისა, კიდევ ორი კაცი მძიმედ დაიჭრა.**



საბერიოში მომხდარმა ამ ინციდენტმა ძალზე გაამწვავა ურთიერთობა სოხუმსა და თბილისს შორის. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ იმავე დღესვე გაავრცელა ოფიციალური განცხადება, რომელშიც პასუხისმგებლობა მშვიდობიანი მცხოვრებლების დაღუპვისთვის დააკისრა იმ კრიმინალურ დაჯგუფებებს, კონფლიქტის ზონაში აფხაზური მილიციის და იქ მყოფი რუსი მშვიდობისმყოფლების წაყრუებით რომ მოქმედებენ. „ვერც რუსი სამშვიდობოები და ვერც აფხაზური მილიცია ვერ აკონტროლებს კრიმინოგენურ ვითარებას, — ხაზგასმულია დოკუმენტში. და ეს, მიაჩნიათ თბილისში, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, თუ რაოდენ საჭიროა აფხაზეთის გალის რაიონში ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისის რაც შეიძლება სწრაფად გახსნა და კონფლიქტის ზონაში საერთაშორისო პოლიციური ძალების შეყვანა.

აფხაზთა წარმომადგენლები სულ სხვაგვარად აფასებენ ამ ინციდენტს. „ნეზავისიმაია გაზეტას“ კორესპონდენტებთან ტელეფონით საუბრისას, თვითაღიარებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ ამას უწოდა „ქართული მხარის აშკარა და ცინიკური პროვოკაცია“. „ეჭვიც კი არ გვეპარება იმაში, რომ ეს იყო საქართველოს ოფიციალური სტრუქტურების მიერ წინასწარ დაგეგმილი აქცია. ყოვლად უდანაშაულო მშვიდობიანი მცხოვრებლები დახვრიტეს კარგად გაწვრთნილმა, შეიარაღებულმა და აღჭურვილმა პირებმა (ჩვენი მონაცემებით, 12 კაცი იყოძ. საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ამჯერად ისინი იყვნენ არა ქართველი „პარტიზანები“, არამედ გარკვეული სპეციალური დანიშნულების ქვეგანაყოფის წევრები, რომლებიც შემოგზავნეს აფხაზეთის ტერიტორიაზე“, — გვითხრა სერგეი შამბამ. ეს ვერსია, პრინციპში, რუსმა სამშვიდობოებმაც დაადასტურეს. როგორც ჟურნალისტებს აცნობა კონფლიქტის ზონაში კოლექტიური სამშვიდობო ძალების სარდალმა სერგეი ჩაბანმა, თვითმხილველთა ჩვენებებიდან ჩანს, რომ მშვიდობიანი მცხოვრებლების დახოცვის შემდეგ შეიარაღებული ჯგუფი საქართველოს ტერიტორიისკენ გაემართა.

აფხაზთა საგარეო საქმეთა სამინისტროს მეთაურის აზრით, თბილისი ყოველმხრივ ცდილობს „დაარწმუნოს ყველა იმაში, რომ აფხაზეთის ხელისუფლებას და რუს სამშვიდობოებს არ შეუძლიათ გააკონტროლონ სიტუაცია კონფლიქტის ზონაში და საქმის გამოსწორება მხოლოდ საერთაშორისო პოლიციური ძალების მეშვეობით თუ იქნება შესაძლებელი“. „ჩვენი პასუხი ერთმნიშვნელოვანი და საბოლოოა — კონფლიქტის ზონაში არ იქნება არც ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისი და არც არანაირი პოლიციელები. თბილისში ვერ შეუგნიათ ყველაზე მთავარი: ასეთი მეთოდებით ვერავინ ვერ გვაიძულებს დავთანხმდეთ დათმობებს“, — აღნიშნა სერგეი შამბამ.

მისი ინფორმაციით, უახლოეს მომავალში სოხუმში მოიწვევენ აფხაზეთის უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომას, რომელზეც რესპუბლიკის ხელმძღვანელობა გამოთქვამს თავის პოზიციას ქართული მხარის მოქმედებასთან დაკავშირებით. თუმცა, ალბათ, ადვილი მისახვედრია, თუ რას იტყვიან ამ სხდომაზე. როგორც ჟურნალისტებს განუცხადა თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა, მშვიდობიანი მცხოვრებლების დახოცვა „კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ საქართველო განაგრძობს ტერორს აფხაზეთის მიმართ“. ამიტომაც, უშიშროების საბჭოს სხდომაზე განიხილავენ „ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ საქართველოსთან შემდგომი მოლაპარაკების გამართვის შესაძლებლობისა და მისი მიზანშეწონილობის“ საკითხს.

# მოსკოვში 25 მილიარდერია



**მოსკოვი გახდა მსოფლიოში მეორე ქალაქი მილიარდერთა რაოდენობის მიხედვით, წერდა ჟურნალი „ფორბსი“ პლანეტის უმდიდრესი ადამიანების თავის ყოველწლიურ რეიტინგში. ჟურნალის მონაცემებით, რუსეთის დედაქალაქში ცხოვრობს 25 ადამიანი, რომელთა ქონება მილიარდ დოლარს აღემატება.**

თუმცა, „ფორბსის“ ვერსიით, ყველაზე მდიდარი რუსეთელი ამ ქვეყნის ფარგლებს გარეთ ცხოვრობს. ინგლისური საფეხბურთო კლუბის „ჩელსის“ მფლობელი და ჩუკოტკის გუბერნატორი რომან აბრამოვიჩი ჟურნალის რეიტინგში ფიგურირებს როგორც ლონდონის მცხოვრები. როგორც „ფორბსი“ წერს, აბრამოვიჩის ქონება სადღეისოდ 18,2 მილიარდ დოლარს შეადგენს – გასულ წელთან შედარებით მან რეიტინგში წინ გადაინაცვლა ერთბაშად 10 პოზიციით და ახლა მე-11 ადგილი უკავია. 2004 წლის შედეგების მიხედვით აბრამოვიჩის კაპიტალი 13,3 მილიარდ დოლარად იყო შეფასებული.

სულ რუსი მილიარდერების სიაში შედის 33 კაცი. შარშან მათი რიცხვი მხოლოდ 27 იყო. ამასთან, რეიტინგში აღნიშნულმა ყველა პირმა მნიშვნელოვნად შეძლო თავისი კაპიტალის გაზრდა.

„ფორბსის“ ვერსიით, რუსეთში სიმდიდრის მიხედვით მეორე ადამიანია „ლუკოილის“ კომპანიის მფლობელი ვაგით ალიკპეროვი, რომელსაც რეიტინგში 37-ე პოზიცია უკავია. მისი ქონება ჟურნალმა 11 მილიარდ დოლარად შეაფასა.

რუს მილიარდერთა რეიტინგში მესამე ადგილზე და საერთო სიაში 41-ე პოზიციაზე აღმოჩნდა ნოვოლიპეცკის მეტალურგიული კომბინატის მფლობელი ვლადიმერ ლისინი, რომლის ქონებაც 10,7 მილიარდ დოლარადაა შეფასებული. 2005 წელს ლისინმა ნოვოლიპეცკის მეტალურგიული კომბინატის 7 პროცენტი გაყიდა ლონდონის საფონდო ბირჟაზე, რამაც მას 610 მილიონი დოლარი მოუტანა.

მსოფლიო მილიარდერების ნუსხაში ზედიზედ მეთორმეტე წელია პირველ ადგილს იკავებს კომპანია „მაიკროსოფტის“ დამფუძნებელი ბილ გეიტსი – მისი ქონება 50 მილიარდ დოლარადაა შეფასებული (შარშან გეიტსის კაპიტალი 46,5 მილიარდ დოლარს შეადგენდა).





მეორე ადგილზე, ისევე, როგორც გასულ წელს, გავიდა საინვესტიციო იმპერიის მფლობელი უორენ ბაფეტი, რომლის ქონებაც 42 მილიარდ დოლარს შეადგენს.

მესამე ადგილზეა მექსიკელი მეწარმე კარლოს სლიმი (30 მილიარდი დოლარი).

„ფორბსის“ მონაცემებით, 2005 წელს მილიარდერთა საერთო რიცხვი 15 პროცენტით გაიზარდა და ახლა სიაში 793 კაცი ფიგურირებს. ამ ადამიანების საერთო ქონება 2,6 ტრილიონ დოლარადაა შეფასებული, ამერიკელებზე კი ამ თანხის დაახლოებით ნახევარი მოდის.

მილიარდერი მოქალაქეების რაოდენობით მოსკოვი მხოლოდ ნიუ-იორკს ჩამორჩება, რომელშიც, ჟურნალის მონაცემებით, 40 მილიარდერი ცხოვრობს. მესამე ადგილზეა ლონდონი, ქალაქი, რომლის ქუჩებშიც ამ ელიტური კლუბის 23 წარმომადგენელი დააბიჯებს.

# ბელორუსია კვლავ რჩება ევროპაში „ტირანიის უკანასკნელ ფორპოსტად“



**ამერიკის შეერთებული შტატები ბელორუსიას მიიჩნევს ევროპაში „ტირანიის უკანასკნელ ფორპოსტად“ და გამოყო „ინვესტიციათა სახით 12 მილიონი დოლარი, რომელიც უნდა მოხმარდეს ბელორუსიაში დემოკრატიის პროგრამების განხორციელების მხარდაჭერას“, განაცხადა ვაშინგტონში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ევროპისა და ევრაზიის ქვეყნების საკითხებში დენიელ ფრიდმა.**

დიპლომატის თქმით, „ბელორუსიის რეჟიმი ცდილობს, შექმნას ქვეყანაში შიშის და დაშინების კლიმატი. იქ, არჩევნების მოახლოების კვალობაზე, სულ უფრო ხშირად აპატიმრებენ, ავიწროებენ, იტაცებენ ადამიანებს“. როგორც ფრიდმა აღნიშნა, „ოპოზიციის კანდიდატი ალექსანდრე კოზულინი 8 მარტს სცემეს და დააპატიმრეს და ახლა მას შეიძლება წაუყენონ სისხლის სამართლის ბრალდებები. კოზულინზე განხორციელებული თავდასხმის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო პოლკოვნიკი პავლიჩენკო, რომელიც, როგორც ამბობენ, მონაწილეობდა 1999 და 2000 წლებში მთელი რიგი ადამიანების გაუჩინარებასთან დაკავშირებულ დანაშაულობებში“.

„შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არჩევნები გაიმართება უხეში დარღვევებით. ამას, ალბათ, ძნელიც იქნება საერთოდ ვუწოდოთ არჩევნები“, – მიაჩნია ფრიდს.

ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის სახელით დენიელ ფრიდი ასევე მიესალმა იმას, რომ შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც მხარს უჭერს ბელორუსიაში დემოკრატიის განვითარებას და მოითხოვს, რომ ბელორუსიის ხელისუფლებამ უზრუნველყოს „თავისუფალი და პატიოსანი არჩევნების გამართვა“.

„ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს დაგეგმილი აქვს, რომ არ შეამციროს ბელორუსიაში დემოკრატიის მხარდამჭერი პროგრამების განხორციელებისთვის არსებული სახსრების რაოდენობა და ისინი მომავალშიც ამ დონეზე შეინარჩუნოს, – აღნიშნა ფრიდმა. – სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის დევიდ კრემერის მინსკში ჩასვლიდან ორი კვირის შემდეგ ბუშის ადმინისტრაციამ გააფრთხილა ბელორუსიის ხელმძღვანელობა იმის შესახებ, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს დარღვევებს მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების დროს“.

# გლობალური დათბობა კაცობრიობას დიდ საფრთხეს უქმნის

**გლობალური დათბობის პროცესმა შეიძლება შიმშილით მოსპოს ადამიანთა ცივილიზაცია. „უორლდვოჩის“ კვლევითი ინსტიტუტის მონაცემებით, ეს მოხდება მაშინ, როცა დაიღუპება სოფლის მეურნეობა.**

გამოკვლევათა უმრავლესობის თანახმად, კაცობრიობამ მიწათმოქმედებას მიჰყო ხელი მხოლოდ ბოლო გამყინვარების პერიოდის დამლევს, როცა პლანეტაზე კლიმატი გახდა უფრო რბილი, ნოტიო და სტაბილური. მაგრამ ახლა გლობალური დათბობის პროცესი უდიდეს საფრთხეს უქმნის სასოფლო-სამეურნეო კულტურათა უმრავლესობას. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ველარ მოგვცემს უხვ მოსავალს, თუ ამ კულტურათა მოვლა-მოყვანის პროცესში საშუალო ტემპერატურა გადაამეტებს 32 გრადუსს ცელსიუსის სკალით.

მაგალითად, თუ საშუალო ტემპერატურა შეადგენს 30 გრადუსს, მისი შემდგომი მომატება თუნდაც 1 გრადუსით, 10 პროცენტით შეამცირებს ხორბლის, სიმინდის და ბრინჯის მოსავალს. აფრიკაში კი მოსალოდნელია სხვა საფრთხე – საშინელი გვალვა.

სოფლის მეურნეობაზე გლობალური დათბობის ზემოქმედების პირველმა შედეგებმა შეიძლება თავი უკვე უახლოეს წლებში იჩინოს: ტემპერატურის მომატება გაანადგურებს ყავისა და ჩაის პლანტაციებს, რომლებიც პლანეტის ტროპიკულ რეგიონებშია განლაგებული.

თუმცა, ზოგიერთი მეცნიერი არ იზიარებს ამ მოსაზრებას. როგორც ისინი აცხადებენ, დედამიწა ახლა უფრო უახლოვდება გამყინვარებას, ვიდრე გლობალურ დათბობას. ამ ვერსიის ერთ-ერთი მომხრეა აკადემიკოსი იური იზრაელი – რუსეთის გლობალური კლიმატის და ეკოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი.

როგორც მან აღნიშნა, ამ ბოლო 500 ათასი წლის განმავლობაში, დედამიწაზე უკვე ოთხჯერ დადგა აცივება-დათბობის პერიოდები, როცა ატმოსფეროს ტემპერატურა, 10-12 გრადუსით მერყეობდა. გამყინვარებისას ნახშირორჟანგის კონცენტრაცია სულ 180 მოლეკულას შეადგენდა, ჯერ კიდევ 1900 წელს – 280-ს, სადღეისოდ კი – 380 მოლეკულას. ამიტომ, მიაჩნია აკადემიკოსს, პლანეტა უფრო უახლოვდება გამყინვარებას, ვიდრე გლობალურ დათბობას. თუმცა, არც ასეთი დათბობის თეორიული შესაძლებლობის გამორიცხვა შეიძლება.



# მოკლედ

**საბაჟო კონფლიქტის პირობებში დნესტრისპირეთი უკრაინას „ასი ათასობით ლტოლვილით“ აშინებს. ამის შესახებ უკრაინა გააფრთხილა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვალერი ლიცკაიმ. დნესტრისპირეთში შექმნილი ვითარების შესახებ საგანგებო კრიზისული ჯგუფის სხდომა შეიძლება გაიმართოს მომავალი კვირის შუა რიცხვებში, როცა მოსკოვს ეწვევა უკრაინის უშიშროების საბჭოს მდივანი ანატოლი კინახი. როგორც ცნობილია, ევროკავშირი და შეერთებული შტატები მხარს უჭერენ უკრაინას და მოლდოვას, რუსეთი კი – დნესტრისპირეთს.**

* * *

**ბაღდადის აღმოსავლეთ რაიონში გაისმა მძლავრი აფეთქების ხმა. ააფეთქეს ამერიკული ტანკი. გარდა ამისა, 8 კაცი დაიღუპა და სულ ცოტა 9 დაიჭრა ერაყის ჩრდილოეთ და დასავლეთ ნაწილებში მომხდარი აფეთქებათა სერიის შედეგად.**

* * *

**დიდი ბრიტანეთი საიდუმლოდ ეხმარებოდა ისრაელს ბირთვული იარაღის შემუშავებაში. გარიგება, რომლის თანახმადაც დიდი ბრიტანეთი 1960-იან წლებში საიდუმლოდ აწვდიდა ისრაელს პლუტონიუმს, დაიდო დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების გვერდის ავლით, და ამაში უდიდესი როლი შეასრულა ბრიტანეთის ტექნოლოგიათა სამინისტროს მოხელემ, ეროვნებით ებრაელმა მაიკლ მიხაელსმა, წერდა ინგლისური „გარდიანი“. ამ გარიგების შესახებ ცნობილი გახდა „ინფორმაციის თავისუფლების შესახებ“ კანონის ფარგლებში დოკუმენტების განსაიდუმლოების წყალობით.**

* * *

**ფათჰი და ჰამასი ჯერჯერობით ვერ ახერხებენ მთავრობის ჩამოყალიბებას, მაჰმუდ აბასი კი მზად არის, ამას კიდევ ორი კვირა დაელოდოს. მთავარ დაბრკოლებად რჩება ის, რომ ისლამისტები უარს აცხადებენ, ცნონ ისრაელთან წინათ მიღწეული მორიგებები, აგრეთვე, მათ სურთ გააუქმონ წინა მოწვევის პარლამენტის მიერ ბოლო ხანებში მიღებული ყველა დადგენილება, რომელთა წყალობითაც აბასი აღიჭურვა დამატებითი უფლებამოსილებებით.**

* * *

**„კასინი“ საპლანეტათაშორისო სადგურმა დედამიწაზე გადმოსცა ფოტოსურათები, რომლებზეც აღბეჭდილია ენცელადის ზედაპირიდან გამოფრქვეული ყინულის პატარ-პატარა ნაწილაკებისა და წყლის ორთქლის შადრევნები. სპეციალისტებმა დაასკვნეს, რომ შადრევნების წყაროა მცირე სიღრმეზე არსებული წყლის რეზერვუარები.**

* * *

**ერაყში მოკლეს ბაღდადის ტელევიზიის დიქტორი. თავდასხმა მოხდა მაშინ, როცა ალ-ჰალდი თავის სამ კოლეგასთან ერთად ავტომობილით ტოვებდა ბაღდადს. მოთარეშეებმა გააჩერეს მანქანა და სამჯერ გაისროლეს. დიქტორთან ერთად დაიღუპა კიდევ ერთი მგზავრი, ორი კი დაიჭრა.**



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №47

# უსამშობლოთა სამშობლო

## „კვირაძალის“ ეს ნომერი ეძღვნება პოსტსაბჭოთა ემიგრაციას გერმანიაში

## „DEUTCHLAND, DEUTCHLAND“...



ამ ქვეყნის გარეგნული იერიდან, ცხოვრების რიტმიდან არ ჩანს, რომ ვერ ივიწყებენ 40-50-იანი წლების საბედისწერო ნანგრევებს (ცოტა ხნის წინათ მეორე მსოფლიო ომის მონაწილის, უკვე 88 წლის სლოვაკი ნაცისტის — **ნიზინსკის** სასამართლო პროცესი გაიმართა)... ნამდვილი დამნაშავეების პერმანენტულ ძიებასთან ერთად, გერმანელები ოდესღაც არსებულისთვის მთელ მსოფლიოს ბოდიშს უხდიან, რაზეც მიგრანტთა თუ ემიგრანტთა დაუსრულებელი ნაკადიც მეტყველებს...

გერმანიაში ძირითადი მოსახლეობა სტაბილურ გარანტიებს, ხოლო ახლად ჩამოსულნი გარდამტეხ ცვლილებებს ელიან. ამ ორ სოციუმს იცავს სახელმწიფო კანონმდებლობა და ნორმალური ცხოვრების პირობებს უქმნის...

მათთვის უცხოა გარეგნული აჟიოტაჟები და „დოიჩლანდ, დოიჩლანდის“ უზადო შემსრულებლისგან განსხვავებით ლოზუნგომანიას ერიდებიან... და მაინც, ამ ბოლო ხანებში საერთო აჟიოტაჟი და გულწრფელი განცვიფრება გამოიწვია ერთი ჩვეულებრივი გერმანელი მუსიკოსის ქმედებამ: მან ბერლინში გათამაშებულ სპორტულ ლატარიაში შვიდი მილიონი ევრო მოიგო, მთელი თანხა საქველმოქმედო ორგანიზაციებს გადაურიცხა, არგუმენტით: **ძალიან ბევრი ფული ცვლის ადამიანს, მისი ცხოვრების სტილს, აჩენს მრავალ გაუთვალისწინებელ საზრუნავს, შიშის საბაბს... მე კი ჩემი ცხოვრების შეცვლა არ მსურსო...**

თუკი გერმანელ ფილოსოფოსს შოპენჰაუერს დავუჯერებთ: **„სამყარო ჩვენი წარმოდგენაა“**... იქნებ მართლაც, „რიგითობის“ მოკრძალებული ხიბლი არანაკლებ მიმზიდველია, ვიდრე **„ბურჟუაზიის მოკრძალებული ხიბლი?“**

* * *

იმ გერმანელი მუსიკოსისგან განსხვავებით, პოსტსაბჭოთა სივრცის ემიგრანტები დაუბრუნებელ დანაკარგებთან, გაუსაძლის წუხილსა და მონატრებასთან ერთად რადიკალურ ცვლილებებს ეძებენ...

დაე, იყოს გაურკვეული, მაგრამ სხვაგვარი, აწმყოსგან განსხვავებული მომავალი.

ოდესღაც **უმბერტო ეკომ** არცთუისე ორაზროვნად განმარტა, რომ ემიგრაცია ე. წ. „მესამე სამყარო“ ევროპას კარზე უკაკუნებს და **„მაშინაც აღებს კარს, როცა ევროპა ამაზე უარს ეუბნება. თავი და თავი იმის მოგვარება როდია (პოლიტიკოსებს უყვართ თავის მოჩვენება თითქოს ამას აგვარებენ). შეიძლება თუ არა პარიზში ჩადრით სიარული, ანდა რამდენი მეჩეთის აგება შეიძლება რომში. თავი და თავი ისაა, რომ ახალ ათასწლეულში (მე მისანი არა ვარ და ზუსტ თარიღს ვერ დავასახელებ), ევროპა მრავალრასობრივ კონტინენტად იქცევა. მოგწონთ თუ არა, ეს მაინც ასე იქნება. თუ ნამდვილად არ მოგწონთ, მაინც ასე იქნება“...**

მას, მწერალს, თავისი მოწოდებით ჰუმანისტს, ალბათ ნაკლებად მტკივნეულად უნდა შეხებოდა ეს პროცესები, მაგრამ იმდენად ვერ შეეგუა, იწინასწარმეტყველა კიდეც: „კულტურათა ამ შეხებასა და შეტაკებას **შესაძლოა სისხლისღვრაც მოჰყვეს,** და დარწმუნებული ვარ, რომ გარკვეულწილად ამგვარი შედეგები გარდაუვალია და კარგა ხანსაც გასტანს“...

განმეორდება თუ არა გერმანიაში საფრანგეთის ცნობილი სინდრომი — ემიგრაციის ჯანყი?

ოდესღაც საბჭოთა სივრცეში მცხოვრებთათვის, ცნობილია, ვ. სეროვის საეტაპო ნამუშევარი „Похищение Европи“...

ლეგენდის მიხედვით, ღმერთების კლასიკურ პანთეონში ზევსს ულამაზესი ასული „ევროპა“ შეუყვარდა, შემდგომ ზევსმა, ხარად ქცეულმა, მოიტაცა, ზურგზე შეისვა და ოკეანე გადალახა...

„Похищение Европи“ პოსტსაბჭოურ ხანაში ახალ ფაზაში შევიდა, თუმცა რუსი მხატვრის ამ ნამუშევარს ანალოგიებისთვის არასდროს იყენებენ...

* * *

დავუბრუნდეთ „პარიზის სინდრომს“. გერმანიაშიც სხვა მასშტაბით, მაგრამ მაინც, ახალგაზრდების რამდენიმე ეთნიკურმა ჯგუფმა მოაწყო ხანძრების პროვოცირება ბრემენსა და ბერლინში. ანალოგიური ქმედებები ათი წელია მეტ-ნაკლები ინტენსივობით გრძელდება. პროფესორ პ. პრაეფერის ანალიზის თანახმად, ამ ახალგაზრდებს შორის ძირითადად არიან ემიგრანტები **თურქეთიდან, იუგოსლავიიდან, რუსეთიდან და კორეიდან. მათ შორის არიან გერმანელებიც.**

ინტეგრაციას თავისი დიდი სირთულეები ახლავს. როგორც ჰამბურგში მცხოვრები, 20 წლის მიხეილი ამბობს, ხშირად ესმის შეურაცხმყოფელი გამოთქმა: „Dreсks – Russe“... გერმანელებს შორის მეგობრები მას არ ჰყავს ისევე, როგორც მის ახლობლებს...

ემიგრანტული კვარტლები ბევრია ბავარიაში. „პრობლემური ზონებია“ ქალაქებში: ინგოლშტატი, აუგსბერგი, მიუნხენი, ნიურნბერგი... პოლიციის მონაცემებით, ამ მხარეებში დამნაშავეთა შორის ბევრია ყოფილი საბჭოთა კავშირის მოქალაქე.

დაახლოებით მილიონი ევრო გამოყო ქალაქ აუგსბერგის ხელმძღვანელობამ ემიგრანტებთან მუშაობისთვის. ეს თანხა ძირითადად არაგერმანელი ახალგაზრდების ინიციატივების მხარდასაჭერად უნდა დაიხარჯოს. ბავარიის შინაგან საქმეთა მინისტრი გ. ბექშტაინი უკმაყოფილოა ინტეგრაციის პროცესებით. ითხოვს მათ დასაქმებას საინტერესო სამუშაოთი. ამბობს: „ვისაც აქვს თავისი საყვარელი საქმე, ის ხანძრებს არასდროს გააჩენს“

საფრანგეთის მოვლენებს გერმანელმა სოციოლოგებმა **საერთოევროპული კრიზისი** უწოდეს.

„ინტეგრაცია თითოეული გერმანელი მოქალაქის პრობლემაა, — ფიქრობს სოციოლოგი ს. პეტერმანი, — მიუხედავად იმისა, რომ ხმამაღლა არ აღიარებს, ჩვენი ხალხის უმეტესობას არ სურს მეზობლად უცხოელი ჰყავდეს... ასეთი დამოკიდებულება საკუთარ ცნობიერებაში, უნდა აღვკვეთოთ, თორემ უმძიმეს შედეგებს მოვიმკით“...

გარეგნულად კი თითქოს ყველაფერი რიგზეა... გალანტური ქცევები, სიმშვიდე, თავაზიანი ღიმილი... და მაინც...

საბჭოთა კავშირის ყოფილმა მოქალაქემ **ოლღა კასნერმა** (ის ამჟამად მეუღლის გვარზეა) თავისი ჩანაფიქრი გამაცნო — წიგნი ემიგრაციის პრობლემებზე. ცდილობს გაარკვიოს მოვლენათა საფუძვლის საფუძველი, იღებს ინტერვიუებს, ადგენს ანკეტურ მონაცემებს, კითხვარებს... ეს ნაშრომი, ვფიქრობთ, თავისუფალი სიტყვის კლასიკური ნიმუშია და არავის საამებლად არ არის გამიზნული. მიუხედავად ამისა, წიგნის მომზადებას და გამოცემას თავად ქალაქის გერმანელი ხელისუფალნი აფინანსებენ...

— გერმანია ჩემი მეორე სამშობლოა, — ამბობს ყახაზეთიდან ქალაქ ვაისვასერში ჩასახლებული ო. მაევსკი, — მე აქ თვრამეტი წელია ვცხოვრობ...

ძნელია თქმა, შეიძლება თუ არა არსებობდეს მეორე სამშობლო...

* * *

ჩვენმა თანამედროვე კლასიკოსმა **ოთარ ჭილაძემ** უმკაცრესი, სულისშემძვრელი სიტყვებით მიმართა ქართულ ემიგრაციას და აქ დარჩენილ მშობლებსა და ახლობლებს...

მან ჩვენი შვილები **„გახიზნულ, გაჩუქებულ, გაყიდულად“** მოიხსენია, რომელთაც ველარასოდეს დავიბრუნებთ...

იქნებ ვეძებოთ მათი არდაბრუნების მიზეზები? რატომ არ გააჩნიათ უკან დაბრუნების „მოურეველი სურვილი“? ისიც ფაქტია, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფთა არსებობა და ბედისწერა აქ დარჩენილთა ცხოვრებასა და ცნობიერებაზე განუზომელ გავლენას ახდენს. ეს არ არის მხოლოდ ე. წ. „ადგილმონაცვლეობა“. ეს აქ და იქ მყოფ ადამიანთა ცხოვრების მოულოდნელი თუ მოსალოდნელი ცვლილებებია, ურთულეს ლაბირინთში შესვლაა, თავის დასაღწევად კედლებს რომ ეხეთქები და ახალი გზების ძიებას ცდილობ.

თანამედროვე ემიგრაცია, ვფიქრობთ, არანაკლებ ტრაგიკულია, ვიდრე 20-იანი წლების პოლიტიკური ემიგრაცია, რომელიც მაღალი იდეებით ანთებული, სულიერად მობილიზებული, საქართველოს განთავისუფლებისთვის იღვწოდა... ისინი იბრძოდნენ, ოცნებობდნენ, იმედს არ კარგავდნენ...

**თანამედროვე ემიგრანტებმა კი უკვე ნახეს „თავისუფალი“, მაგრამ სინამდვილეში გაყიდული სამშობლოს უსუსური სახე, რომელიც დღემდე ნაწილ-ნაწილ, მიზნობრივად, აშკარად და უტიფრად იყიდება.... თანამედროვე ემიგრაცია ვერ ხედავს და ვერც იპოვის თავის ადგილს ამ გაჩაღებულ აღებ-მიცემობაში, გამყიდველობის ტოტალურ გარემოში... თანამედროვე, ემიგრაციას აღარ გააჩნია სამშობლოს განთავისუფლების ნეტარი მოლოდინი და იმ სამწუხარო დისტანციიდან ველარ ხედავს გამოსავალს.**

იგივე გერმანიის მაგალითზე, როდესაც სრულიად დანგრეული ქვეყანა თხუთმეტ წელიწადში ყველაზე ძლიერ ევროპულ სახელმწიფოდ გადაიქცა, განსაკუთრებით მძიმედ აღიქმება ჩვენი ქვეყნის უსაშველო აწმყო, კრიმინალ პოლიტიკოსთა ხელში საბედისწეროდ მოქცეული.

* * *

ალბათ არ შეიძლება არსებობდეს მეორე სამშობლო.

„მეორე სამშობლო“ ალბათ სიტყვების ერთგვარი თამაშია...

ემიგრანტები პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან საკუთარ ოჯახებში ძირითადად მშობლიურ ენებზე საუბრობენ, მაგრამ იქ დაბადებულთ უჭირთ ბოლომდე აითვისონ მშობლებისთვის ესოდენ ძვირფასი ენა, რადგან მათი გარემოსთვის უცხოა და გაუგებარი.



ვ. სეროვი „ევროპის მოტაცება“

**ეს არ არის მათ ხსოვნაში ჩარჩენილი სიტყვების მშობლიური სივრცე...**

ემუქრება თუ არა თანამედროვე ემიგრაციას ისტორიული მეხსიერების დაკარგვა?

ესეც იმ შიშისმომგვრელ კითხვათა სიაშია, საქართველოს „გახიზნული, გაჩუქებული, გაყიდული“ შვილების პრობლემად რომ მოიხსენიებს ქართველი მწერალი.

**ნინო ხოფერია**

ფრაგმენტი ემიგრანტის გამოუქვეყნებელი წიგნიდან

# დუ შაში



## ვუძღვნი ჩემს ბებიას — ვალიდა ვანიძეს

წითელი ელექტრონული ციფრები: **00 საათი და 39 წუთი.** დროის მრიცხველი. ხვალ ადრე ვარ ასადგომი. სასწრაფოდ უნდა დავიძინო. თვალებს ვახელ. ვიყურები სიბნელეში. მოგონებები. **00 საათი და 57 წუთი.** იქნებ ავდგე, ჩაი დავლიო. ვდგები. გავდივარ საძინებლიდან. სიცივე. ფანჯრები ღია დამიტოვებია. უკან — ლოგინში. შუქს ვანთებ. შვილის — ანანოს ღრმა სუნთქვა მამშვიდებს.

გუშინ ოლგამ ინტერვიუ აიღო ჩემგან. წიგნს წერს ემიგრაციაზე.

ემიგრაცია. ინტეგრაცია.

საანკეტო კითხვა — **„რა ეროვნების ვარ?“**

ემიგრაცია. ინტეგრაცია.

ფიქრები მერევა. წარმოშობით ქართველი. ეროვნებით — ემიგრანტი (წინასწარ ვიცი, მიუღებელია ეს პასუხი).

ქართველი.

ისევ შეკითხვა ანკეტისთვის: **„რა არის ჩემთვის სამშობლო“...**

სიზმრები, ოცნებები, იმედი, უიმედობა, ტკივილი, დედა, ბებია... ბებიას დიდი ცისფერი თვალები, შუაში გაყოფილი თეთრი თმა. აკურატულად უკან გადავარცხნილი და კეფაზე „კოსად“ აწეული. ბებიას რბილი კალთა, ოდნავ დარწეული მოძრაობა, ნაცნობი სუნი, ტკბილი ღიღინი, ნუგეშის მომცემი ხმა: — „პატარა გოგო დამეკარგა წითელპერანგაო“...

მონატრება ყელში ბურთივით იჭედება. მახრჩობს ცრემლები. სინანული. სამშობლო. საქართველო. ემიგრაცია. ინტეგრაცია.

**1 საათი და 18 წუთი.** ახლა თუ არ დავიძინე, ხვალ ვეღარ ავდგები. ყელში გაჭედილი ის მონატრება არ მიშვებს. შუქს ვაქრობ. სიბნელე. ანანოს ღრმა სუნთქვა მამშვიდებს — ესეც ჩემი სამშობლოა.

* * *

**არა, სწორად მოვიქეცი! სხვა რა უნდა მექნა? ალტერნატივა? ჩაბნელებული ქალაქი, სიცივე, მტრობა, ნავთის სუნი, ომი, პურის რიგები, ნომრები ხელის გულებზე. ღამე. მაღაზიასთან გასათბობად დანთებული კოცონი. ავტომატის კაკანი გამთენიისკენ. დაუნდობლობა, შიში, გაურკვევლობა.**

სახე მიხურს. აზრები ფორიაქობენ. ავაშენოთ ემოციური ბარიერები! უსუსურობა დაფარული ფუსფუსით, მშენებლობებით. შიში არჩევანის, შიში შეცდომის — უმოქმედობა. შიში სიყვარულის — სიცარიელე. შიში ტკივილის, ემოციური ბარიერები — ერთმანეთზე აწოწებული ბეტონის სქელი კედლები. ჩაკეტილი სივრცე. სიმშვიდის სურვილი. ჩაბეტონებული ჩემი კივილი. პასუხისმგებლობები, ნორმები, წესები. ბეტონის კედლები სულის იმუნურ სისტემად. სიმშვიდე სურვილად რჩება. ემიგრაცია... ინტეგრაცია...

* * *

**მოსალოდნელი გაუცხოება დამხვდა თბილისში. ჩამონგრეულ ფასადებს მიღმა ჩემი ბავშვობა. პატარა ქუჩები აყრილი ასფალტით და ღია დარაბებით. ღია დარაბები, ჭორები, ყურები დარაბებთან, ცნობისმოყვარე თვალები ქუჩისკენ, ნაცნობი სახეები, როგორც ყოველთვის, კაცები „ბირჟაზე“. დუშაში. უპატრონო ძაღლები გადავსებულ სანაგვე ბუნკერებთან. იქ, ბავშვობასთან, სადღაც დროის სივრცეში, დაკარგული სამშობლო.**

მოგონება ოდესღაც, პირველად ნანახ ცოცხალ პოეტზე. ხარანაული... რატომღაც მეგონა, გარეგნულად სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო პოეტი.

**„ნუ მეტყვი ფშაველის**
**დედაკაცო,**
**რომ უცხო ვარ,**
**რადგან იქ, საიდანაც**
**გამოვიქეცი,**
**ვთქვი, რომ მივდივარ**
**ჩემს მხარეში...“**

„იქ, საიდანაც გამოვიქეცი“, ბეტონის კედლებია — სულის იმუნური სისტემად. მორჩა! სწორად მოვიქეცი. საერთო კეთილდღეობაში — ჩემი კეთილდღეობა!

**„ჩემს მხარეში“** კი ღია დარაბებია. კაცები „ბირჟაზე“. დუშაში. იმათთვის ჩემი დღევანდელობა, ანუ უცხოეთში უზრუნველი ცხოვრება, **დუ შაშია,** ნარდში მოგებულ პარტიასავითაა.

მოვიგე კი?...

არა, ნამდვილად სწორად მოვიქეცი. სხვა რა უნდა მექნა?

**3 საათი და 30 წუთია** ელექტრონულ საათზე — ჩემს საწოლთან დადგმულ დროის მრიცხველზე... უკვე გვიანია. აღარ ვიფიქრებ, თუ რას მიჩვენებს შემდგომი დრო...

**მარი გოდერძიშვილი**

# უსამშობლოთა სამშობლო

თემის გაგრძელება „კვირაძალის“ შემდეგ ნომერში

## ქართული ალბომიდან



### არჩევანი

**ეს ფოტო სპარსეთშია გადაღებული. ნიკოლოზ ილარიონის ძე საბაშვილი იქ საკუთარმა ძმამ ჩაიყვანა სამუდამოდ დასარჩენად. ცხოვრების საუკეთესო პირობები შესთავაზა, ევროპის ქვეყნებში, კერძოდ, გერმანიაში, გამგზავრების გარანტიაც...**

რამდენიმე თვეში გაუსაძლისი სევდა შემოაწვა, მოურჩენელ სენს — ნოსტალგიას რომ ეძახიან...

**— ქართველი ცოდვაა უცხოეთში“,** — უთქვამს ნიკოლოზ საბაშვილს და სამშობლოში მარტო დაბრუნებულა... მთელი ცხოვრება გავიდა მერე, რთული და მძიმე... მისი შთამომავლები ამბობენ, რომ არასოდეს არც ერთი სიტყვით არ გამოუხატავს სინანული უცხოეთიდან საქართველოში დაბრუნების გამო. პირიქით, ამ გადაწყვეტილებას ცხოვრებაში ყველაზე სწორად გადადგმულ ნაბიჯად თვლიდა...

### „აღარ არის საქართველო“...

**მომხიბლავი ფრაუ ბაუმგარდის სურათი ერთი ქართული ოჯახის ალბომში აღმოჩნდა.**

1900 წელს გერმანელი გენერალი ფონ ბაუმგარდი რამდენიმე წლით მოუვლინებიათ საქართველოში. ცოლთან და ცოლისდასთან ერთად ჩამოვიდა.

უსაზღვროდ შეჰყვარებიათ ჩვენი ქვეყანა, „მიწიერ სამოთხეს“ უწოდებდნენ თურმე. აღტაცებულან ადამიანური ურთიერთობებით, ცხოვრების წესით, კლიმატით, ბუნებით...

სამ წელიწადში გენერალს გულმა უმტყუნა და გარდაიცვალა. გერმანელმა ქალბატონებმა კი სამშობლოში დაბრუნება აღარ ისურვეს... დღეს, როცა ჩვენი ქვეყნიდან გერმანიაში მასიურად და სამუდამოდ გარბიან, საინტერესოა, მშვენიერმა **იდა ბაუმგარდმა რატომ არჩია გერმანიას საქართველო?**

მას თბილისში განსაკუთრებულ პირობებში არასოდეს უცხოვრია. ჰქონდა ერთი პატარა ოთახი სოლოლაკში, ჯაფარიძის ქუჩაზე. როცა მისი დაც გარდაიცვალა, სულ მარტო დარჩა, მაგრამ ვერაფრით ვერ დასცილდა თბილისს. დადიოდა ოჯახებში და გერმანულს ამეცადინებდა ბავშვებს... თუ რაოდენ პრესტიჟული იყო ის გაკვეთილები, ტრადიციულ ოჯახთა ჩამოთვლაც იკმარებს, სადაც ფრაუ ბაუმგარდს სიამოვნებით იწვევდნენ...



წლების მანძილზე ნამდვილ გერმანულს ასწავლიდა **ვალერიან ბაქრაძის სამ შვილს, აგრეთვე ჯუნა ვაჩიაშვილს, ნინელი და ნაზი საბაშვილებს, გოგი ანდრონიკაშვილს, ნოდარ და ჭუტა ჭიჭინაძეებს, მელიტა ასათიანს...**

ვერავინ იტყვის, რომ 1952 წელს ის მარტოობაში გარდაიცვალა... მოსწავლეების მშობლებმა უდიდესი მოკრძალებით და გულისტკივილით გადაუხადეს პანაშვიდები და ვაკის სასაფლაოზე დაკრძალეს... ამ ქართული ოჯახების შთამომავლები დღესაც ინახავენ მის ხსოვნას.

იყო დრო, როცა ევროპელს საქართველოში დარჩენა სურდა... მას ახლობელივით იღებდნენ მყუდრო და ღირსეული ქართული ოჯახები... სხვა დროება დადგა... გალაკტიონის სიტყვებით რომ ვთქვათ **„არის ოჯახები, მაგრამ აღარ არის საქართველო“...**

## „ვეძებ მეგობარს“...

**მათხოვრები, უსახლკარონი, უმწეონი და მშიერნი იქ არ არიან... მაგრამ ამ გაჩირაღდნებული ქალაქის ღამე სხვა სევდას იტევს — სულისშემძვრელი მარტოობის... ეს ფიქრი მათივე წერილებმა აღმიძრა... ჩვენში ალბათ წარმოუდგენელია ვიღაცამ ანალოგიური განცხადებები გააკეთოს ინტერნეტსა თუ გაზეთში, ყველა ასაკის ადამიანები აწერენ ხელს, საკუთარ კოორდინატებს ტოვებენ და ისინი ყველანი გერმანელები არიან — მიუნხენიდან, ჰამბურგიდან, ჰალედან...**

**„დავეძებ თანამოსაუბრეს, თავისუფალი დროის რამდენიმე საათის მასთან ერთად გასატარებლად“.**

**„სიამოვნებით ვიურთიერთებდი ადამიანთან, ვისთანაც შევძლებდი წაკითხული წიგნების შესახებ საუბარს“.**

**„ვეძებ ინტელექტუალურ ადამიანს, ვისაც ექნება დრო ჩემთან ერთად იაროს კინოსა და თეატრში. ხარჯებს მე დავფარავ“...**

**„ვეძებ ბებიას, ანუ ხანდაზმულ ადამიანს, ვისთანაც შაბათკვირას სტუმრად მივიყვანთ ბავშვებს და ვინც ხანდახან ჩვენც გვესტუმრება. გვსურს ბავშვებმა გაიგონ როგორია „ბებიის“ ფენომენი“...**



ჩანართზე მუშაობდნენ: ნინო ხოფერია, მამუკა ვაშაკიძე, კახა ქორიძე.



პუბლიკაციის წინ

# ტანჯული სამშობლოს მეტაფორა

## მილორად პავიჩის „ხაზარული სიტყვისკონის" ქართულად გამოქვეყნების გამო



**თავშივე პირდაპირ შეიძლება იმის თქმა, რომ მსგავსი წიგნი ჯერ არ დაწერილა. რასაკვირველია, ერთი წიგნი მეორეს არა ჰგავს, მაგრამ „ხაზარული სიტყვისკონა" სრულიად განცალკევებით დგას, როგორც ჰიპერბელეტრისტიკის საჩინო ნიმუში. სახელწოდების მიხედვით, თითქოს მხატვრული ნაწარმოები არც უნდა იყოს. მკითხველს უბრალოდ, ალბათ, მართლა ლექსიკონი ეგონება, თუმცა წიგნის კითხვის დაწყებისთანავე უმალ შეეცვლება აზრი და დაინახავს, რომ ხელთ უჭირავს ერთდროულად სასიყვარულო რომანიც, დეტექტივიც, სამეცნიერო ტრაქტატიც და ზღაპრების, სახუმარო ლათაიების, ვამპირული ფოლკლორის კრებულიც (თანაც ორ — მამრულ და მდედრულ ვერსიად).**

ხოლო თუ „ხაზარული სიტყვისკონა" რომანი-ლექსიკონია, პავიჩის სხვა რომანები („ჩაით დახატული პეიზაჟი", „ქარის შიდა მხარე", „უკანასკნელი სიყვარული კონსტანტინოპოლში" და „რომანი კროსვორდების მოყვარულთათვის") ან რომანი-კლეპსიდრაა, ან რომანი-ტაროა, ან რომანი-კროსვორდია. მოკლედ, ახალი ტერმინი რომ ვიხმაროთ, საქმე გვაქვს არა რამდენადმე ტრადიციულ, არამედ აშკარად ინტერაქტიურ მწერალთან.

„ხაზარული სიტყვისკონა" — „XXI საუკუნის წიგნი" — სერბულად 1984 წელს გამოვიდა და მალევე მსოფლიოს ოც ენაზე ითარგმნა, მრავალი წლის მანძილზე ბესტსელერთა სიაში პირველობდა საფრანგეთში, გერმანიაში, ამერიკაში, როგორც შეერთებულ შტატებში, ისე სხვა ქვეყნებში.

მსოფლიო სალიტერატურო კრიტიკის ყურადღება უწინარესად ნაწარმოების უჩვეულო მხატვრულმა ფორმამ მიიპყრო. პავიჩი გვერდით დაუდგა XX საუკუნის მწერლობის თვალსაჩინო ოსტატებს — ბორხესს, კორტასარს, ეკოს. ფანტაზიის სიმჩქეფარისდა მიხედვით ზოგიერთმა პავიჩის წიგნი „ათას ერთი ღამის" ზღაპრებსაც კი შეადარა. მაგრამ მთავარი „ხაზარულ სიტყვისკონაში" მაინც მწვავედ დანახული თანამედროვეობაა. ამ მთავარში კი უმთავრესი პატარა ხალხის გადარჩენის პრობლემაა, რომელი პატარა ხალხიც თავისი ეროვნული და ისტორიული სახის შესანარჩუნებლად იბრძვის აწინდელ არეულ მსოფლიოში. ზოგს, გონიერსა და შეუპოვარს, გამოსდის ეს ბრძოლა და დიდ, მრავალრიცხოვან ხალხებსაც კი ეტოლება თავისი სულიერი სიძლიერით; ზოგიც, ნაკლებად გონიერი და წინდაუხედავი, მეზობლად გაშლილ ზღვას შეერთებულ პატარა მდინარესავით იკარგება.

ამ თვალსაზრისით, ბევრმა კრიტიკოსმა „ხაზარული სიტყვისკონა" აღიქვა როგორც სერბეთის, ავტორის ტანჯული სამშობლოს მეტაფორა. და, ერთი არცთუ ცნობილი ამერიკელი ლიტერატორის ფრიად მოსწრებული თქმისა არ იყოს, თუკი მეტაფორა მართლაც სიტყვის სიზმარია, ეს აზრი ზედგამოჭრილია „ხაზარულ სიტყვისკონაზე". თუმცა



სერბი ავტორის ამ უჩვეულო ჰიპერტექსტმა დიდი ხალხების წარმომადგენელთაც გაუჩინა საფიქრალი. ერთ მშვენიერ დღეს იქნებ გერმანელნიც გამქრალ ხალხთა რიცხვს მივეკუთვნოთო, მსოფლიო ისტორიაში გათქვეფილი და „ატლანტიდასავით" ჩაძირულიო, წერდა გერმანელი კრიტიკოსი. ფრანგული კრიტიკა კი უფრო შორს წავიდა. ეს რომანი იქნებ მთელი ჩვენი ცივილიზაციის სიმბოლური თარგმანებაა და ჩვენ ყველანი ხაზარები ვართ ატომური საშიშროებისა და ეკოლოგიურ კატასტროფათა საუკუნეშიო, წერდა ახლა უკვე ერთ-ერთი ფრანგი კრიტიკოსი.

ასე თუ ისე, პავიჩის „ხაზარული სიტყვისკონა", უშუალოდ ხაზარულივე მსოფლგაგებისა და მსოფლშეგრძნებისდა კვალობაზე აგებული, ფრიად ფიქრთა ამშლელი წიგნია ბევრთათვის და, მით უმეტეს, ქართველთათვის. თუნდაც იმიტომ, რომ ხაზარები ჩვენს მეზობლად „ცეცხლივით ბრიალებდნენ" ჩრდილოეთ კავკასიაში, სანამ ათასი წლის წინათ სამუდამოდ არ გაქრებოდნენ ვითარცა ის „წერო, დარიალისკენ გადავარდნილი ხაზარეთისკენ რომ მიფრინავდა..."

როგორც ცნობილია, ხაზარები ქართულ მატიანეებში პირველად ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაში" ჩნდებიან, და ამ თხზულებაში დაცული მოთხრობა „გამოსვლა ხაზართა" მნიშვნელოვანწილად დამყარებულია „რეალურ ისტორიულ ფაქტებზე". ერთ-ერთი ეს რეალური ფაქტი კი ის არის, რომ 627 წლის ზაფხულში ხაზარები, როგორც ბიზანტიელთა და თურქთა მოკავშირენი, ტფილისს გარს ადგნენ ორთვიანი ალყით. მაგრამ ტფილისის დამცველნი ნირს არ იცვლიდნენ. ისრისა და მახვილის გარდა, მახვილ სიტყვასაც მოივარგებდნენ. საიდანღაც უზარმაზარი გოგრა გააჩინეს, რომელიც ხაზარი ხაკანის ჯიბღუს თავად აქციეს, ზედ იმისი გონჯი ცხვირ-პირი გამოსახეს და ციხის გალავანზე გამოკიდეს: აი თქვენი მეფე-ხელმწიფე, მობრუნდით, თაყვანი ეცით, ეს თქვენი ჯიბღუ ხაკანიაო. ტფილისელთ მასხარად აუგდიათ აგრეთვე ბიზანტიის კეისარი: ვაცის წვერი გასხია და ვაცბოტისა კისერი გაბიაო, თან თურმე ბილწსა და მამათმავალს ეძახდნენ. მაგრამ ბოლოსა და ბოლოს ხაზარნი ტფილისში მაინც შემოჭრილან ჯიბღუ ხაკანის შვილის შათის მეთაურობით და ტფილისელთა „გოდებითა და ვაებით დაუძლიათ თავიანთი მახვილნი..." ხოლო ტფილისის თავკაცი ვარსამუსე (ქართლის მთავართა სახლიდან) ჯერ ჩამოუხრჩვიათ, მერმე ტყავი გაუძვრიათ, გვამი თივით დაუტენიათ და ციხის იმ გალავანზე გამოუკიდიათ, სადაც ადრე ჯიბღუს „გოგრის პორტრეტი" ეკიდა.

ეს ყველაფერი იმჟამინდელ ჟამთაალმწერელთა ბატის ფრთას ეკუთვნის, რაც შეეხება „ხაზარულ სიტყვისკონას", იქ მთლად ასე არ არის გადმოცემული. თუმცა წიგნის ბუნებრივი პერსონაჟები არიან კავკასია, შავი და კასპიის ზღვები (ერთ დროს ხაზარულიც რომ რქმევია), ჩვენი საერთო კავკასიური წარსული, რომელიც დღესაც ამაოდ ითხოვს შველას... და ხაზართა ხაკანს (იქნებ სწორედ იმ ჯიბღუს) ხან ტფილისი ესიზმრება, ხანაც სევდიანად მობუტბუტე მტკვარი, სადაც მკერდამდე მომდგარ წყალში ტოპავს და თან რაღაც წიგნს კითხულობს, იქნებ სულაც ხაზართაგან დარბეულ და იავარქმნილ ტფილისში ნაპოვნს...

ერთი სიტყვით, დღევანდელ ქართველთ სრული უფლება გვაქვს, რომ უთუოდ ბრძენი მეოცესაუკუნელი სერბის მილორად პავიჩის „ხაზარულ სიტყვისკონაში" ჩვენი არცთუ ნაკლებად ტანჯული სამშობლოს მეტაფორაც დავინახოთ.

ხოლო, „ლექსიკონის" მაგივრად „სიტყვისკონის" ხმარებას რაც შეეხება, აქ თვით საქართველოსოდენა წინაპრის — სულხან-საბა ორბელიანის „ქართული სიტყვისკონა" წამომეშველა, ჩვენი ენის ერთ-ერთი ცოცხალი გადამრჩენელი.

ბოლოს იმის აღნიშვნაც ჯერ არს, რომ ამ წიგნის ჩინებული რუსი მთარგმნელის, ქალბატონ ლარისა საველიევას შეწევნით თვითონ მილორად პავიჩმაც შეიტყო „ხაზარული სიტყვისკონის" ქართულად თარგმნის ამბავი და მადლობის სიტყვებთან ერთად „სიტყვისკონის" ერთ-ერთი ბოლო სერბული გამოცემაც (მამრული ცალიც და მდედრულიც) გამოგზავნა თბილისში, რასაკვირველია, მეგობრული წარწერით დამშვენებული. ასე რომ თარგმნისას ხელთ მქონდა „სიტყვისკონა" სერბულადაც, რაც რომელიმე სლავური ენის ცოდნისას გასაგებად მაინცადამაინც დიდ საძნელო საქმეს არ წარმოადგენს.

დანარჩენი უკვე ქართველ მკითხველზეა.

**გურამ გოგიაშვილი.**

**P. S. მართალია, მამრული ვერსიისგან ძალიან მცირედ განსხვავდება, მაგრამ როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, „ხაზარულ სიტყვისკონას" აქვს აგრეთვე მდედრული ვერსია, რომელიც ჩვეულებრივ ცალკე წიგნად იცემა, და შემდეგ უკვე მკითხველი პოულობს ამ სხვაობას.**

**გ. გ.**



პოეზია

# ურთმანეთოდ გული არ თბება



ჯანსუღ ჩარკვიანი

## არ გვიცხოვრია

ღმერთის გარეშე,
ჩვენ ჩვენი გვქონდა,
ჩვენი გვყოფნიდა,
სულ რომ გაგვიჟდნენ,
სულ რომ გავვეშდნენ,
ლუკმას არ შევჭამ
სხვისი გობიდან.
ციხე ტუდებოდა
მარად შიგნიდან,
ურთმანეთოდ
გული არ თბება,
ამას მე ვამბობ —
შენი შვილი და
გემუდარები,
დავრჩეთ ქართველად.

## აჩრდილთა ქვეყანა

ტვირთს ზიდავ, ვითომ ვირი ხარ,
თან ყროყინს გადაეჩვიე,
შებოჭილ-შებორკილი ხარ,
ვერც მკიცხავ —
ბანდას შესჩივლებ.
ერთად ღმერთმაც ვერ შეგვყარა,
დავმრწით იქით და აქეთა,
ვაი, აჩრდილთა ქვეყანავ,
შეშინებულთა ქართველთა.
სიტყვას სიტყვასთან
ვერ ვრითმავ,
ვარ უღირსი და ბედკრული,
ნათლისა ელვარებითა,
რა ვქნა, აღარ ხარ შემკული.

## სიცილ-სიცილი...

გუშინ, გზაზე კაცი შემხვდა,
აი, ზუსტად ჩემი ცალი,
უცებ, ფიქრი ხეზე შეხტა,
მე ვყოფილვარ, ვერ ვიცანი.
მე მეგონა — შეროზია, —
მთაწმინდელი ივერი,
თურმე ნაღდი სკლეროზია,
ტუჰისცალი სიბერის.
აი, წლების არომატი,
ვუმზერ წარსულს — გაშოტილს,
ხელიც აღარ ჩამოვართვი,
სიცილ-სიცილ გავშორდი.

## მეანაბრე

ქვეყნად შენი სამართლის,
არ მსმენია მსგავსი,
მე რომ ფული წაგართვი,
შენ ციხეში ჩამსვი, —
მე არაფრად არა მთვლი,
ჩემს ცხოვრებას ანგრევ,
შენ რომ ფული წამართვი,
ჰასუხს რად არ აგებ?

## შენ გეუბნები

მიზანი ისე დავსახე,
ვითარ ვიყავი ღირსი,
არა მქონია სახსახლე,
არც ჩემი, არცა სხვისი.
გამხმარა კახთა ვენახი,
უცხო ქარები ქრიან,
შენ რომ სახსახლეს ემახი,
ქართულად კუბო ჰქვია.

## როდის გათენდება?!

ციხესიმაგრე დანგრეული
ამაგებინეთ,
რა გინდათ ჩემგან,
მუკნა მგლებო,
გამაგებინეთ!
საჰირისჰირო ზესკნელისა,
არის ქვესკნელი,
ბოლო სუნთქვაა წუთისოფლის
ღილის შემსკვნელი.
ვაი, ზვარაკო,
მოზვერივით ნუ იმზირები,
თიბავენ ნათელს და უფენენ
სულს მიმინების.
„ყველა ერუი და ყველა ცრუი",
კუტი, საჰყარი,
ნეფე-დედოფლის გასახარად
მღერის მაყარი.
არც კი იციან, რას ცეკვავენ,
ან რას მღერიან,
ქრისტე აწამეს, —
დღეს ხომ დიდი ჰარასკევია.
დახაშმულები, ყველა დილას
ვიწყებთ განდგომით,
ნუთუ, არასდროს გათენდება
დილა აღდგომის?

2006 წ. თებერვალი-მარტი.

ყველაფერი ყველაფერზე

# ქუჩაში გამოყრილი პუშკინი და ჩეხოვი

**მერილენდის შტატის ერთ-ერთი ცნობილი წიგნის მაღაზიის დირექტორმა ვალი ვერ დაფარა სასაწყობო შენობების იჯარისა. ამ მიზეზით მაღაზიაში არსებული 600 ათასი წიგნიდან 400 ათას ცალამდე გარეთ გამოიტანეს გადასამუშავებლად და მეორადი ნედლეულის სახით გამოსაყენებლად. ერთხანს წიგნები უბრალოდ ეყარა ქუჩაში და მაღაზიის მუდმივი მომხმარებლები ამ გროვიდან გადარჩენილ წიგნებს ირჩევდნენ.**

საბედნიეროდ, არაფერი მოსვლია კლასიკური რუსული ლიტერატურის იშვიათ ეგზემპლარებს. იმათ რიცხვშია ა. ს. პუშკინისა და ა. პ. ჩეხოვის სრული აკადემიური კრებულები, რამდენიმე დასახელების მხატვრული ალბომი, ათობით დიდი თეატრის ალბომის ჩათვლით. კლასიკოსებს ქუჩაც ვერაფერს აკლებს...





ჩემპიონთა ლიგა

# წილი ნაყარია

გუშინ პარიზში გაიმართა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალისტთა კენჭისყრა, რომელმაც მეტოქენი ასე დააწყვილა:

1. „არსენალი“ – „იუვენტუსი“,
2. „ლიონი“ – „მილანი“,
3. „ინტერი“ ან „აიაქსი“ – „ვილიარეალი“,
4. „ბენფიკა“ – „ბარსელონა“.

ამ ეტაპის მატჩები 28-29 მარტსა და 4-5 აპრილს გაიმართება.

რაც შეეხება ნახევარფინალს, იქ ერთმანეთს პირველ-მესამე და მეორე-მეოთხე წყვილებში გამარჯვებულნი დაუპირისპირდებიან.

ფინალურ შეხვედრას 17 მაისს პარიზი უმასპინძლებს.

ევრო – 2008

# გველირსა!

როგორ იქნა, საშველი დაადგა ევროპის მომავალი საფეხბურთო ჩემპიონატის II შესარჩევი ჯგუფის კალენდრის შემუშავებას – მხარეების რამდენიმეცდიანი უშედეგო მოლაპარაკებების შემდეგ საქმეში უეფა ჩაერია და ბრმა კენჭისყრით შემდეგი განრიგი „გამოაცხო“.

*2006 წელი*

*2 სექტემბერი. საქართველო – საფრანგეთი, იტალია – ლიტვა, შოტლანდია – ფარერები.*

*6 სექტემბერი. უკრაინა – საქართველო, ლიტვა-შოტლანდია, საფრანგეთი – იტალია.*

*7 ოქტომბერი. იტალია – უკრაინა, შოტლანდია – საფრანგეთი, ფარერები – ლიტვა.*

*11 ოქტომბერი. საქართველო – იტალია, უკრაინა – შოტლანდია, საფრანგეთი – ფარერები.*

*2007 წელი*

*24 მარტი. შოტლანდია – საქართველო, ლიტვა – საფრანგეთი, ფარერები – უკრაინა (შესაძლოა, ეს მატჩი გაიმართოს 2007 წლის 22 აგვისტოსძ.*

*28 მარტი. საქართველო – ფარერები, უკრაინა – ლიტვა, იტალია – შოტლანდია.*

*2 ივნისი. ლიტვა – საქართველო, საფრანგეთი – უკრაინა, ფარერები – იტალია.*

*6 ივნისი. საფრანგეთი – საქართველო, ლიტვა-იტალია, ფარერები – შოტლანდია.*

*8 სექტემბერი. საქართველო – უკრაინა, შოტლანდია – ლიტვა, იტალია – საფრანგეთი.*

*12 სექტემბერი. უკრაინა – იტალია, საფრანგეთი – შოტლანდია, ლიტვა – ფარერები.*

*13 ოქტომბერი. იტალია – საქართველო, შოტლანდია – უკრაინა, ფარერები – საფრანგეთი.*

*17 ოქტომბერი. საქართველო – შოტლანდია, უკრაინა – ფარერები, საფრანგეთი – ლიტვა.*

*17 ნოემბერი. ფარერები – საქართველო (შესაძლოა, ეს მატჩი გაიმართოს 2006 წლის 16 აგვისტოსძ, ლიტვა – უკრაინა, შოტლანდია – იტალია.*

*21 ნოემბერი. საქართველო – ლიტვა, უკრაინა – საფრანგეთი, იტალია – ფარერები.*

ფეხბურთი

# საგოლე გვალვა

**უეფას თასის გათამაშების პირველი მერვედფინალური რაუნდის რვა შეხვედრაში მხოლოდ ამდენივე გოლი გავიდა. აღსანიშნავია, რომ ხელი მოეცარათ ბუნდესლიგისა და პრიმერადივიზიონის წარმომადგენლებს, „სერია-ა“-ს ტრიოს კი მორიგ ეტაპზე გასასვლელად ერთი კვირის შემდეგ გასამართ საპასუხო მატჩებში დიდი ბრძოლების გადახდა მოუწევს. იგივე შეიძლება ითქვას ფრანგულ კლუბებზეც. გაუწყებთ სრულ შედეგებს:**



„რაპიდი“ – „ჰამბურგი“ 2:0 (ნიკულაე, ბუგაძ,
„პალერმო“ – „შალკე“ 1:0 (ბრიენცაძ,
„მარსელი“ – „ზენიტი“ 0:1 (არშავინძ,
„სტიაუა“ – „ბეტისი“ 0:0,
„ლილი“ – „სევილია“ 1:0 (დერნისიძ,
„ბაზელი“ – „სტრასბური“ 2:0 (დელგადო, კუზმანოვიჩიძ,
„უდინეზე“– „ლევსკი“ 0:0,
„მიდლსბრო“ – „რომა“ 1:0 (აიეგბენი, პენალტითძ.

კალათბურთი

# სათასო ვნებანი

**გუშინ ვერის ბაღის მიხეილ კეკელიძის სახელობის საკალათბურთო კომპლექსში დაიწყო ვაჟთა ეროვნული თასის გათამაშება. გაუწყებთ მეოთხედფინალური შეხვედრების შედეგებს:**



„ავიამშენი“ – ქუთაისი 131:58,
„აზოტი“ – „მაქაბი“ 84:71,
სტუ – სსუ 111:76,
თსუ „ნიკორა“ – „დინამო“ 110:94.

დღეს 13 და 15 საათზე ნახევარფინალში ითამაშებენ, შესაბამისად, პირველ და მეორე, მესამე და მეოთხე წყვილებში გამარჯვებულნი – „ავიამშენი“ – „აზოტი“ და სტუ – თსუ „ნიკორა“. დაგვეთანხმებით, დაძაბული ბრძოლები გველის.

ჭადრაკი

# საათები დღეს ჩაირთვება

**რუსეთის ქალაქ ეკატერინბურგში გუშინ საზეიმოდ გაიხსნა მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს წარმომადგენლებიც მონაწილეობენ.**



ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი **მაია ჩიბურდანიძე** დღეს კოლუმბიელ ინგრის რივერას ეთამაშება. **ქეთევან არახამია-გრანტი** პოლონელ მარტა ზელინსკას დაუპირისპირდება. **ნანა ძაგნიძე** რუს ევგენია ოვოდს შეხვდება, **ლელა ჯავახიშვილი** – ირინა ტუროვას (რუსეთიძ, **ნინო ხურციძე** – ჩინელ ვანგ იუს. ყველაზე ძლიერი მეტოქე ჩვენს ახალგაზრდა მოჭადრაკეს – **მაკა ფურცელაძეს** ჰყავს რუსეთელ ალისა გალიამოვას სახით, რომელიც ტურნირზე მე-16 ნომრად არის განთესილი.

ცურვა

# ოსტატობისკენ – წყლის ბილიკებით

**ბროვარიში ოთხ დღეს გრძელდებოდა 16-17 წლის მოცურავეთა უკრაინის ღია პირველობა, რომელშიც 397 მონაწილე გამოდიოდა, მათ შორის – საქართველოს ოთხი წარმომადგენელი – ირაკლი რევიშვილი, ალექსანდრე ნემსაძე, ლაშა მეტრეველი და ილია მანჯგალაძე.**

გვესაუბრება საქართველოს მოცურავეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ირინა მინჭულინა:**

– უკრაინელებმა შესანიშნავად გვიმასპინძლეს. ჩვენს სპორტსმენებს ყოველგვარი პირობა ჰქონდათ, საკუთარი შესაძლებლობები ბოლომდე გამოევლინათ და მათაც არ დაგვალალატეს.

უპირველესად ირაკლი რევიშვილის წარმატება მინდა აღვნიშნო: 400 და 1500 მეტრზე თავისუფალი ყაიდით ცურვაში მან ბრინჯაოს მედლები მოიპოვა. ამასთანავე, ორივე დისტანციაზე მონრეალში მსოფლიო ჩემპიონატზე ნაჩვენები საკუთარი შედეგები გააუმჯობესა, რაც ოსტატის ნორმატივებს აღემატება.

სპორტულ რეჟიმს თუ არ დაარღვევს და თავდადებით ივარჯიშებს, რევიშვილს თავისუფლად შეუძლია პეკინის 2008 წლის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიის მოპოვება. ირაკლიმ ასპარეზობის მესამე დღეს 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში სცადა ბედი და ფინალში IV-V ადგილები გაინაწილა.



გაგვახარა ილია მანჯგალაძემაც. იგი 1990 წელს არის დაბადებული. 50 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში ორჯერ შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი. 50, 100 და 200 მეტრზე ცურვისას ფინალებში VI-VII ადგილები დაიკავა.

ოდნავ უკეთესი შედეგი ჰქონდა 50 და 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში ალექსანდრე ნემსაძეს, რომელიც მეექვსე თვეა ჩემთან ვარჯიშობს. ორივე დისტანციაზე მან საბოლოოდ მე-5 ადგილები დაიკავა. საერთაშორისო სარბიელზე დებიუტისთვის ურიგო როდია.

2 აპრილს შანხაიში „მოკლე წყალზე“ მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება. ამ შეჯიბრებისთვის ვანო ლექვთაძე და კირილ შირიაევი ემზადებიან. ვეცდებით, არც ჩინეთში შევირცხვინოთ თავი.

ესაუბრა
**ვაჟა დანელია**

**სურათზე: ირაკლი რევიშვილი.**
**რობერტ ბაგოიანის ფოტო.**

სუსხიანი სტრიქონები



# იტალიური ფეხბურთი გაიხრწნა?

**იტალიური „პერუჯას“ მეპატრონეს ლუჩანო გაუჩის უმძიმესი დღეები დაუდგა. თვით გაუჩი საზღვარგარეთ გაიქცა, მისი შვილები დააპატიმრეს, ოჯახის ქონებას კი ყადაღა დაადეს. გაუჩი აცხადებს, რომ იტალიური ფეხბურთი მთლიანად გაიხრწნა, ხოლო მას ამ საქმეთან არავითარი კავშირი არა აქვს.**

„ქვეყნის ჩემპიონატის მატჩების 70-80 პროცენტი წინასწარ განპირობებულია, შემდეგ კი სპექტაკლები იდგმება. ჩემპიონატის ბედს წყვეტენ პოლიტიკოსები, ბიზნესმენები, აგრეთვე ფედერაციის პრეზიდენტი ფრანკო კარარო. მათ მთელი იტალიური სპორტის მონოპოლიზაცია მოახდინეს და მშვენიერი თამაში – ფეხბურთი პაროდიად აქციეს. ჩვენთან ყოველთვის ერთი და იგივე კლუბები იმარჯვებენ. მათ არავითარი პრობლემები არა აქვთ და მსაჯებს პირდაპირ უბრძანებენ უზრუნველყონ საჭირო შედეგი“.

ორბიტაზეა

# იქნება ახალი რეკორდი?

**გუშინ მოსკოვში სტარტი აიღო მძლეოსანთა მეთერთმეტე მსოფლიო ჩემპიონატმა დახურული დარბაზებისთვის.**

რუსეთის დედაქალაქში საასპარეზოდ ჩავიდა 133 ეროვნული ფედერაციის 635 ათლეტი (შეგახსენებთ, რომ პირველ მსოფლიო ჩემპიონატში 85 ფედერაციის წარმომადგენლები მონაწილეობდნენძ.

როგორც მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (ИАФФძ პრეზიდენტმა ლამინ დიაკმა განაცხადა, იგი მოელის სპორტსმენების წარმატებით გამოსვლებს,



მსოფლიო რეკორდებსაც, რისთვისაც ფედერაცია მზადაა თითოეულ რეკორდსმენს გადაუხადოს 50 ათასი დოლარი.

ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი იმედი აქვთ ჭოკით ხტომაში ათენის ოლიმპიური, მრავალგზის მსოფლიო და ევროპის ჩემპიონის ელენა ისინბაევასი (ის დღეს 19 საათზე იასპარეზებსძ.

გუშინ უკვე გაიმართა ფინალური შეჯიბრებები ბირთვის კვრაში და 60 მეტრზე სირბილში. ჩემპიონატი კვირას, 12 მარტს დამთავრდება.

**სურათზე: ელენა ისინბაევა.**

# მკერდით ყველა დაჯაბნა

**როგორც უკვე გაცნობეთ („სრ“ 22.02ძ, იტალიაში, სან-რემოს სიმღერის ფესტივალზე თანაწამყვანად მიიწვიეს ფეხბურთში იტალიის ნაკრების ნახევარმცველისა და „რომას“ კაპიტნის ფრანჩესკო ტოტის ლამაზმანი მეუღლე ილარი ბლაზი. თავად ფეხბურთის ფეხმოტეხილი ვარსკვლავი ახლა ტრავმებს იშუშებს.**

შეიძლება ითქვას, რომ ილარი ფესტივალის გახსნის ცერემონიის ნამდვილი ვარსკვლავი გახდა. მან დაჩრდილა შოუ-ბიზნესის ისეთი ჯადოქრები, როგორიც ჯონ ტრავოლტა და ეროს რამაცოტია.

თავად განსაჯეთ, 24 წლის ილარის კაბის ღრმა დეკოლტემ (ჩვენში რომ ხუმრობენ – „დეკოლტე ჭიპამდეო“ძ თითქმის ყველა მამაკაცის ყურადღება დაიმონა. მკვეთრი მოძრაობისას მისი მიმზიდველი მკერდი თითქმის მთლიანად შიშვლდებოდა. ეს, ალბათ, ყველაზე მეტად ტრავოლტას სიამოვნებდა, რომელიც ფეხბურთელის ცოლმა რამდენჯერმე ჩაიხუტა გულში.

მრავალ ცნობილ სტუმართან ერთად, საღამოს ესწრებოდა იტალიის ნაკრების ფორვარდი ლუკა ტონიც, რომლის „დაქალი“ მარტაც მონაწილეობდა ფესტივალის გახსნის ცერემონიაში. „მე კმაყოფილი ვარ, როგორც მარტა სცენაზე გამოიყურებოდა, – თქვა ნაკრების ფეხბურთელმა, – მაგრამ ასეთი გამომწვევი კაბის ჩაცმის ნებას მე მას არ მივცემდი“.



უძღვება გურამ ვაშაკიძე

გამოშვება მეათე

# დაფაზე — ულმობელი სიმართლე

## ყმაწვილთათვის და არა მარტო მათთვის

**ჭადრაკი სულით ძლიერი ადამიანებისთვისაა.**
**ვ. სტეინიცი**

ძველი შეხედულება იმის თაობაზე, რომ ქალები ბევრად ჩამორჩებიან მამაკაცებს ჭადრაკის თამაშში, პირწმინდად უარყვეს თავად... მოჭადრაკე ქალებმა. მოყოლებული ვერა მენჩიკიდან და ნონა გაფრინდაშვილიდან, დამთავრებული დები პოლგარებით და სხვა ცნობილი მოჭადრაკეებით, სუსტი სქესის წარმომადგენლებმა უამრავი გამარჯვება მოიპოვეს მამაკაცებზე. ასე რომ, მათი საჭადრაკო სიძლიერის კოეფიციენტი დღეს იმდენად აღარ განსხვავდება ერთმანეთისგან, როგორც ეს ადრე იყო, თუმცა ჭადრაკში გათვითცნობიერებულ ქალებს არც წარსულში ჰქონდათ ნაკლები ძალა და ავტორიტეტი.

უძველესი ბირმული ქრონიკები მოგვითხრობენ, რომ მეფე ნერატი 1247 წელს ტახტზე ასვლის შემდეგ თავის მეუღლეს ყოველდღე ეთამაშებოდა ჭადრაკს და ერთხელაც, სამი პარტია ზედიზედ რომ წააგო, თქვა: უფრო მართებული იქნებოდა სახელმწიფო ჩემს ბრძენ მეუღლეს ემართაო.

დიდი ხალიფატის ეპოქის ძველ არაბულ ხელნაწერებს თუ დავუჯერებთ, იმ დროს ქალები ჭადრაკს მამაკაცებზე ნაკლებად როდი თამაშობდნენ. თუმცა იყვნენ ისეთებიც, ჭადრაკის თამაში სამარცხვინო, საჩითირო საქმედ რომ მიაჩნდათ და ხშირად სასიძოებს თავიანთ ქალიშვილებს არ ატანდნენ იმ მიზეზით, რომ: „შენ თამაშობ ჭადრაკს. ესე იგი შენ უკვე გყავს საყვარელი ცოლი“, ან: „ჭადრაკს თამაშობ? შეიძლება ერთხელაც შენი ცოლი წააგო“... და ა.შ.

უნდა ითქვას, რომ ასეთი შიში სულაც არ იყო უსაფუძვლო. აი, ერთი სპარსული ლეგენდა, რომელიც, შესაძლოა, ყველაზე ცნობილი საჭადრაკო ამოცანის — დილარამის შამათთან ერთად დაიბადა.



ლეგენდა გვიამბობს: ერთმა ვეზირმა, რომელიც ჭადრაკს ძლიერ მოწინააღმდეგესთან თამაშობდა, თანდათანობით ყველაფერი წააგო, მთელი ქონებაც, ბოლოს კი სასწორზე თავისი ყველაზე დიდი სიმდიდრე დადო — ულამაზესი მეუღლე დილარამი! ვეზირს ვერც ამჯერად გაუღიმა ბედმა. რამდენიმე უხეირო სვლა გააკეთა და ბოლოს წასაგები პოზიციაც კი მიიღო. შეიქმნა ცოლის დაკარგვის საშიშროება. სწორედ ამ დროს დილარამმა, რომელიც თვალს ადევნებდა თამაშს, ქმარს უჩურჩულა: „ორივე ეტლი შეწირე და მხოლოდ ასე გამომიხსნი“. ქმარმაც დაუჯერა მეუღლეს, ეტლები შეწირა და მეტოქე დააშამათა.

1. ეh8+ მფ:h8 2. კf5 (არაბულ ჭადრაკში — შატრანჯაში კუს სხვა ფიგურებზე გადახტომა შეეძლო) ეh2 3. ე:h2+ მფg8 4. ეh8+ მფ:h8 5. g7+ მფg8 6. მh6X

ეს რომანტიკული ისტორია პირველად სპარსი პოეტის ფირდოუსი ატტახიტალას საჭადრაკო ხელნაწერებშია (1503 წ.) მოხსენიებული.

ქალის საჭადრაკო ნიჭის ელვარება დიდად დაფასებულია სხვა ხალხების კულტურულ მემკვიდრეობაშიც.

შუა საუკუნეებში, დასავლეთის ქვეყნებში, ვიდრე დაქორწინდებოდნენ, საზოგადოების უმაღლესი ფენების წარმომადგენლები ვალდებული იყვნენ დაუფლებოდნენ საჭადრაკო ხელოვნებას. ითვლებოდა, რომ მეუღლეები ოჯახურ სიმყუდროვეს კიდევ უფრო განამტკიცებდნენ ზამთრის გრძელ ღამეებში ჭადრაკის თამაშით. მაგრამ ხდებოდა სხვაგვარადაც...

1214 წელს ბუვინთან ახლო, ბრძოლაში, საფრანგეთის მეფემ ფილიპ-ავგუსტუსმა ტყვედ ჩაიგდო ფლანდრიის მმართველი გრაფი ფერანი. იმ დროის კანონების მიხედვით მეფემ ტყვის გამოსასყიდი თანხა დაასახელა, მაგრამ გრაფის მეუღლემ, ელიზამ, ქმრის გამოხსნაზე უარი თქვა. აღმოჩნდა, რომ მათი ცოლ-ქმრული ურთიერთობა ისედაც დანგრევის პირას იყო მისული. მიზეზი? ქალი სისტემატურად უგებდა ჭადრაკს მეუღლეს, ის კი რევანშის აღებას მუშტების წყალობით ცდილობდა...

ბოლოსდაბოლოს, ელიზამ შეუთვალა ქმარს, რომ გადაიხდიდა გამოსასყიდს, თუ იგი საჯაროდ აღიარებდა ელიზას უპირატესობას ჭადრაკში, მაგრამ ამაყმა გრაფმა, როგორც ლეგენდა გვამცნობს, ასეთ სამარცხვინო აღიარებას ტყვეობაში სიკვდილი არჩია.

შუა საუკუნეების რაინდებისთვის მოჭადრაკე ქალთან დამარცხება არანაკლებ მტკივნეული იყო, მეტადრე, თუ იგი „ტრფობის საგანსაც“ წარმოადგენდა.

საფრანგეთის მეფის ლუდოვიკო XII მამა პრინცი შარლ ორლეანელი (1391-1465) თავისი დროის კეთილშობილ რაინდად, რიგიან პოეტად და კარგ მოჭადრაკედაც ითვლებოდა. ცოლი რომ გარდაეცვალა, მან დაწერა პოემა, სადაც თავსდატეხილ უბედურებას — მეუღლის სიკვდილს გლოვობდა, რომელსაც ჭადრაკის დაფაზე დედოფლის დაკარგვასთან აიგივებდა. თუმცა პოემა გარკვეულ ოპტიმიზმსაც შეიცავდა: ავტორი აიმედებდა მკითხველებს, რომ მისი ცხოვრების დაფაზე მალე ახალი ლაზიერი გამოჩნდებოდა.

XIII საუკუნის ფრანგი პოეტი რიშარ დე ფურნივალი ჭადრაკის ფიგურებს ციურ სხეულებს ადარებდა. მისი აზრით, მეფე იყო მზე, ეტლი — მთვარე, კუ — იუპიტერი, მხედარი — მარსი. იმ ეპოქაში ლაზიერს „რენვერჟი“ — „ქალწული დედოფალი“ ერქვა. პოეტი ამის გამო ამბობდა, რომ „მშვენიერებით აღსავსე რენვერჟი ძალიან მინდა ვენერას შევადარო, მაგრამ ვერ წარმომიდგენია, ეს ქალღმერთი როგორ შეიძლება იყოს ქალწულობის განსახიერებაო.

შვედეთის ქალაქ უპსალის არქიეპისკოპოსი კლაუს მაგნუსი 1655 წელს გამოცემულ თავის წიგნში — „ჩრდილოეთის ხალხების ისტორია“ — წერდა, რომ შვედეთის წარჩინებულ მოქალაქეებს შორის ჭადრაკი თანდათანობით იხვეჭს სახელსო. „სხვა ღირსებებს შორის ეს ბრძნული თამაში იმითაცაა გამორჩეული, — მიაჩნდა ავტორს, — რომ ოჯახის უფროსს აქვს შესაძლებლობა მომავალი სიძის ხასიათი გამოიცნოს. კერძოდ, როგორ უჭირავს თავი მას ჭადრაკის თამაშის დროს, რამდენად წესიერ სიტყვებს ხმარობს, თავშეკავებულია თუ არა წარმატების შემთხვევაში, ანდა თუ შეუძლია ღირსეულად დამარცხების გადატანა“ და ა.შ.

კლაუს მაგნუსი ამტკიცებდა, რომ რაც უფრო უკეთ თამაშობს ადამიანი ჭადრაკს, მით უფრო კარგი მეოჯახეა იგი.

აი, ამ თეზისის შემოწმება გადაწყვიტეს 1886 წელს ამერიკის ქალაქ ბალტიმორის ჭადრაკის მოყვარულებმა. ბერბიჭებისგან და ცოლშვილიანებისგან შემდგარმა ორმა გუნდმა ერთმანეთი მატჩში გამოიწვია. ამ შეხვედრის შედეგებზე რომ საუბრობდა, ერთი ჰამბურგული ჟურნალი წერდა: „მატჩი დამთავრდა უცოლშვილოების შთამბეჭდავი გამარჯვებით — 4:1. ცოლშვილიანების ის ერთადერთი გამარჯვებაც მოპოვებული იქნა მას შემდეგ, რაც მათ ერთ-ერთ პარტიაში დროულად შეწირეს დედოფალი“.

დრო მიედინებოდა და ჭადრაკი საზოგადოებრივ ცხოვრებაში მკვიდრად იკავებდა ადგილს. გაჩნდა პირველი საჭადრაკო კლუბები, კერძოდ, ბერლინში, 1803 წელს. ეგ იყო ოღონდ, შიგ ქალებს არ უშვებდნენ. არადა, ასეთი კლუბების გახსნის თაოსანი იყო გერმანელი მწერალი ვილჰელმ ჰაინზე. სწორედ მის კალამს ეკუთვნის ნოველა „ანასტასია და ჭადრაკის თამაში“. ქალი — მოჭადრაკე ავტორს დიდი სიმპათიით ჰყავს დახატული. ეპისტოლარულ ჟანრში დაწერილ ამ ნოველაში მოტანილია სხვადასხვა პოზიცია საჭადრაკო პარტიებიდან. აი, მაგალითად, ასეთი:



აქ თეთრებით მოთამაშე ანასტასიამ მეტოქეს სამ სვლაში შამათი გამოუცხადა.

1. მe7+ მფh8 2. ლ:h7+ მფ:h7 3. ეh1X

გერმანულ დამწყებ მოჭადრაკეთა სახელმძღვანელოებში ეს „საფირმო“ შამათი დღემდე „ანასტასიას შამათის“ სახელითაა ცნობილი.

მე-19 საუკუნის 70-იან წლებში მამაკაცთა ტურნირებზე წარმატებული თამაშით თავი გამოიჩინა ამერიკელმა მერი რეჯიმ. სამწუხაროდ, მან მალე დაანება თავი ასეთ ტურნირებში გამოსვლას იმ მოტივით, რომ მამაკაცები წაგების შემდეგ ხშირად კარგავენ წონასწორობას და უკიდურესად უტაქტოდ იქცევიანო. მოთმინების ფიალა აივსო ერთი შემთხვევის შემდეგ. „ჯენტლმენმა, ვისაც მე შამათი გამოვუცხადე, მაგიდას ისეთი ძალით დაჰკრა მუშტი, რომ დაფიდან ყველა ფიგურა გადმოცვივდა. მე კი „ტეხასის ძროხა“ მიწოდა“, — ჩიოდა მერი რეჯი.

და მაინც ქალები მოთმინებით იბრძოდნენ ჭადრაკში თვითდამკვიდრებისთვის. 1866 წელი ქალთა ჭადრაკის ისტორიაში გამორჩეულია. ამ წელს ლონდონში ქალთა პირველი საერთაშორისო ტურნირი გაიმართა. ერთი წლის შემდეგ პარიზში ქალი — კონსულტანტების ორი ჯგუფი შეხვდა იმ დროის ცნობილ მოჭადრაკეებს გუსტავ ნეიმანს და ჟიულ არნუ დე რივერას და „ბეჭებზე დასცეს“ (თუმცა, უნდა ვთქვათ, რომ მამაკაცები დაფაზე დაუხედავად თამაშობდნენ).



მსოფლიო ჩემპიონატის ტიტულის მოპოვების შემდეგ ლასკერმა ითამაშა, ასე ვთქვათ, შერეული კატეგორიის მატჩი. მისი მეტოქე იყო ქალბატონი ნელ შოვალერი, ამერიკის ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკის დ. შოვალერის მეუღლე. ლასკერმა ნელ შოვალერს ფორად მხედარი მისცა და მატჩი წააგო ანგარიშით 2:5. მოგვიანებით მან ასეთივე პირობით ითამაშა მატჩი ინგლისის ერთ-ერთ ძლიერ მოჭადრაკესთან კერ ფინისთან და კვლავ დამარცხდა.

შესაძლოა ეს პრეცედენტები ჰქონდათ მხედველობაში, როცა ამ ამბებიდან 70 წლის შემდეგ მიხეილ ტალს ჰკითხეს — მოუგებდა თუ არა რობერტ ფიშერი ნონა გაფრინდაშვილს ფორად რომ მხედარი მიეცა. მსოფლიოს ექსჩემპიონმა უკმაყოფილოდ გადააქნია თავი და თქვა: „ფიშერი ფიშერია, მაგრამ მხედარი მხედარია“. თუმცა ამ კითხვას დამაჯერებელი პასუხი თავად ნონა გაფრინდაშვილმა გასცა, როცა 1979 წელს მას მამაკაცთა შორის დიდოსტატის წოდება მიენიჭა.

და, აჰა, ჩვენს დღეებამდეც მოვედით. თქმა არ უნდა, ქალთა ჭადრაკმა მე-20 საუკუნეში გოლიათური ნაბიჯებით იარა და თავის წიაღში გამოჩენილი, ექსტრაკლასის მოჭადრაკე ქალთა მთელი პლეადა გამოზარდა. დღეს ისინი ყველაზე პრესტიჟულ შეჯიბრებებშიც კი ტოლს არ უდებენ ძლიერი სქესის წარმომადგენელთ.

ჩვენი დღევანდელი საუბრის თემაც ხომ ეს არის: „ქალები მამაკაცების წინააღმდეგ“.

წინა გამოშვებებში ჩვენ ვნახეთ როგორ თამაშობენ მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკე ქალები მამაკაცებთან. მკითხველი, უეჭველია, მოიხიბლა ვერა მენჩიკის პაექრობით ფრედერიკ ლაზართან და სულთან-ხანთან, ნონა გაფრინდაშვილის და მაია ჩიბურდანიძის მოხდენილი შეწირვებით სერვატთან და ტუკმაკოვთან.

ახლა ვნახოთ როგორ თამაშობენ მომდევნო თაობის მოჭადრაკე ქალები. როგორც პოეტი იტყოდა, „ახალგაზრდებო, გამოდით გარეთ!..“

**ნ. იოსელიანი — ვ. ჰორტი**
**პრაღა, 1995.**



რამდენიმე სვლის წინ შავებმა მეფის ფრთაზე აქტიური მოქმედებები წამოიწყეს. მათ გახსნეს „g“ ხაზი, წინ წამოწიეს „f5“ პაიკი და მეფე კუთხეში შემალეს. შესაძლოა, ახლა მათ კიდევაც ჰგონიათ, რომ უკეთესი პოზიცია აქვთ. არადა, როგორც სულ მალე დავინახავთ, ყველაფერი პირიქითაა.

30. ... ეe3 31. მc3 h3 32. მcd4 hg+ 33. ლ:g2 კg6 34. მe6 კh5 35. ეf1 კe5 36. ლh3 კg6 37. ეg1 კe4 38. მg5

შავები დანებდნენ: თუ 38. ... ლh3 მაშინ 39. მf7+ — შამათი. თუ 38. ... ლg8 39. მf7+ ლ:f7 40. ლc8+ და ა. შ.

**სე ცზიუნი — ბ. სპასკი**
**პრაღა, 1995.**



21. ეaa1 d5 22. კc5 ლf6 23. კb6 მe7 24. მc5 კc6 25. მ:a6 d4 26. მ:b4 კh6 27. ლd3 მ:f5 28. მ:c6 ე:c6 29. ლe4 კe3+ 30. ე:e3 მ:e3 31. კd3 მფg7 32. b4 ეg8 33. კc5 ე:c5 34. bc მფf8 35. a6

შავები დანებდნენ. დაფაზე არ ჩანს ძალა, რომელიც თეთრების პაიკს შეაკავებდა.

**ი. პოლგარი — ლ. ბ. ჰანსენი**
**კოპენჰაგენი, 1988**



33. ლg7 !! შავები დანებდნენ.

**ქ. არახამია — ლ. პორტიში**
**კოპენჰაგენი, 1987**



27. b4 ab 28. ab ეa7 29. მe4 კ:e4 30. კ:e4 ეb8 31. b5 მc8 32. ეa1 ე:a1 33. ე:a1 მb6 34. ლd3 h4

შავები მეთოდურად ასხამენ ხორცს თავიანთ გეგმას, რომელიც მეტოქის მეფეზე იერიშის მიტანაში მდგომარეობს, მაგრამ როგორც იტყვიან, მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვა!

35. ეa6 g5 36. ლe2 მფf8 37. ლh5 gf 38. ლh8+ მფe7 39. ლ:h4+ მფe8 40. ლh8+ მფe7 41. ლf6+ მფf8 42. ლ:f4 d3 43. კ:d3 ეd8 44. კe2 ეd4 45. ლh6- მფe8 46. ლh8+ მფd7 47. ლf8

შავები დანებდნენ.

„მასშტაბურ ბრძოლებში ქეთევანი მთელ ფრონტზე ინიციატივას ფლობდა“ (მ. ტაიმანოვი).

**ითამაშეთ ჭადრაკი!**

„საქართველოს რესპუბლიკა“ გაზაფხულის მობრძანებას, ქალთა დღეს ულოცავს საქართველოს მოჭადრაკე ქალებს, ამ ბრძნული თამაშის მოყვარულთ, ჭადრაკის ოსტატებს და შეგირდებს, ჩვენი გაზეთის მკითხველებს!

# აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განცხადებები

აფხაზეთის პრობლემის მოგვარების გაჭიანურებამ, ამ პროცესებში ჩართული, როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დღემდე მიღებული ზომების და ამჟამად მიმდინარე პროცესების შედეგობამ უიმედობისა და პესიმიზმის სინდრომის საფუძველი შეუქმნა აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობას.

ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში, მათ შორის საქართველოს ფარგლებს გარეთაც, აფხაზეთიდან დევნილებთან ბოლოდროინდელმა შეხვედრებმა გვიჩვენა, რომ კონფლიქტის დარეგულირების პოლიტიკური ნაწილის აშკარა სტაგნაციის ფონზე, უარესდება დევნილების სოციალური მდგომარეობაც, ეკონომიკური და ყოფითი პირობები, რაც მათი მორალური დეპრესიისა, სირთულის უკმაყოფილებისა და დაძაბულობის მიზეზი ხდება. დევნილთა უმრავლესობის აზრით, ყოველივე ეს გამოწვეულია დევნილთა პრობლემების მიმართ, როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მხრიდან ყურადღების აშკარა მოდუნებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური ხელისუფლების როლის იგნორირებით როგორც კონფლიქტის მოგვარების, ასევე დევნილთა სოციალური პრობლემების გადაჭრაში. მათი ქვემდებარე სტრუქტურის შესუსტებით, მათში დასაქმებულ დევნილთა მასიური შეკვეცებით. დევნილი მოსახლეობა თავისი უმძიმესი სოციალური სტატუსით საერთოდ ჩამოშორებულია ქვეყნის საკანონმდებლო და სამართლებრივი სივრციდან, უფრო მეტიც, მიმდინარეობს არსებული მწირი სამართლებრივი ბაზის ნიველირება და წინა წლებში მათი უფლებების დასაცავად მიღებული საკანონმდებლო აქტების და დადგენილი შეღავათების გაუქმება.

სახელმწიფოს მხრიდან არ არის უზრუნველყოფილი დევნილი თანამემამულეების უფლებების დაცვა საქართველოს ფარგლებს გარეთ, რის გამოც მათი უმეტესი ნაწილი იმყოფება სხვადასხვა ქვეყნების სამართლებრივი სივრცის გარეთ, მოქალაქეობრივი უფლებების გარეშე. დღემდე მოუგვარებელია საქართველოს ფარგლებს გარეთ, დროებით ლუკმა-პურის საშოვარზე გასული დევნილი მოქალაქეების სტატუსის შენარჩუნების და მათი რეგისტრაციის მექანიზმი.

სერიოზულ უკმაყოფილებას იწვევს დევნილთათვის გაკუთვნილი შემწეობის თანხის 14 ლარზე გაყინვა სახელმწიფო ბიუჯეტის 5-ჯერ გაზრდისა და მინიმალური პენსიის 28 ლარამდე გაზრდის ფონზე.

შესამჩნევად უარესდება დევნილთა საცხოვრებელი პირობები. 13 წლის განმავლობაში კიდევ უფრო დამძიმდა დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ობიექტთა ტექნიკური მდგომარეობა. უმეტესობაში მოშლილია, ან ავარიულია წყალმომარაგების, ელექტროგაყვანილობის, საკანალიზაციო სისტემები.

იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების სტრატეგიის არარსებობამ სახელმწიფოში განაპირობა უკიდურესად რთული ვითარების შექმნა ამ სფეროში. ნაკლები ინტენსივობით, მაგრამ ამჟამადაც მიმდინარეობს დევნილთა ჩასახლების ობიექტების ფარული პრივატიზაცია, დევნილთა ინტერესების გაუთვალისწინებლად, ხოლო მისი მცოცავი შედეგის მეშვეობით იზრდება უსახლკარო დევნილ ოჯახთა რაოდენობა. დისკრიმინებული აღმოჩნდა დევნილთა უმეტესი ნაწილი, რომლებმაც საკუთარი ძალებით ნათესავებთან, ნაცნობებთან, ნაგირავებ ბინებში იპოვეს დროებითი თავშესაფარი და რომელთა მიმართ სახელმწიფოს მხრიდან არავითარი შეღავათები არ გავრცელებულა, რამაც მათში ანტაგონისტური განწყობების აღმოცენებას შეუწყო ხელი.

დევნილი სტრუქტურები და საერთოდ დევნილი მოსახლეობა, როგორც წესი, ამოგდებულია და არ მონაწილეობენ იმ კულტურულ-საგანმანათლებლო და ეკონომიკურ პროგრამებშიც, რომლებიც ხორციელდება ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში დონორი ქვეყნების დაფინანსებით.

ჩვენს შეშფოთებას იწვევს გაუცხოების სიმპტომები, რომლებიც აშკარად შეიმჩნევა შესაბამისი სახელისუფლებო სტრუქტურების და დევნილი საზოგადოების ფართო მასების, მის ინტელექტუალურ და პოლიტიკურ ძალებს შორის, რაც გამოწვეულია აფხაზეთის პრობლემის დარეგულირების გარშემო მიმდინარე პროცესებში, დევნილთა სოციალური საკითხების მოგვარებაში მათი პოტენციალის გამოყენების აშკარა იგნორირებით, რაც ქვეყნის არაკეთილმოსურნე ძალების მიერ შეიძლება გამოყენებულ იქნას პოლიტიკური სპეკულაციის და არასასურველი და გაუთვალისწინებელი დესტრუქციული ქმედებებისათვის.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, თავს ვალდებულად ვთვლით, მივაპყროთ ქვეყნის ხელმძღვანელობის ყურადღება აფხაზეთიდან დევნილთა ფართო მასებში უმძიმესი სოციალური პირობებით გამოწვეული დაძაბულობის განსამუხტავად ადეკვატური ზომების გატარების აუცილებლობას.

იმედს გამოვთქვამთ, რომ ახლადშექმნილი დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის შემმუშავებელი სამთავრობო კომისიის მიერ აფხაზეთში კონფლიქტის დარეგულირებისა და დევნილთა სოციალური პრობლემების გადაჭრის საკითხებში გათვალისწინებული იქნება აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების მონაწილეობისა და პასუხისმგებლობის ხარისხის ამაღლების აუცილებლობა.

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.**

**ქ. თბილისი, 2006 წლის 1 მარტი**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო მხარს უჭერს რა საქართველოს ხელისუფლების მიერ აღებულ აფხაზეთის პრობლემის მშვიდობიანი დარეგულირების უალტერნატივო კურსს, კონფლიქტის ზონაში ბოლო დროს განვითარებული მოვლენების გამო თავს ვალდებულად თვლის

**განაცხადოს**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმად შეშფოთებულია სეპარატისტთა მიერ კონტროლირებად აფხაზეთის ტერიტორიაზე არასტაბილური ვითარებითა და სიტუაციის კიდევ უფრო გამწვავებით. ბოლო დროს შესამჩნევად იმატა ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ ძალადობრივმა აქტებმა ეთნიკური ნიშნით. სისტემატური ხასიათი მიიღო ქართველების გატაცების, დახვრეტის, წამების, დაყაჩაღების ფაქტებმა, რაც სხვა არაფერია თუ არა აფხაზ სეპარატისტთა მიერ 1992-93 წლებში განხორციელებული და დღემდე მიმდინარე ქართველთა ეთნიკური წმენდისა და გენოციდის პროცესის კიდევ უფრო გაღრმავება და ახალი სოციალურ-ეკონომიკური დანაშაულის დამკვიდრება. მიუხედავად საქართველოს მხრიდან ახალი სამშვიდობო ინიციატივებისა, აფხაზური მხარე ყოველნაირად არღვევს საერთაშორისო სამართლის ნორმებით აღიარებულ აფხაზეთიდან ლტოლვილ და იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებებს, დაუბრუნდნენ თავიანთ საცხოვრებელ ადგილებს უსაფრთხოების პირობებში.

ადგილობრივი სეპარატისტული რეჟიმი და კონფლიქტის ზონაში განლაგებული რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტი ვერ აკონტროლებენ უკანონო შეიარაღებულ ბანდფორმირებებს და კრიმინალებთან შერწყმულ ე. წ. აფხაზური მილიციის ქმედებებს, რასაც ეწირება ადგილობრივი უდანაშაულო მშვიდობიანი მოსახლეობა, რისი აშკარა დადასტურებაა მ. წ. 5 მარტს ბედიის ეკლესიაში ქართველი ჟურნალისტების თეა შარიასა და ტარიელ სოხაძის უკანონო დაპატიმრება-წამების და სოფელ საბერიოს უბან „ღვაშგვერდში“ 8 მარტს ავტომანქანაში ოთხი ადამიანის – მათ შორის ერთი მცირეწლოვანი ბავშვის ჩაცხრილვის ფაქტი უცნობი ყაჩაღური ჯგუფის მიერ.

დაუშვებლად მიგვაჩნია აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე აშკარა დესტრუქციული პროცესების რეაგირების გარეშე დატოვება. ჩვენ კიდევ ერთხელ მივმართავთ მსოფლიო თანამეგობრობას, ყველა საერთაშორისო ავტორიტეტულ და კომპეტენტურ ორგანოს, მეგობარი ქვეყნების ლიდერებს, ხმა აღიმაღლონ აფხაზეთში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევის უხეში ფაქტების, ამჟამად არსებული ვითარების გაგრძელების დაუშვებლობაზე. შექმნილი სიტუაცია ცალსახად მიუთითებს გალის რაიონში ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისის გახსნის და საერთაშორისო საპოლიციო ზედამხედველობის ოპერაციის ჩატარების აუცილებლობაზე.

ჩვენ მოვუწოდებთ კონფლიქტის დარეგულირებაში ჩართული ხელისუფლების, საერთაშორისო ორგანიზაციების, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს უფრო ქმედითი კურსის გატარების საშუალებათა ძიებისაკენ, რომლებიც უზრუნველყოფენ ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხო ცხოვრებას და იძულებით ადგილნაცვალ პირთა და ლტოლვილების დაბრუნებას მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში.

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.**

**ქ. თბილისი, 2006 წლის 10 მარტი**

**საქმე №2/8377-06**

## განჩინება

### გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ

**ქ. თბილისი 9 მარტი, 2006 წ.**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ი. ადეიშვილმა ერთპიროვნულად განიხილა შპს „კომპანია საქთხევადგაზის“ დირექტორის გიორგი დევიძის განცხადება შპს „საქთხევადგაზის“ მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ.

***სარეზოლუციო ნაწილი***

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვიხელმძღვანელე რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით, „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-3, მე-6, მე-$6^1$, მე-7, მე-8, მე-11, მე-15 და 31-ე მუხლებით,

**დ ა ვ ა დ გ ი ნ ე**

1. გაიხსნას გაკოტრების საქმის წარმოება შპს „კომპანია საქთხევადგაზის“ მიმართ.

2. აეკრძალოს შპს „კომპანია საქთხევადგაზს“ თავისი ქონების განკარგვა.

3. შპს „კომპანია საქთხევადგაზის“ გაკოტრების მმართველად დაინიშნოს გიორგი ლომიძე, დაბ. 09.10.1972, მისამართი – თბილისი ს. ჩიქოვანის ქ. №24 ა, პროფესია – ეკონომისტი, იურისტი. განემარტოს გაკოტრების მმართველს თავისი უფლებები და მოვალეობები.

4. დაევალოს შპს „კომპანია საქთხევადგაზის“ ყველა კრედიტორს 2006 წლის 7 აპრილამდე (7 აპრილის ჩათვლით) წარუდგინონ სასამართლოს თავიანთი მოთხოვნები გამოხატული შესაბამის ვალუტაში, აგრეთვე წარუდგინონ სასამართლოს ყველა ის საბუთი, რაც ადასტურებს მათ მიმართ შპს „კომპანია საქთხევადგაზის“ ვალის არსებობას. ეცნობოს შპს „კომპანია საქთხევადგაზის“ ყველა კრედიტორს ამ ვადის გასვლის შემთხვევაში განაწილება მოხდება მათი მოთხოვნების გაუთვალისწინებლად.

5. შეჩერებულ იქნას შპს „კომპანია საქთხევადგაზის“ მიმართ დაწყებული იძულებითი აღსრულების ყველა ღონისძიება. გაკოტრების საქმის წარმოების გახსნისთანავე ძალას კარგავს ვალაუვალი მოვალის წინააღმდეგ ცალკეულ კრედიტორთა სასარგებლოდ დაწყებული, მაგრამ დაუსრულებელი იძულებითი აღსრულების ღონისძიებები. იძულებითი სააღსრულებო წარმოება გადაეცეს გაკოტრების საქმის განმხილველ სასამართლოს, გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის განჩინების გამოქვეყნების შემდეგ ვალაუვალი მოვალის მიმართ ვალდებულებების შესრულება ბათილია, თუ შედეგი არ შევა გაკოტრების მასაში.

6. დაევალოს ყველა იმ პირს, რომელსაც შპს „კომპანია საქთხევადგაზის“ ქონებას მიკუთვნებულ ნივთზე აქვს საკუთრების ან გირავნობის მოთხოვნის უფლება, მოთხოვნათა წაყენების ვადაში განუცხადონ შპს „კომპანია საქთხევადგაზის“ გაკოტრების მმართველს ამ უფლების შესახებ.

7. აეკრძალოს ყველა იმ პირს, რომელიც ფლობს შპს „კომპანია საქთხევადგაზის“ ქონებას მიკუთვნებულ რაიმე ნივთს ან ვალდებულია საწარმოს მიმართ რაიმე ვალდებულების შესრულებაზე, ამ ნივთის დაბრუნება ან ამ ვალდებულების შესრულება. ასეთი პირი ვალდებულია ვალდებულების შესრულება ან/და ნივთის დაბრუნება მოახდინოს მხოლოდ შპს „კომპანია საქთხევადგაზის“ გაკოტრების მმართველის მიმართ.

8. შპს „კომპანია საქთხევადგაზის“ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის დროდ განისაზღვროს 2006 წლის 9 მარტის 16 საათი.

9. კრედიტორთა პირველი კრება მოწვეულ იქნეს 2006 წლის 20 აპრილს 15 საათზე, მისამართზე ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. №1, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია.

10. განჩინების შესახებ ეცნობოს ყველა იმ ბანკს, რომელთანაც შპს „კომპანია საქთხევადგაზს“ აქვს საქმიანი ურთიერთობა.

11. დაევალოს შპს „კომპანია საქთხევადგაზის“ გაკოტრების მმართველს განჩინების შესავალი და სარეზოლუციო ნაწილების გამოქვეყნება პრესის მეშვეობით ცენტრალურ და ადგილობრივ პრესაში, აგრეთვე ელექტრონული ინფორმაციის საშუალებით. ინფორმაცია გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ გამოქვეყნდეს სასამართლოს დაფაზეც, გაეგზავნოთ განჩინება მარეგისტრირებელ ორგანოებს საჯარო ან სამეწარმეო რეესტრში შესატანად.

12. განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა გამოქვეყნებიდან 12 დღის განმავლობაში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში.

**მოსამართლე: ი. ადეიშვილი**

## განცხადება

### სააქციო საზოგადოების „ბიზნეს ცენტრი ვაჟაზე“ აქციათა გამოსყიდვის გადაწყვეტილების მიღების თაობაზე

**სააქციო საზოგადოების „ბიზნეს ცენტრი ვაჟაზე“** აქციათა გამოსყიდვის მიზნით, **„გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღად“** დადგენილია **2006 წლის 21 მარტი,** რომლის მდგომარეობითაც არსებულ აქციათა ბენეფიციარ მესაკუთრეთაგან მოხდება მყიდველის მიერ აქციათა გამოსყიდვა.

***გამოსყიდვის პირობები და პროცედურები:***

*●სააქციო საზოგადოების „ბიზნეს ცენტრი ვაჟაზე“ აქციონერთა სასარგებლოდ გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე განთავსებულია აქციების გამოსყიდვისთვის საჭირო თანხა (ერთი აქცია – 10, 20 ლარი), რომლის მიღებაც, გამოსყიდვის რეესტრში ხელის მოწერის შემდგომ, აქციონერებს შეუძლიათ საბროკერო კომპანია* ***„საქართველოს საინვესტიციო ჯგუფი +“****-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მოსაშვილის ქ. № 24.*

*●გამოუცხადებლობის შემთხვევაში მოხდება დარჩენილი გამოსასყიდი თანხის დეპონირება და აქციები გადავა მყიდველის საკუთრებაში.*

აქციონერებს საბროკერო კომპანია „საქართველოს საინვესტიციო ჯგუფი +“-ის გამოსყიდვის ანგარიშის გაცნობა (რომელშიც მითითებულია გამოსყიდვის დოკუმენტურად დადასტურებული გარემოებები, გამოსასყიდ აქციათა სამართლიანი ფასის დასადგენად გამოყენებული მეთოდი და ამის საფუძველზე განსაზღვრული აქციათა ფასი), შეუძლიათ სააქციო საზოგადოების „ბიზნეს ცენტრი ვაჟაზე“ რეგისტრატორთან შპს „კომპანია-ცენტრთან“, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ი. მოსაშვილის ქ. № 24, ტელ.: 22-53-51.

**2006 წლის 31 მარტს დღის 12 საათზე შედგება ს/ს „მარმარილოს“ აქციონერთა საერთო კრება დღის წესრიგით:**

1. 2005 წლის შედეგები;
2. ბიზნეს გეგმის დამტკიცება;
3. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში;
4. დირექტორის ანგარიში.

მისამართი: ქ. თბილისი, ნუცუბიძის 56.

**მიმდინარეობს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ეგტელის“, საიდენტიფიკაციო კოდი 203839604, ლიკვიდაცია.**

**დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე:**

**თბილისი, მიტროფანე ლაღიძის 3, ტელ.: 77 95 01.**

კავშირი – სამოსამართლო სწავლების ცენტრი აცხადებს ლიკვიდაციას.

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე:
ქ. თბილისი,
ბულაჩაურის 7 ა.
ტელ: 37-00-63, 37-95-29.

შპს „გეოინვესტკომპანი“ აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულ პირებს, გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი № 2.

ტელ: 95-62-06.

**ანონსი**

## 14 მარტიდან „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველებს საშუალება ექნებათ, ქართულად წაიკითხონ თანამედროვეობის ერთ-ერთი გამოჩენილი სერბი მწერლის მილორად პავიჩის

# რომანი „ხაზარული სიტყვისკონა“

**(გურამ გოგიაშვილის თარგმანი)**



მილორად პავიჩი 1929 წელს დაიბადა ბელგრადში. არის პოეტი, მწერალი-პროზაიკოსი, XVII-XIX საუკუნეთა სერბული ლიტერატურის ისტორიკოსი, სერბული ბაროკოსა და სიმბოლისტთა პოეზიის სპეციალისტი, პუშკინისა და ბაირონის მთარგმნელი, პროფესორი (ლექციებს კითხულობს ახალ სორბონაში, ვენაში, ნოვი სადში, რეგენსბურგში, ბელგრადში), სერბეთის მეცნიერებათა და ხელოვნებათა აკადემიის ნამდვილი წევრია (არჩეულია 1991 წელს). არ არის არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, გაერთიანებულია ევროპის კულტურულ საზოგადოებასა და ჟურნალ „ინოსტრანნაია ლიტერატურას“ საერთაშორისო საბჭოში. ფრანგ და ესპანელ კრიტიკოსთა იგი მიაჩნიათ „XXI საუკუნის უპირველესი წიგნის ავტორად“ („პარი-მაჩი“, 1988), ხოლო ავსტრიელთ – „ევროპული მოდერნის მწვერვალად“. „ვაშინგტონ ტაიმსი“ პავიჩს „ჰომეროსის დარ მთხრობელს უწოდებს“. დღეს ცოცხალ მწერალთაგან პავიჩი ყველაზე უფრო ციტირებული მწერალია ელექტრონულ (ჰიპერტექსტები) ნაწარმოებებში. ევროპის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ბრაზილიის კრიტიკოსთა და მწერალთა გაერთიანებების მიერ მილორად პავიჩი წამოყენებულია ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის მოსაპოვებლად.

**მაშ ასე, სამშაბათიდან, 14 მარტიდან, იკითხეთ მილორად პავიჩის რომანი „ხაზარული სიტყვისკონა“ (მამრული ვერსია).**




**გვემრავლოს!**

## ოთხი შვილი, მართლა შვილი!..

– ჩემმა ვაჟმა ბესიკმა და მისმა თანაკლასელმა ქეთევანმა სკოლის დამთავრებისთანავე შექმნეს ოჯახი. უკვე 10 წლის ცოლ-ქმარი სამ შვილს – ლევანს, გიორგის და მახარეს უზრდიან ქვეყანას.



სამი ვაჟის მშობლები გოგონას ნატრობდნენ. უფალმა ისმინა მათი ნატვრა და ქეთევანს ამ დღეებში გოგონა შეეძინა. მან მეოთხე შვილს მზექალა დაარქვა, თავისი ყოფილი ლექტორის მზექალა შანიძის პატივსაცემად.

ქეთევანმა თბილისში იმშობიარა, ბავშვი ჯანმრთელია. მეოთხე შვილიშვილის შეძენით ბებია-ბაბუამაც გავიხარეთ, 4 შვილი ხომ მართლა შვილია! – გვითხრა ამ ამბის მახარობელმა, რედაქციაში მოსულმა ზესტაფონელმა გიორგი თევზაძემ. – ბესიკს და ქეთევანს, როგორც ადრე, კვლავაც დავეხმარებით და შვილებს ისე გავაზრდევინებთ, როგორც ეს ჩვენი ერის ტრადიციულ ოჯახებს შეეფერება, გვითხრა სტუმარმა.

**მეოთხე შვილის შეძენას ვულოცავთ თევზაძეებს!**

**ნათელა ფაილოძე**

**ჩვენი ტელეფონია: 98-96-33.**

**ანეკდოტები**

**– ემუქრებათ თუ არა ფრინველის გრიპი ქერა ქალებს?**

**– რასაკვირველია, განსაკუთრებით ბატისტვინებს!**

* * *



**დეპუტატობის კანდიდატს ჟურნალისტები ეკითხებიან:**

**– რა მიზნით იყრით კენჭს?**

**– აბა, ნახეთ, რა ხდება ხელისუფლებაში: ჩინოვნიკები ჩაეფლნენ კორუფციაში, ქურდობაში, გარყვნილებაში!**

**– და თქვენ აპირებთ ყოველივე ამასთან ბრძოლას?**

**– აბა, რას ბრძანებთ, – უპასუხა კანდიდატმა, – მინდა, ყოველივე ამაში ვმონაწილეობდე!**

* * *

**სამსახურში ახალ მდივან-მემანქანეს ლებულობენ.**

**– წუთში რამდენ სიტყვას ბეჭდავთ?**

**– ხუთასს.**

**– ასე ბევრს?!**

**– დიახ, მაგრამ იცით, რა აბდაუბდა გამოდის.**

* * *

**არმიაში გამწვევ პუნქტში წვევამდელი აცხადებს:**

**– მე ჯარში წასვლა არ შემიძლია!**

**– რატომ?**

**– რწმენის გამო.**

**– კი მაგრამ, რა რწმენა გაქვთ ასეთი?**

**– მე მწამს, რომ იქ არ მომეწონება!**

* * *

**მოხუცი, ძალზე მდიდარი კაცი მეგობარს ეკითხება:**

**– მართალია, მოხუცი ვარ, მაგრამ ახალგაზრდა ქალის შერთვა მინდა, როგორ ფიქრობ, 68 წლის ნაცვლად, რომ ვუთხრა 50 წლისა ვარ-მეთქი, შანსები მომემატება?**

**– შენი შანსები უფრო გაიზრდება, თუ ეტყვი, რომ 85 წლისა ხარ!**

**შეხვედრა**

# „საქართველოში ათგზის ძნელია იყო პოეტი და თანაც ქალი“

**ამ დღეებში რუსთაველის საზოგადოების დარბაზში, მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მაყვალა გონაშვილის შემოქმედებითი საღამო გაიმართა. აქ იყვნენ ქართველი მწერლობის, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ის ადამიანები, რომლებიც ჯეროვნად აფასებენ პოეტის შემოქმედებას, პატივს სცემენ მის პიროვნულ თვისებებს, ხალას ბუნებას.**

საღამო გახსნა პოეტმა დავით ტაკიძემ, რომელმაც ისაუბრა მაყვალა გონაშვილის შემოქმედებაზე.

„საქართველოში ათგზის ძნელია იყო პოეტი და თანაც ქალი“ – ეს სიტყვები მაყვალა გონაშვილს ეკუთვნის.

– ორი წლის წინათ ამირჩიეს მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ. შემეშინდა ასეთი პატივის, არ დაგიმალავთ და, მეხათრებოდა იმ დიდი პასუხისმგებლობის. თანაც ჩემი აქ მოღვაწეობა რთულ და მძიმე პერიოდს დაემთხვა. დღეს ქართული მწერლობის გადარჩენაზეა საუბარი. გვართმევენ ისტორიულ შენობას, რომელიც სახელოვანმა მამულიშვილებმა უსახსოვრეს ქართველ მწერლებს. ჩვენ ყველაფერს ვილონებთ მის გადასარჩენად. მოდით, დღევანდელი შეხვედრა ტრადიციულისგან განსხვავებულად ჩავატაროთ: იყოს მხოლოდ ლექსი და სიმღერა, ეპითეტები კი შემოვინახოთ – თქვა მაყვალა გონაშვილმა და



დასძინა, მინდა სიყვარულის საქართველოში ვიცხოვროთ, ასეთი დანაწევრებული ერი არ მინდაო.

მსახიობმა ელდინო საღარაძემ და მეტეხის თეატრის მსახიობმა პავლე ნოზაძემ ჩვეული ოსტატობით წაიკითხეს პოეტის ლექსები. ხალხურ სიმღერებს მწერალთა კავშირთან არსებული ვაჟთა ვოკალური ჯგუფი ასრულებდა. ერთი სიტყვით, იქ ყოფნას მართლაც არაფერი სჯობდა.

ცნობილმა კომპოზიტორებმა ვაჟა აზარაშვილმა და ჯაიანმა, ქალბატონ მაყვალას რამდენიმე სიმღერა მიუძღვნეს.

პოეტებმა მზია ხეთაგურმა, იზა ჯაჭვაძემ, ვაჟა ოთარაშვილმა საკუთარი ლექსებით გამოხატეს მაყვალა გონაშვილთან დამოკიდებულება.

საღამო მის ნამდვილ ბენეფისად იქცა. თანაც, ეს დღე მაყვალა გონაშვილის დაბადების დღეც აღმოჩნდა. სტუმრებმა ჯანმრთელობასთან ერთად, ახალი შემოქმედებითი წარმატებები უსურვეს მას.

ჯანსუღ ჩარკვიანი: „დღეს, როცა აქ მაყვალა გონაშვილმა წაიკითხა რამდენიმე შესანიშნავი ლექსი, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ბედნიერი ვარ, რამეთუ პირველად სწორედ მე დავაჭაშნიკე მისი ლექსები და დავბეჭდე, მაშინ, როდესაც იგი პატარა გოგონა გახლდათ. დღეს მე თამამად ვიტყვი, ვისაც მისი პოეზია არ მოსწონს, ესე იგი მისი ლექსები არ წაუკითხავს. მე მათ ვურჩევ აუცილებლად წაიკითხონ. ვიცი, რომ მისი ლექსებით მკითხველი ძალზე კმაყოფილია“.

ერთგან ბატონი ჭაბუა ამირეჯიბი მაყვალა გონაშვილის პოეზიის შეფასებისას ამბობს: „მისი ლექსები სევდით სავსე ღრუბელია, რომელიც არ იცი, როდის იწვიმებს“. აქ მართლაც ყველაფერია ნათქვამი.

**რა დროც არ უნდა დაგვიდგეს, ქართული მწერლობა არ დაკარგავს სხვათაგან გამორჩეულ ხიბლს. ეს უჩვეულოდ ლამაზი საღამო ამ ხიბლით გახლდათ გაჯერებული.**

**ნანა სულავა**

**დარია თუ ავდარია**

### 11 მარტს – შაბათს



**დასავლეთ საქართველოში** – მცირე მოღრუბლულობა, უნალექოდ, აღმოსავლეთის ქარი 10-15 მ/წმ, დღისით ზემო იმერეთსა და კოლხეთის დაბლობზე ზოგან ძლიერი 17-22 მ/წმ. ჰაერის ტემპერატურა: დაბლობში ღამით -2, +3, დღისით +9, +14 გრადუსი. მთაში ღამით -8, -3, დღისით 0, +5 გრადუსი, მაღალმთაში ღამით -10, -5, დღისით -4, +1 გრადუსი.

**აღმოსავლეთ საქართველოში** – დროგამოშვებით ღრუბლიანობის მომატება. ზოგან შესაძლებელია მცირე წვიმა, მთაში თოვლი, სუსტი ქარი, ჰაერის ტემპერატურა: ბარში ღამით 0, +5, დღისით +5, +10 გრადუსი, მთაში ღამით -7, -2, დღისით -1, +4 გრადუსი. მაღალმთაში ღამით -10, -5, დღისით -6, -1 გრადუსი.

**თბილისში** – დროგამოშვებით ღრუბლიანობის მომატება. ღამით შესაძლებელია მცირე წვიმა, სუსტი ქარი, ჰაერის ტემპერატურა: ღამით +2, დღისით +10 გრადუსი.

### 12 მარტს – კვირას

**დასავლეთ საქართველოში** – მცირე მოღრუბლულობა, უნალექოდ. აღმოსავლეთის ქარი 10-15 მ/წმ, ზემო იმერეთსა და კოლხეთის დაბლობზე ზოგან ძლიერი 17-22 მ/წმ. ჰაერის ტემპერატურა: დაბლობში ღამით +5, +10, დღისით +13, +18 გრადუსი. მთაში ღამით -5, 0, დღისით +2, +7 გრადუსი, მაღალმთაში ღამით -8, -3, დღისით -2, +3.

**აღმოსავლეთ საქართველოში** – დროგამოშვებით ღრუბლიანობის მომატება, უნალექოდ, სუსტი ქარი. ჰაერის ტემპერატურა: ბარში ღამით 0, +5, დღისით +10, +15 გრადუსი, მთაში ღამით -7, -2, დღისით 0, +5 გრადუსი. მაღალმთაში ღამით -10, -5, დღისით -6, -1 გრადუსი.

**თბილისში** – დროგამოშვებით ღრუბლიანობის მომატება, უნალექოდ, სუსტი ქარი, ჰაერის ტემპერატურა: ღამით +3, დღისით +15 გრადუსი.

**ჰიდროლოგიური პროგნოზი:** – 11, 12 მარტს საქართველოს მდინარეებზე მოსალოდნელია წყლის დონის დაკლება: დასავლეთში 20-50 სანტიმეტრის, აღმოსავლეთში – 10-20 სანტიმეტრის ფარგლებში.




**გაზეთი გამოდის თვეში ერთხელ**

საქართველოს კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფესიული კავშირის პრეზიდიუმი და აპარატის მუშაკები თანაგრძნობას უცხადებენ თავმჯდომარის მოადგილეს, ბატონ სულიკო მაშიას
ძმის
გარდაცვალების გამო.

შვილები მაყვალა, ეთერ, სულიკო, თემურ, რეზო ბეჟანიძეები, სიძე ოლეგ მეგრელიძე, რძლები ლია ჭყონია, ქეთინო გირკელიძე, თეა გვასალია, შვილიშვილები, შვილთაშვილები, დისწულები, ძმისწულები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ოთარ ბეჟანიძე
პანაშვიდი 13, 14 III, (ორშაბათი, სამშაბათი) 16 საათიდან, მისამართზე: ქ. თბილისი, ვაზისუბნის დასაწყისი, მე-11 კორპუსი, II სადარბაზო, ბინა №23. გადასვენება: ქობულეთი, 15 III (ოთხშაბათი), გასვენება: ქობულეთი, 16 III (ხუთშაბათი) 14 საათზე.

ვარვარა ანდრიასოვა-კილურაძე, ნინო კილურაძე, გურამ ლორთქიფანიძე, მალხაზ შალამბერიძე და ქეთევან ლორთქიფანიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ინგა ნაზარის ასული ნაზარბეკოვა
პანაშვიდი 12, 13 III, 17 სთ. გამოსვენება 14 III, 14 სთ. მაყაშვილის №5-დან.

**განცხადება**

**სს „ლენსბიოფარმის“ აქციონერთა საყურადღებოდ!**

**სს „ლენსბიოფარმი“ 2006 წლის 7 მარტს აქციონერთა მორიგი საერთო კრების საფუძველზე აცხადებს საზოგადოების მიერ დივიდენდების განაწილების გადაწყვეტილების შესახებ. დივიდენდების საალრიცხვო თარიღია 2006 წლის 20 მარტი. დივიდენდების გაცემის დაწყების თარიღია 2006 წლის 4 აპრილი.**

სს „აკ. კ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ღვაწლმოსილი მუშაკი
მერი როსტიაშვილი
და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

გამომცემელი – შპს „თანადგომა-1“
ქიზიყის ქ. №12, ტ: 71-68-81, 899 797679

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ვილენ მარდალეიშვილი.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილე: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე აკრეფილ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.